ეროვნული
ბიბლიოთეკა

პრეზიდენტი

უზბეკეთსა და საქართველოს მაღალგანვითარებული სატრანსპორტო კომუნიკაციები დააკავშირებს

10 ივლისს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო უზბეკეთის სამთავრობო დელეგაცია, რომელსაც უზბეკეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე რუსტამ იუნუსოვი ხელმძღვანელობს.

იხ. მე-2 გვ.

პარლამენტის თავმჯდომარე

დავიცვათ ელემენტარული ურთიერთობის ეტიკეტი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ 9 ივნისს ჟურნალისტებთან საუბრისას უკმაყოფილება გამოთქვა ამ დღეებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა გამო.

— „სრულიად ნორმალურია და პრობლემას ვერ ვხედავ იმაში, რომ ავტონომიურმა რესპუბლიკამ თავისი მეთაური აირჩიოს, ან შეიქმნას ორპალატიანი პარლამენტი. არანორმალურია ის, რომ ცენტრალური ხელისუფლება ამას იგებს პრესით, ტელევიზიით, რაც იმას მოწმობს, რომ გადაწყვეტილება პოლიტიკური დაპირისპირების თვალსაზრისით არის მიღებული", განაცხადა ზურაბ ჟვანიამ.

საქინფორმი.

ხვალ

ჩვენს გაზეთში წაიკითხავთ:

- **ქართველები და რუსები თბილისში უვიზოდ ჩაეხუტნენ ერთმანეთს — „მშვიდობიანი კავკასიის" მშვიდობიანი დასაწყისი.**
- ვალერიან გოგოლაშვილი — „კრიმინალებზე დარტყმა — ყველგან, ყველა მიმართულებით".

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/sakartvelos-respublika

გუშინ ჩვენს გაზეთს ინტერნეტით გაეცნო 2671 მკითხველი. მათ შორის, 57% აშშ-დან, 25% – გერმანიიდან.

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ..."

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №169 (3910) ოთხშაბათი, 11 ივლისი, 2001 წელი. ფასი 50 თეთრი.

სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

გუშინ

ჯონი ხეცურიანი – ახალი თავმჯდომარე

საკონსტიტუციო სასამართლოს უკვე მეორე თავმჯდომარე ჰყავს. 10 ივლისს საკონსტიტუციო სასამართლოს არსებობის ხუთი წლისთავზე ფიცი დადო საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დანიშნულმა მისმა ახალმა წევრმა, ხოლო შემდგომ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ არჩეულმა თავმჯდომარემ ჯონი ხეცურიანმა.

ფიცის დადების ცერემონიას ესწრებოდნენ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლადო ჭანტურია, სხვა ოფიციალური პირები.

იხ. მე-2 გვ.

„საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნასა და ჩამოყალიბებაში"

ლელა ბლაგონრავოვას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიტყვა საკონსტიტუციო სასამართლოში 2001 წლის 10 ივლისს

მეგობრებო, ძვირფასო სტუმრებო,

დღევანდელ შეხვედრას პირადად მე და ჩემი კოლეგები დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, რადგან ფიცის დადებასთან ერთად გაიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი თავმჯდომარის არჩევნებიც. ჩემთვის პატივი იყო, რომ ვმონაწილეობდი საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი შემადგენლობის ფიცის მიღებასა და პირველი შემადგენლობის ფორმირებაში.

საქართველოს ისტორიაში ეს თავისთავად სახელმწიფოებრივი ცხოვრების სერიოზული გარდატეხა გახლდათ. დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული კონსტიტუციის მიღების შემდეგ პირველ ნაბიჯს სწორედ დემოკრატიისათვის აუცილებელი ინსტიტუტების ფორმირება წარმოადგენდა.

იხ. მე-2 გვ.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

2001 წლის 6 ივლისი ქ. თბილისი

გ. ხიჯაკაძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

რთული ეკონომიკური პირობების დროს წარმოების ტექნიკურ გადაიარაღებაში, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვა-განვითარებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი საინჟინრო საქმიანობისათვის ქუთაისის სააქციო საზოგადოება „ელექტრომექანიკოსის" ტექნიკური დირექტორის მრჩეველი **გივი ხიჯაკაძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

გიხაროდენ!

რატი ფაილაძეც შეემატა საქართველოს

5 ივლისს საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამშობიარო სახლში (ყოფილი №3 სამშობიარო სახლი) მრავალ ახალშობილთა შორის ერთი ოქროსქოჩრიანი ბიჭიც დაიბადა. იგი ექიმ თეა მარაშენიძე-ფაილაძისა და ინჟინერ გია ფაილაძის პირმშოა. მას რატი დაარქვეს. პატარა 4 კილოგრამს იწონის და სიგრძით 52 სანტიმეტრია. მეან-გინეკოლოგ არსენ ჭელიძისა და ექთან ნათელა ცირდავას ძალისხმევით, მათი მაღალი პროფესიონალიზმისა და გულისხმიერების წყალობით დედა და შვილი თავს კარგად გრძნობენ, გუშინ სამშობიაროდან გამოეწერნენ. ამაღლდა ჭერი, ზეიმია ჯულიეტა და ომარ ფაილაძეების, ლეილა და გოდერძი მარაშენიძეების ოჯახებში. პატარა რატი მათი პირველი სიხარული, პირველი შვილიშვილია. დიდი ბებია მურა გიორგაძე-კუბლაშვილი კი მეექვსე შვილთაშვილით ხარობს. პირველი შვილის შეძენას ვულოცავ თეას და გიას, ბედნიერებას, შვილთა სიმრავლეს და ულევ სიხარულს ვუსურვებ. ღვთისმშობლის კალთა ფარავდეს მათ ლამაზ ოჯახს.

მზია კუბლაშვილი.

ჩვენც ვულოცავთ თეას და გიას, იმრავლონ, იხარონ, ღირსეული შვილები დაემარდოთ სამშობლოსთვის.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

პოეტი პოეტს

გულის მახილი

მუხრან მაჭავარიანს მისივე ლექსის გამო

მახსოვს, მუხრან, როგორ გვტკენდა
საქართველოს იარა,
შუბლს ვუშვერდით ორთავენი
მტრის შემართულ იარაღს.

მტრის კი არა, დღეს მოყვრისაც
ვერა გამივია რა,
ღმერთს დავშორდით, სისხლიანმა
ემმამ დაიღრიალა.

ვატყობ, ცუდად იღრუბლება
ქართული ცა კრიალა,
ღალატმა და ბოროტებამ
გული ამიწრიალა.

სულ დაიღო საქართველო
მიწიანა, წყლიანა,
არა-მეთქი, ასე არა,
შენც ძველებურ სთქვი — არა!

ძმაო, მუხრან, შენებურად,
„ნაწილ-ნაწილ კი არა",
საქართველოს გაუმარჯოს
ერთიანად, მთლიანად!

ეს ადრე ვთქვი, ახლა მინდა,
ჩვენს მტრებს მკაცრად მივართვა,
დიახ, დიახ, უნდა გითხრა,
ბოროტებას ვინ მართავს!

დანგრეულო საქართველო, —
ჩემს აჭარას მივმართავ,
კაპიკია, ხალხო, ფასი
ბოროტ ადამიანთა!

ემმამ გზები გადაკვეთა,
ეს არს ჩემი წინათქმა,
ერთ მიწაზე ერთად, ერთად,
მტრებსა მტრისა მივართვათ!

ეს ანდაზაც არმად შენა,
ვეუბნები აგრესორს —
ჰაჰამ ხიდი ააშენა,
შვილიშვილი ანგრევსო!

ჯანსულ ჩარკვიანი.
2001 წლის 7 ივლისი.

პრეზიდენტი

მე ვიცი, რომ ჯანმრთელია, შენც იცი, რომ ჯანმრთელია, მაგრამ მე მიხარია და შენ არ გიხარია, შე კარგო ადამიანო

სათაურში გამოტანილი სიტყვები ჯანსუღ ჩარკვიანის ცნობილი გამოთქმის პერიფრაზია, და კარგად გამოხატავს საქართველოს მოსახლეობის (ჩინიანის თუ უჩინოს) განსხვავებულ მოსაზრებებს ქვეყნის პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

ჩვენ, მამასადამე, ევროპელები (ხანდახან ამერიკელებიც!) არაადეკვატურად (არაევროპულად, არაამერიკულად) ვიქცევით, როდესაც პრეზიდენტის ჯანმრთელობაზე ჩამოვაგდებთ სიტყვას.

მე მინახავს ჭორების მოსმენით შეწუხებული ადამიანის თვალები და ამ ჭორებითვე კმაყოფილი ადამიანის აღტყინება. და მაოცებს ამ უკანასკნელის დამოკიდებულება არა პიროვნულად ედუარდ შევარდნაძის, არამედ ქვეყნის პირველი პირის, სახელმწიფოს პრეზიდენტის მიმართ.

როგორც ჩანს, ჩვენ, მიუხედავად 3000-წლოვანი სახელმწიფოებრიობისა, მიუხედავად დიდი კულტურისა და ღვთისმშობლის წილხვედრობისა, ჯერ კიდევ ბევრი გვაკლია სახელმწიფოებრივად აზროვნებამდე.

და ამის გამოხატვის არა გვრცხვენია, არ გვერიდება, რადგან არ გვესმის, რომ პრეზიდენტის ჯანმრთელობა არ არის იოლად ხელწამოსაკრავი თემა, არ შეიძლება მისით ისეთივე სპეკულაცია, როგორც სხვა ყველაფრით.

იხ. მე-3 გვ.

გამარჯობათ!

ჩააბარეთ თუნდაც... ილიას ბიუსტი!

„იყიდეთ, იყიდეთ ჩქარა, თორემ"... — ეს „კავკასიური ცარცის წრეა".

„ჩააბარეთ, ჩააბარეთ, ჩქარა, თორემ"... — ეს ჩვენი დღევანდელობაა.

ამიტომაც იჩქარეთ, მოიპარეთ და ახალ ნაწვიმარზე სოკოებივით გამრავლებულ ფერადი ლითონების შემსყიდველ პუნქტებს ჩააბარეთ თუნდაც... ილიას ბიუსტი!

ოღონდ, მთავარია, იჩქაროთ, თორემ... სხვა ჩააბარებს, რადგან ამ პუნქტების ამკრძალავი არავინაა! ბიუსტი თუ ძეგლი კი სულ რამდენიმეა!..

— მიჭირდა და იმიტომ მოვიპარეო! — ისე უბრალოდ და უდარდელად (იქნებ მომეჩვენა?), ლამის სასხვათაშორისოდაც თქვა, თითქოს დანარჩენ ქართველობას ულხინდეს დღეს.

ან თითქოს ექვთიმე თაყაიშვილს გაუსაძლისად არ უჭირდა თავის დროზე, უცხოეთში მარტოსულად დარჩენილს, მშიერ-მწყურვალსაც, საქვეყნო განძისთვის მისხალიც რომ არ დაუკლია და მთამომავლობას უკლებლივ შემოუნახა იგი!

იხ. მე-2 გვ.

იმერეთის მხარე

ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი...



ახალი ათასწლეულის, ანუ 2001 წლის დასაწყისში იმერეთის მხარეში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული თეიმურაზ შამიაშვილი ოცნებობდა დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს პირველ საერო და სასულიერო პირებს, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს ხელი მოეწერათ საგანგებო გადაწყვეტილებაზე 2003 წელს ქუთაისის სიონის (ბაგრატის) ტაძრის 1000 წლისთავის იუბილის აღნიშვნის თაობაზე.

იხ. მე-5 გვ.

ინფორმაცია

ძლევამოსილი საქართველოსთვის

„სამეგრელო – ძლევამოსილი საქართველოსთვის". – ასე ჰქვია დარბაზს, რომელიც საქართველოში მოქმედი ყველა პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა საინიციატივო ჯგუფის წევრებმა თავიანთ მეკრებაზე შექმნეს.

მათ განაცხადეს, რომ ქვეყნის და მისი ერთ-ერთი ორგანული შემადგენელი ნაწილის – სამეგრელოს ინტერესებს მავანთა პოლიტიკურ ამბიციებს არ შესწირავენ და, პარტიული კუთვნილების მიუხედავად, ყოველ ღონეს იხმარენ სამშობლოს შემდგომი წინსვლისთვის, ერთიანობისთვის.

სხდომის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივას მინისტრთა კაბინეტის შექმნის თაობაზე, ამ უმნიშვნელოვანეს პოსტზე ზურაბ ჟვანიას კანდიდატურას და გამოთქვეს სურვილი, მოიწვიონ პარლამენტის თავმჯდომარე ზუგდიდში იმ პრობლემების განსახილველად და გადასაჭრელად, ქალაქს და მხარეს რომ აწუხებს.

საგადასახადო წელში გაიმართა

საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტების ივნისის გეგმა 86 მილიონი ლარი იყო. ბიუჯეტში კი ჩაირიცხა 87,2 მილიონი ლარი, რაც გეგმის 101,4 პროცენტია.

ბაგა-ბაღის შესაკეთებლად

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით ზუგდიდის რაიონის გამგეობას გამოეყო 30 ათასი ლარი პრეზიდენტის ფონდიდან სოფელ რუხის ლტოლვილებით განსახლებული დამწვარი ბაგა-ბაღის „გვირილას" კაპიტალური შეკეთებისთვის.

შეხვედრა სოხუმში

გუშინ სოხუმში, გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა ოფისში დაიწყო აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებით შექმნილი საკოორდინაციო საბჭოს პირველი მუშა ჯგუფის შეხვედრა, რომელზეც მომზადდება 17 ივლისს საკოორდინაციო საბჭოს სხდომის საკითხები.

გაიხსნება სავაჭრო სახლი

მიმდინარე წლის დამლევამდე თბილისში გაიხსნება საქართველო-უკრაინის სავაჭრო სახლი. გადაწყვეტილება მისი შექმნის თაობაზე მიიღეს უკრაინა-საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხთა ერთობლივი სამთავრობათშორისო კომისიის სხდომაზე.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, იურინდამ და ჩვენმა კორესპონდენტმა.

ლარის კურსი

11 ივლისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

ინგლისური გირვ.	1	2.9166 ლარი
გერმანული მარკა	1	0.9040 ლარი
აშშ დოლარი	1	2.0700 ლარი
ევრო	1	1.7680 ლარი
რუსული რუბლი	1	0.0708 ლარი.

სიმართლე კი ასეთია

რატომ ლობირებს საქართველოს პრეზიდენტი „იტერას"?

იხ. მე-4 გვ.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

— ვარ 70 წლის, ინვალიდი. დაავადებული ვარ გულის მანკით. ოჯახში მარტო ვცხოვრობ. მყავს ერთი 32 წლის შვილი, რომელიც ოჯახთან ერთად ცალკე ცხოვრობს.

გთხოვთ, განმიმარტოთ, ვითვლები თუ არა მარტოხელად და მეკუთვნის თუ არა სოციალური ე. წ. (ოჯახური) დახმარება?

ვარდო ბიბილეიშვილი.

— შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით, თქვენ არ ითვლებით მარტოხელად, ვინაიდან გყავთ კანონით ვალდებული მარჩენალი, შრომისუნარიანი შვილი (არა აქვს მნიშვნელობა ცალკე ცხოვრობს იგი თუ არა). კანონის თანახმად, ვალდებულია დაეხმაროს შრომისუუნარო მშობელს.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90, 93-28-54.

უკანასკნელ საათს



გუშინ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ირკუტსკთან ტუ-154-ის კატასტროფის მიზეზი ხომალდის მეთაურის განკარგულებაზე მეორე პილოტის არაადეკვატური რეაქციაა, ხოლო ტექნიკა გამართულად მუშაობდა.

ასტრახანის რკინიგზის სადგურში თავიდან აიცილეს ტერორისტული აქტი. 34 წლის ჩეჩენ ქალს აღმოუჩინეს ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც, მისი აღიარებით, ძმამ გადასცა.

[illegible]
გაზეთი
საქართველოს რესპუბლიკა
თავის ფასში
ტელეფონით!
[illegible] 1 თვით, 2 თვით, 3 თვით, 6 თვით, 12 თვით.
98-89-09, 26-10-80, (899) 55-30-97
ფოსტის ყუთები და დამონტაჟება უფასოა!
„პრეს-მობილი"

ინტერპანორამა

ნიუ-იორკის სასამართლომ ტანზანიელ ხალხან ხამის მოჰამედს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა 1998 წელს დარ-ელ-სალამში აშშ საელჩოს აფეთქების ორგანიზებისათვის.

პოლონეთის პრეზიდენტმა ალექსანდრე კვასნევსკიმ პოლონელი ხალხის სახელით ბოდიში მოიხადა ქალაქ ედვაბნეში ასობით ებრაელის მკვლელობისათვის მეორე მსოფლიო ომის დროს.

ჩეჩნეთში თანამდებობიდან გადადგა რაიონული და სოფლის ადმინისტრაციების ოთხი ხელმძღვანელი. მათ ასე გამოხატეს პროტესტი რუსეთის ფედერალური ძალების მიერ „წმენდის" ჩატარების გამო.

„საქართველოს რესპუბლიკა" — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების" თვითმფრინავებში.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 169, ოთხშაბათი, 11 ივლისი, 2001 წელი

პრეზიდენტი

უზბეკეთსა და საქართველოს მაღალგანვითარებული სატრანსპორტო კომუნიკაციები დააკავშირებს

[illegible]

უზბეკეთის რესპუბლიკის წარმომადგენლობითი დელეგაციის ჩვენს ქვეყანაში ვიზიტის მიზანია ტრასეკას ფარგლებში საქართველო – უზბეკეთს შორის სატრანსპორტო მიმოსვლასთან დაკავშირებული პრობლემების განხილვა. სწორედ ამ საკითხებზე იმსჯელეს საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრაზე.

როგორც უზბეკეთის რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა რუსტამ იუნუსოვმა განაცხადა, „სატრანსპორტო მარშრუტი წყალივითაა, თუ გასვლის საშუალება არ მიეცი, აუცილებლად სხვა გასასვლელს მოძებნის, ამჟამად, დაგვიანების უფლება არცერთ მხარეს არა აქვს."

საუბარი შეეხო აგრეთვე შემოდგომაზე ტაშკენტში დაგეგმილი ტრასეკას ქვეყნების შეხვედრასა და იქ განსახილველ საკითხებს.

საქინფორმი.

გუშინ

„საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნასა და ჩამოყალიბებაში“

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიტყვა

[illegible]

თანამედროვე პირობებში ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ეფექტიანი მოქმედება წარმოუდგენელია საკონტროლო საქმიანობის გარეშე. ამ მხრივ საქართველომ თავისი არჩევანი უკვე გააკეთა და ქართული კონსტიტუციური იუსტიცია თავის არსებობას კონსტიტუციის მიღების დღიდან ითვლის. უნდა გითხრათ, რომ ჩვენი კანონმდებლობა საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ერთ-ერთი გამორჩეულია სხვა ქვეყნის კანონმდებლობათა შორის. მსოფლიოში მრავლად არ მოიძებნება ქვეყანა, სადაც საკონსტიტუციო სასამართლოს ასეთი წონა და ასეთი ავტორიტეტი ჰქონდეს. სასამართლო რეფორმის განხორციელება საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნით დაიწყო, რაც, თავისთავად, ადასტურებს ამ ინსტიტუტის მნიშვნელობას.

არაერთხელ მითქვამს და კიდევ მინდა გავიმეორო, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნასა და ჩამოყალიბებაში. დარწმუნებული ვარ, თქვენი მოღვაწეობა მიმართულია კონსტიტუციის დაცვის, მოსახლეობაში კონსტიტუციური მართლშეგნების განმტკიცების, ქვეყნის კეთილდღეობისა და იმ ჰარმონიის შესაქმნელად, რომელიც, უდავოდ, უნდა ახასიათებდეს ხელისუფლების დანაწილების პრინციპით მოქმედ დემოკრატიულ წყობილებას. თუ დავუკვირდებით კონსტიტუციური კონტროლის არსს, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ეს არის კონსტიტუციური კონფლიქტების მოწესრიგებისაკენ მიმართული საქმიანობა. საკონსტიტუციო სასამართლო ერთგვარი არბიტრია ხელისუფლების შტოებს შორის, რომელიც ხელს უწყობს მათის ურთიერთობაში ბალანსის შენარჩუნებას. ეს კი სამართლებრივ სახელმწიფოში საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელობის ნათელი დადასტურებაა.

საკონსტიტუციო სასამართლომ უდავოდ დაიმკვიდრა თავისი ადგილი ხელისუფლების მექანიზმში, ორგანიზმში, როგორც დამოუკიდებელმა ორგანომ, რაც მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით დასტურდება.

უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო მეტად მნიშვნელოვანი კონსტიტუციური გარანტია ქვეყანაში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის თვალსაზრისით. მისი როლი ამ საქმეში საკანონმდებლო ბაზის რეფორმირების პირობებში კიდევ უფრო იზრდება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ეფექტიანად ახორციელებს ამ ფუნქციას, რასაც ადასტურებს მოქალაქეთა აქტიურობა და მათი ნდობაც, ნდობა საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართ.

განხილულ საქმეთა ანალიზი გვარწმუნებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო მისთვის დაკისრებული ფუნქციის შესრულებაში პროფესიონალიზმით გამოირჩევა. ამგვარი შეფასების საფუძველს იძლევა არგუმენტირებული და მეცნიერულად დასაბუთებული გადაწყვეტილებანი. ყოველივე ეს მოითხოვს უდიდეს თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას.

თანამედროვე ღირებულებებიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო დემოკრატიის ფუფუნება კი არა, ამ სისტემის პრინციპების დაცვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ეფექტიანი საშუალებაა. ადამიანის უფლებათა დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება ენიჭება არაკონსტიტუციურად და ძალადაკარგულად ცნოს ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული აქტები.

ეს უკვე თავისთავად ანიჭებს მოსამართლეთა კორპუსს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას, რომლის განხორციელების აუცილებელი პირობაა მოსამართლის პროფესიონალიზმი, ობიექტურობა, სამართლიანობა და მაღალი კვალიფიკაცია.

ამ თვისებათა გარეშე შეუძლებელია რეფორმის მიზნობრივი დანიშნულების განხორციელება. უფრო მეტიც, რეფორმის საფუძვლიანი სამართლებრივი ბაზაც და კონცეფციაც თავისთავად არაფერს ნიშნავს, თუ იგი არ იქნება უზრუნველყოფილი თითოეული მოსამართლის პროფესიული და პიროვნული თვისებებით. თქვენ ფლობთ თეორიულ ცოდნასაც და ცხოვრებისეულ გამოცდილებასაც. სხვაგვარად შეუძლებელიც იქნება მოსამართლის სტატუსის ფაქტობრივი შენარჩუნება, რადგან მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპის ამოქმედება ერთდროულად მოსამართლის პირადი პასუხისმგებლობის გაზრდის საშუალებაა. ჩვენი ამოცანაა, ამ ფორმულის სრულყოფილი განხორციელებისათვის შესაფერი პირობების შექმნა.

ძალიან კარგად მესმის მოსამართლეთა დანიშნულება და მათი მძიმე ტვირთიც. ამიტომ, მუდამ ვზრუნავ მოსამართლეთა ყოფითი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ცოტა ხნის წინათ ხელი მოვაწერე და პარლამენტს განსახილველად წარვუდგინე კანონის პროექტი საკონსტიტუციო მოსამართლეთა სოციალური პირობების გაუმჯობესების შესახებ. მიმაჩნია, რომ მათი მიღება უკეთეს პირობებს შეგიქმნით თქვენი მოღვაწეობის გაუმჯობესებისათვის.

იმედს გამოვთქვამ, საქართველოს პარლამენტი მხარს დაუჭერს ამ ინიციატივას.

ვსარგებლობ შემთხვევით და ამ ტრიბუნიდან მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ ავთანდილ დემეტრაშვილს, ჩვენს მეგობარს, ჩვენს თანამოაზრეს, რომელმაც უდიდესი შრომა გასწია საქართველოს კონსტიტუციის შექმნისა და შემდეგ მისი დაცვის უმაღლესი ორგანოს – საკონსტიტუციო სასამართლოს ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ბატონმა ავთანდილმა, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა და ღირსეულმა თავმჯდომარემ მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოებრივ ისტორიაში. სწორედ მისი ხელმძღვანელობით საკონსტიტუციო სასამართლომ განვლო მეტად რთული და მნიშვნელოვანი ხუთწლიანი გზა. ეს იყო საკონსტიტუციო სასამართლოს თვითდამკვიდრების პერიოდი ქვეყნის შიგნით და გარეთ.

ასევე უყურადღებოდ ვერ დავტოვებ იმ ფაქტს, რომ ბატონი ავთანდილის ინიციატივით, საკონსტიტუციო სასამართლომ, საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების გარდა, ერთგვარი დაუწერელი, „ნაგულისხმევი" ფუნქცია შეიძინა. ხელისუფლების დემოკრატიული რეფორმების კურსმა განაპირობა, რომ საქართველოში ყოველწლიურად იკრიბებიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოების თვალსაჩინო წარმომადგენლები, სამართლის ცნობილი მეცნიერები და მსჯელობენ საკონსტიტუციო კონტროლის ზოგადთეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე. იქმნება იმის საფუძველი, რომ საქართველო ახლო მომავალში კონსტიტუციონალიზმის კვლევის საკითხების ერთ-ერთი ძლიერი ცენტრი გახდება, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო დონეზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ავტორიტეტისა და მთელი სახელმწიფოს ავტორიტეტის ზრდას.

კიდევ ერთხელ დიდ მადლობას მოვახსენებ ბატონ ავთანდილ დემეტრაშვილს.

ამავე დროს გულწრფელად მინდა მივულოცო ბატონ ჯონი ხეცურიანს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ არჩევა.

მადლობა მინდა მოვახსენო საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს თავმჯდომარის პოსტზე ჩემი და ბატონების ზურაბ ჟვანიასა და ლადო ჭანტურიას კანდიდატურის მხარდაჭერისათვის.

დღევანდელი ფაქტი მოწმობს, რომ საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფო სიცოცხლისუნარიანია და აგრძელებს აღიარებულ ღირებულებათა დამკვიდრებას. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრობა საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობაა, რომელსაც სასამართლოს ყველა წევრი ინაწილებს. თქვენ კიდევ უფრო განსაკუთრებული მოვალეობანი დაგეკისრათ.

ბატონმა ჯონიმ, როგორც მოგეხსენებათ, საკმაოდ საინტერესო პროფესიული გზა განვლო. იგი არის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ერთ-ერთი ავტორი, მონაწილეობდა საქართველოს კონსტიტუციისა და სამოქალაქო კანონმდებლობის შემუშავებაში, არის იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, მინიჭებული აქვს იუსტიციის მთავარი სახელმწიფო მრჩევლის სპეციალური წოდება, იგი ცნობილია, როგორც საუკეთესო მეცნიერი და სახელმწიფო მოღვაწე, მაღალი რანგის პროფესიონალი.

ბატონი ჯონის წარსულიც და ცხოვრების წესიც მარწმუნებს, რომ იგი შესძლებს მისთვის დაკისრებული დიდი მოვალეობის პირნათლად შესრულებას. ვიმედოვნებ, თქვენი ხელმძღვანელობით საკონსტიტუციო სასამართლო კვლავაც განაგრძობს და განავითარებს იმ ტრადიციებს, რომელთა შესახებაც უკვე მოგახსენეთ. მჯერა, თქვენ და მთლიანად სასამართლო, როგორც დღემდე, ისე მომავალშიც იდგებით ქვეყნის კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სადარაჯოზე.

გულწრფელად გისურვებთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თითოეულ წევრსა და მის ახალ თავმჯდომარეს წარმატებებს ჩვენი ქვეყნისათვის ესოდენ მნიშვნელოვან საქმიანობაში.

საქინფორმი.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2001 წლის 6 ივლისი ქ. თბილისი

ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ჯანდაცვის სისტემის რეორიენტაციის პროცესში აქტიური მონაწილეობისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები:

ღირსების ორდენით:

ეთერ ბაბლუანი – საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის ცაგერის რაიონული ცენტრის დირექტორი; **ზურაბ გოლუბიანი** – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფარმაციის" დირექტორი (ხარაგაული); **ჯიმშერ გუჯაბიძე** – სააქციო საზოგადოება „ა. წულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის" ბავშვთა კლინიკური განყოფილების გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **დარეჯან ცანიძე** – საქართველოს დამსახურებული ექიმი (თბილისი); **რაულ თოფურია** – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აბაშის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების" სტომატოლოგი; **თამარ იაშვილი** – თბილისის №1 კლინიკური საავადმყოფოს დიაგნოსტიკური განყოფილების ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი; **ნადეჟდა კობიაშვილი** – გურჯაანის რაიონული საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების უფროსი ექთანი; **ოთარ მარშავა** – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქირურგიის №2 კათედრის პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი; **ზურაბ მორგოშია** – წალენჯიხის პოლიკლინიკურ-ამბულატორიული გაერთიანების მთავარი ექიმი; **ლელა ყურაშვილი** – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ცაგერის რაიონული საავადმყოფოს" კლინიკოდიაგნოსტიკური ლაბორატორიის გამგე; **არველოდი შელია** – წალენჯიხის რაიონის ქ. ჯვარის საავადმყოფო „ენგურჰესის" სამშობიარო-გინეკოლოგიური განყოფილების გამგე; **ვანიონ წულაია** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური საავადმყოფოს ნევროლოგიის განყოფილების გამგე; **მერი ჭიღლაძე** – გორის სტომატოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარე.

ღირსების მედლით:

ზაურ ახვლედიანი – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ლაჯანის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების" დირექტორი (ცაგერი); **ბლუდა ზურაბიანი** – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ცაგერის რაიონული საავადმყოფოს" ქირურგიული განყოფილების გამგე; **ირინა კობახიძე** – სააქციო საზოგადოება „აკადემიკოს გ. მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის" სწავლული მდივანი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი; **მარიამ ქურდაძე** – სააქციო საზოგადოება „კასპის რაიონული საავადმყოფოს" მეან-გინეკოლოგი; **ნათელა ხეცურიანი** – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ცაგერის რაიონული საავადმყოფოს" სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილების გამგე.

ე. შევარდნაძე.

გუშინ

ჯონი ხეცურიანი – ახალი თავმჯდომარე

[illegible]

თავმჯდომარის პოსტზე ჯონი ხეცურიანის კანდიდატურა საქართველოს პრეზიდენტმა, პარლამენტისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეებთან შეთანხმებით, წარუდგინა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს, რომელთაც საგანგებოდ გამართულ პლენუმზე ფარული კენჭისყრით ჯონი ხეცურიანი ერთხმად აირჩიეს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ. კონსტიტუციის თანახმად, ჯონი ხეცურიანი ხუთი წლის ვადით იქნა არჩეული.

საკონსტიტუციო სასამართლოს არსებობის ხუთი წლისთავზე თავმჯდომარეობის ვადა გაუვიდა მის პირველ თავმჯდომარეს ავთანდილ დემეტრაშვილს, რომელსაც, ამასთან ერთად, ნებაყოფლობით გადადგომის გამო ვადამდე შეუწყდა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილება.

საკონსტიტუციო სასამართლომ მადლობა გადაუხადა ბატონ ავთანდილ დემეტრაშვილს ამ წლების განმავლობაში თანამშრომლობისა და გაწეული მნიშვნელოვანი საქმიანობისათვის.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ახალ თავმჯდომარეს მაღალ და უაღრესად პასუხსაგებ თანამდებობაზე არჩევა მიულოცა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.

საქინფორმი.

სარჩელი

ვალერი ასათიანმა სასამართლოს მიმართა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, კულტურის ექსმინისტრმა ვალერი ასათიანმა სასარჩელო განცხადებით მიმართა სასამართლოს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2"-ის გადაცემა „60 წუთში" მისთვის წაყენებული უმძიმესი ბრალდებების გამო, რომელთა სრული უსაფუძვლობა დაადგინა გენერალური პროკურატურის მიერ ჩატარებულმა გამოძიებამ. პროკურატურის დადგენილება გამოქვეყნდა პრესაში.

ვალერი ასათიანი უდიდეს მადლიერებას გამოხატავს საზოგადოებისა და ქვეყნის პრეზიდენტის მიმართ, რომელთაც უმძიმეს დღეებში მისდამი თანადგომა გამოხატეს.

სასარჩელო განცხადებაში ვალერი ასათიანი ითხოვს მისი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების საჯაროდ უარყოფასა და მორალური ზიანის ანაზღაურებას ათი მილიონი ამერიკული დოლარის ოდენობით (ეროვნულ ვალუტაში).

ვალერი ასათიანის განცხადებით, ბუნებაში არ არსებობს მისთვის და მისი ახლობლებისათვის მიყენებული ტკივილის კომპენსირების საშუალება. მისივე თქმით, თუ რეფორმირებული სასამართლო სრული ობიექტურობით განიხილავს საკითხს და მიიღებს სამართლიან გადაწყვეტილებას, ამით შესაძლებელი გახდება როგორც მისი შელახული უფლებების ნაწილობრივი აღდგენა, ასევე, მომავალში, საზოგადოების დაცვა მორალური და ფსიქოლოგიური ტერორისაგან.

ჩვენი გაზეთის 8 ივლისის ნომერში პროფესორი ნოდარ ლომოური, „რუსთავი-2"-ის გადაცემა „60 წუთთან" დაკავშირებით გამოხატავს რა საზოგადოების დიდი ნაწილის აზრს, კატეგორიულად მიიჩნევს, რომ ტელევიზიასა და პრესაში სრულად და ამომწურავად უნდა გაშუქებულიყო როგორც ჟურნალისტთა კავშირში გამართული პრესკონფერენცია, ასევე უნივერსიტეტსა და მწერალთა კავშირში შემდგარი თავყრილობები.

ამასთან დაკავშირებით, საინიციატივო ჯგუფმა თხოვნით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს, რათა შესაძლებელი გახდეს ვიდეომასალის სახელმწიფო ტელევიზიის I არხზე ჩვენება.

თხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში გამორიცხული არაა, ამ თემის გაშუქება შესაძლებელი გახდეს სხვა სატელევიზიო არხების საშუალებით.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2001 წლის 8 ივლისი ქ. თბილისი

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ცალკეული სასაზღვრო კომენდატურა „მესტიის" სამხედრო მოსამსახურეთა საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებისა და წახალისების შესახებ

საქართველო-რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვრის ყაბარდო-ბალყარეთის მონაკვეთზე 2001 წლის 6-7 ივნისს საზღვრის დამრღვევთა ორგანიზებული შეიარაღებული ჯგუფის დაკავებისას გამოვლენილი მაღალი პროფესიონალიზმის, მამაცობისა და მხედრული ვალის მოხდისათვის საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ცალკეული სასაზღვრო კომენდატურა „მესტიის" სამხედრო მოსამსახურეები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედლებით და გამოეცხადოთ მადლობა:

III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით:

ემზარ მუშკუდიანი – მაიორი, კომენდანტი.

მედლით „მხედრული მამაცობისათვის"

ლევან დადეშქელიანი – უფროსი სერჟანტი, სასაზღვრო საგუშაგო „ნაკრას" პირველ მსროლელთა ათეულის მეთაური; **მურთაზ სუბელიანი** – უფროსი სერჟანტი, სასაზღვრო საგუშაგო „ნაკრას" პირველ მსროლელთა ათეულის უფროსი მსროლელი ყუმბარმტყორცნელი; **ოთარ მუკვანი** – რიგითი, სასაზღვრო საგუშაგო „ბეჩოს" [illegible]; **ალბერტ ჩხეტიანი** – რიგითი, სასაზღვრო საგუშაგო „ნაკრას" მეორე მსროლელთა ათეულის ყუმბარმტყორცნელი; **ომარ ცინდელიანი** – რიგითი, სასაზღვრო საგუშაგო „ნაკრას" მეორე მსროლელთა ათეულის მსროლელი.

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის".

კორნელი გვარმიანი – კაპიტანი, სასაზღვრო საგუშაგო „ნაკრას" უფროსის მოადგილე პირად შემადგენლობასთან მუშაობის დარგში; **დავით ნიგურიანი** – რიგითი, სასაზღვრო საგუშაგო „გუმაჩის" პირველ მსროლელთა ათეულის უფროსი მსროლელი, მსროლელ-მეტყვიამფრქვევე; **თემურ ფალიანი** – მაიორი, კომენდანტის მოადგილე დაზვერვის დარგში – დაზვერვის უფროსი; **ხუტა ქურდიანი** – ვიცე-პოლკოვნიკი, შტაბის უფროსი – კომენდანტის პირველი მოადგილე; **ჯუმბერ ჯაფარიძე** – რიგითი, ზურგის სანივთე სამსახურის მუშაკი.

გამოეცხადოთ მადლობა:

ამირან ანსიანს – რიგითს, სასაზღვრო საგუშაგო „ნაკრას" სამეურნეო ათეულის რიგითს; **ევტიხი ანსიანს** – რიგითს, სასაზღვრო საგუშაგო „ნაკრას" პირველ მსროლელთა ათეულის მსროლელს; **ზაურ გერლიანს** – უფროს სერჟანტს, კავშირგაბმულობის ქვეგანყოფილების უფროსს; **ვალერიან გვარმიანს** – სერჟანტს, სასაზღვრო საგუშაგო „ნაკრას" პირველ მსროლელთა ათეულის უფროს მსროლელ მეტყვიამფრქვევეს; **ელგუჯა მარგიანს** – ლეიტენანტს, სარეზერვო საგუშაგოს უფროსს; **ზაქრო მუშკუდიანს** – რიგითს, სასაზღვრო საგუშაგო „ნაკრას" მეორე მსროლელთა ათეულის უფროს მსროლელ მეტყვიამფრქვევეს; **მაიზერ მუშკუდიანს** – ლეიტენანტს, სარეზერვო საგუშაგოს უფროსის მოადგილეს; **ბესარიონ ნიგურიანს** – რიგითს, სასაზღვრო საგუშაგო „ნაკრას" სამეურნეო ათეულის რიგითს; **თეიმურაზ ჯაფარიძეს** – უფროს ლეიტენანტს, კომენდანტის მოადგილეს შეიარაღებისა და ტექნიკის დარგში, შეიარაღების და ტექნიკის ქვეგანყოფილების უფროსს.

ე. შევარდნაძე.

შეხვედრა სემინარის მთავარ კონსულტანტთან

გუშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკური პარტიის ლიდერს და ეროვნული კომიტეტის ხაზინადარს მაიკლ დუნკანს. იგი საქართველოში საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის ეგიდით იმყოფება და 7-8 ივლისს საქართველოს მოქალაქეთა კავშირის წევრებისათვის პარტიული მშენებლობის საკითხებისადმი მიძღვნილი სემინარის მთავარი კონსულტანტი იყო.

ნაწილობრივ შეთანხმდნენ

საპარლამენტო ოპოზიცია 10 ივლისს პრეზიდენტის რეგიონული პოლიტიკისა და მართვის სამსახურის ხელმძღვანელს ბადრი ხატიძეს შეხვდა. იმსჯელეს თვითმმართველობის შესახებ კანონპროექტებში ცვლილებების აუცილებლობაზე.

მრავალსაათიანი განხილვის შემდეგ თვითმმართველობის საკითხებზე შეთანხმებას პირველ დონეზე მიაღწიეს. განხილვის საგნად კვლავაც რჩება რაიონების და დიდი ქალაქების დონეზე გამგებლებისა და მერების არჩევითობის საკითხი. ბადრი ხატიძე მიიჩნია, რომ დღევანდელ ეტაპზე მერებისა და გამგებლების დანიშვნის მექანიზმი შენარჩუნებული უნდა იყოს. ეს აუცილებელია მათი პასუხისმგებლობისთვის ცენტრალური ხელისუფლების წინაშე. ამავე დროს იგი ფიქრობს, რომ არჩევითობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი, ერთ-ერთ ვარიანტად ბადრი ხატიძე მიიჩნევს იმას, რომ შესაძლებელია საკრებულოში არჩეული წევრებიდან გამგებელი პრეზიდენტმა დანიშნოს.

დღეს პარლამენტის თვითმმართველობისა და რეგიონული პოლიტიკის კომიტეტში გაფართოებული სხდომა გაიმართება.

ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა.

გამარჯობათ!

ჩააბარეთ თუნდაც... ილიას ბიუსტი!

[illegible]

თუმცა მეც კარგი ვინმე ვარ, – ამ დიდებულ მამულიშვილთან უნივერსიტეტის ბაღიდან ილია ჭავჭავაძისა და გიორგი ჩუბინაშვილის ბიუსტების ერთ-ერთი ქურდის ნებისმიერი დონით შედარება როგორ იქნება!

ამიტომ სჯობს მთავარ სათქმელზე გადავიდეთ.

მაგრამ მანამდე ერთი „წვერებიანი" ანეკდოტი მინდა შევახსენო მკითხველს, რომლის გაზეთში წაკითხვაც მას შესაძლოა, უბადლოდ და უხამსობადაც მოეჩვენოს, მაგრამ...

ერთ სოფელში მატყლის ჩაბარების გეგმის შესრულება გასჭირვებიათ, ათიოდე კილოგრამი დაჰკლებიათ.

– სასწრაფოდ გაკრიჭეთ და გაპარსეთ ყველა მამაკაციო! – უბრძანებია გეგმის შესრულებისთვის პასუხისმგებელს.

შესრულებულა გეგმა.

– რა იოლად გადაერჩით, – შვებით ამოუსუნთქავს ერთ გლეხს.

– კატოესკის დაგამსგავსეს და რა გახარებს, შე უბედუროო, – გაუკილავს მეორეს.

– უბედურები მაშინ ვიქნებოდით, კვერცხის ჩაბარების გეგმის შესრულება რომ გასჭირვებოდათო, – მოსწრებულად უპასუხნია „კატოესკის".

ახლა კი მთავარი სათქმელი.

ვინ უწყის, რამდენჯერ და რა დონეზე თქმულა (მწვავე ტელე-რადიო გადაცემებსა თუ საგაზეთო პუბლიკაციებს არც ვთვლი), სამართალდამცავებსაც რამდენჯერ კატეგორიულად მოუთხოვიათ, თვით ცალკეულ პარლამენტარებსაც დაუყენებიათ საკითხი პარლამენტისავე სხდომებზე, რომ საჭიროა გაუქმოთ ფერადი ლითონების ჩამბარებელი პუნქტები, მაგრამ...

საკითხი, თითქოს, დღესავით ნათელია – რომელი ფერადი ლითონების მწარმოებელი ქვეყანა ჩვენა ვართ, რომ ასეთი პუნქტების არსებობას გამართლება ჰქონდეს!

ხომ ფაქტია, რომ მათი არსებობით ერთგვარად ვუბიძგებთ კიდეც დანაშაულისკენ ქურდბაცაცებსა თუ სულმოკლე ადამიანებს?

ჰოდა, იჭრება სატელეფონო ხაზები თუ მაღალი ძაბვის ელექტროსადენები, რასაც ხშირად ადამიანთა მსხვერპლიც მოჰყოლია, სპილენძისა თუ ალუმინისაგან იძარცვება შემორჩენილი მანქანა-დანადგარები, აუცილებელი სასიგნალო თუ სხვა სახის მოწყობილობები, რის გამოც საშიში ხდება და ფერხდება სარკინიგზო შემადგენლობების მოძრაობა...

ჩამონათვალის განგრძობა კიდევ შეიძლება, მაგრამ საჭირო არ არის. ისედაც ყველამ ყველაფერი კარგად იცის.

ამიტომაც ლოგიკურად ისმის კითხვა: რატომ იკავებს თავს პარლამენტი ამ პუნქტების აკრძალვისგან?

ნუთუ მართალია მოარული ხმები, რომ სწორედ ზოგიერთი პარლამენტარი ლობირებს მათ და ქვეყნის ინტერესების საზიანოდ ისქელებს ჯიბეს?

ან იქნებ იმას ვიმიზეზებთ მიზეზად, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში მეწარმეს ინიციატივას ვერ ავუკრძალავთ?

ეს არ არის მთლად უგულებელსაყოფი მოტივი, მაგრამ ბევრი „ახალი ქართველის" „ინიციატივიანობისა" და გაუმაძღრობის ამბავი რომ ვიცი, ზოგიერთმა მათგანმა შესაძლოა... ადამიანის ცალკეულ ორგანოთა შემსყიდველ-ჩამბარებელი პუნქტების გახსნაც მოიგონოს (ცუდი მაგალითი ხომ გადამდებია!).

თუ კარგი ლობისტებიც შეიგულეს, რა და ვინ შეუშლით ხელს?

აი, მაშინ ნახეთ, ყველაზე უკეთეს შემთხვევაში, როგორ დაგვაჭრიან ცხვირსა თუ ყურებს და, შინაგანად თუ არა, გარეგნულად მაინც დაგვამსგავსებენ იმ უხეირპიროებს, რომელთაგან ზოგიერთს ილია ჭავჭავაძის ბიუსტის მოპარვა შეუძლია, ზოგიერთს კიდევ – 60 ლარად მისი მიღება და, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს ამაზრზენი ვანდალიზმი სავსებით სამართლიანად აღაშფოთებს მთელ საზოგადოებას, დანაშაულში საკუთარი მონაწილეობის კვალის დაფარვის მიზნით მისი მტკვარში გადაგდება.

ამიტომ პირადად ჩემი და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის, არ შევცდები თუ ვიტყვი, ქვეყნის ჟურნალისტური კორპუსის და, საერთოდ, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მთელი საზოგადოებრიობის სახელით მოვითხოვთ ფერადი ლითონების შემსყიდველი პუნქტების საქმიანობის აკრძალვას.

ერის ხმა და ღმერთის ხმა კი ერთია, ბატონებო, ვისაც ეს გეხებათ!

ამიტომ უთუოდ და ოპერატიულად იღეთ იგი ყურად!

თორემ, თუ ზოგიერთებმა ადამიანის ორგანოთა შემსყიდველ-ჩამბარებელი პუნქტები მართლაც გახსნეს, ჩვენ, უორგანოებოდ დარჩენილ ხალხს, არც სხვადასხვა ხელმძღვანელი ორგანო დაგვეჭირდება!

მორიგი რედაქტორი.

P.S. წერილი უკვე მზად იყო დასაბეჭდად, როდესაც პარლამენტის თავმჯდომარე გამოვიდა ქვეყნიდან ჯართის ექსპორტის აკრძალვის ინიციატივით. იმედია, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო მხარს დაუჭერს ამ ინიციატივას.

ზ. რ.

პრეზიდენტი

მე ვიცი, რომ ჯანმრთელია, შენც იცი, რომ ჯანმრთელია, მაგრამ მე მიხარია და შენ არ გიხარია, შე კარგო ადამიანო

(პირველი გვერდიდან)

და მაინც, პერიოდულად ჩნდება ჭორზე დამყნობილი ინფორმაცია პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების თაობაზე. ამის მთქმელი ისეთ ტრაგიკულ სახეს მიიღებს ხოლმე, გეგონება, თვითონ განიცდის ავადმყოფობით გამოწვეულ ტკივილებს, მაგრამ თუ კარგად დაუკვირდები, მისი დაჟინებული მსჯელობა იოლად მიგახვედრებს, რომ ყურმოკრულ, მისნაირისვე ნათქვამის სინამდვილედ შემოსაღებას გიპირებს.

ვინც თვალს ადევნებს ბოლოდროინდელ პოლიტიკურ პროცესებს, ვინც ტელევიზიით მაინც იხილა საქართველოს პრეზიდენტის თუნდაც ამ ორიოდე დღის წინანდელი გასვლა შირაქში, მას სრულიად უადგილოდ და უდროოდ მოეჩვენება დღევანდელი პუბლიკაცია.

ამ საუბრის გამოქვეყნების მიზანი იმის მტკიცება არ გახლავთ, რომ პრეზიდენტი ავად არ არის. მის მკურნალ ექიმზე უკეთ ვინ შეიძლება იცოდეს, როგორი ჯანმრთელობა აქვს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს. ამიტომაც ქალბატონ გულიკო ჩაფიძესთან ინტერვიუ სწორედ ბოლოდროინდელი და პერიოდული ხმების შესახებ საუბრით დავიწყე.

შირაქი, 2001 წლის 7 ივლისი.

– ქალბატონო გულიკო, ამ ბოლო დროს და, საერთოდ, პერიოდულადაც ჩნდება ხოლმე ინფორმაციები ქვეყნის პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შესახებ. თქვენ, როგორც ბატონ ედუარდ შევარდნაძის პირადი მკურნალი ექიმი, როგორ შეაფასებთ პრეზიდენტის ჯანმრთელობას?

– ძალიან კარგად მესმის ყველას დიდი ინტერესი ბატონ ედუარდ შევარდნაძის ჯანმრთელობის მიმართ, რადგან იგი სახელმწიფოს მეთაურია და, ალბათ, ყველა ძალიან დაინტერესებულია, რომ პრეზიდენტი ჯანმრთელი იყოს. ხშირად მომმართავდნენ ამ შეკითხვით ოფიციალური პირებიც, სხვებიც, ჟურნალისტებიც.

რა შემიძლია გითხრათ? ჩვენი პრეზიდენტი პრაქტიკულად აბსოლუტურად ჯანმრთელი ადამიანია. მე ვიცი, რომ ქალაქში ძალიან დიდი ჭორი დადის. ხან ერთ დაავადებას ასახელებენ, ხან – მეორეს. ეს არ არის ახალი ამბავი. ჯერ კიდევ კომუნისტების დროს, როცა ბატონი ედუარდი ცეკას მდივანი იყო და მე დავინიშნე ექიმად, მაშინ ითქვა, რომ მან გადაიტანა ინფარქტი და ამიტომ შეურჩიეს კარდიოლოგი. ეს აბსურდია. პრეზიდენტი რომ ჯანმრთელია, ყველაფერ ამაზე მეტყველებს, თუ გნებავთ, მისი დღის რეჟიმი. მე მგონი, არავის ახსოვს ისეთი დღე, რომ იგი 9 საათზე სამსახურში არ ყოფილიყოს. 9-ის ნახევარზე, როგორც წესი, შინიდან გადის და ბრუნდება, იშვიათად 8-9 საათზე, ძირითადად 10 საათზე და უფრო გვიან. ასე რომ, მისი სამუშაო დღე არის 10-12 საათი. ეს ხდება ყოველდღე, გამონაკლისის გარეშე.

რაც შეეხება დასვენებას, ბოლო 10 წელიწადში ორჯერ იყო დასასვენებლად. ერთხელ 10 დღით და მეორედ 12 დღით. დანარჩენი დრო სულ მუშაობს და რა ინტენსივობით, ეს ყველასთვის ნათელია. ყოველდღე ტელევიზიით ვხედავთ, რომ აქვს მიღებები, შეხვედრები, ობიექტებს ათვალიერებს, ღონისძიე[illegible] ვთ, ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია.

ბევრჯერ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ: როდესაც დიდი მოხსენებით გამოდის და ზოგჯერ კითხულობს, მას სათვალეც კი არ უკეთია. მის ასაკში კი სრულიად მისაღები იქნებოდა, და არავინ გაიოცებდა, რომ სათვალე ეტარებინა. იმასაც მოგახსენებთ, რომ პრეზიდენტს ჯერ კბილი არ ამოუღია და არ დაუბჟენია. კბილის ექიმს თუ უნახავს, მხოლოდ იმიტომ, რომ სანაცია გაეკეთებინა, გაეწმინდა.

ასე რომ, იმის ლაპარაკი, თითქოს ავად იყო, ხან ერთი დაავადება ჰქონდა, ხან – მეორე, განსაკუთრებით, შაქრიან დიაბეტზე ლაპარაკობენ, მხოლოდ ჭორია. ამ ბოლო დროს რამდენჯერმე ხმამაღლა ითქვა, რომ რაღაც ოპერაცია გაიკეთა. რაც არ უნდა იოლი ოპერაცია გაიკეთოს ადამიანმა, ერთი დღე ხომ აუცილებლად უნდა იწვეს, ან უბრალოდ შინ იყოს?

გაუგებარია ეს ხმები და ჭორები!

ჩემი სამუშაოს სპეციფიკის გამო შევხვედრივარ სხვა პრეზიდენტების ექიმებს. გაკვირვებულები არიან. მათი პრეზიდენტები დილის 10 საათზე მიდიან სამსახურში, 5-6 საათზე ამთავრებენ სამუშაო დღეს. შაბათ-კვირას ისვენებენ. წელიწადში [illegible] შეიძლება – ფენომენალური მეხსიერების ადამიანია. ისეთი დეტალები და ფაქტები ახსოვს, ვერც კი წარმოიდგენთ.

ასე რომ, არც კი ვიცი, რამ მისცა საფუძველი ამ ჭორების მოყვარულთ, ასე ილაპარაკონ პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. თუ იმიტომ საუბრობენ, რომ მისი კარგად ყოფნა უნდათ, მე ყველას ვაწყნარებ და ვეუბნები, რომ ნამდვილად ჯანმრთელად არის. თუ სხვა აზრით კითხულობენ, მაშინ ვურჩევ – ტყუილად ნუ დაშვრებიან.

– თქვენ თუ ურჩევთ ხოლმე პრეზიდენტს, რომ აუცილებელია დასვენება?

– როგორ არ ვურჩევ. მე იმასაც კი ვთხოვ, რომ შაბათს ან კვირას, თუ იმის საშუალება არ არის, რომ მთელი დღე დაისვენოს, ერთი-ორი საათით გვიან მაინც წავიდეს სამსახურში და შინ ერთი-ორი საათით ადრე მივიდეს. ამასაც ვერ მივაღწიე და დასვენებაზე ჯე[illegible]

– გარდა იმისა, რომ პრეზიდენტის მკურნალი ექიმი ვარ, მე ჩვეულებრივ ავადმყოფებსაც ვმკურნალობ და ხშირად მეუბნებიან, – დამინიშნეთ ის წამალი, რომელსაც უნიშნავთო პრეზიდენტს.

არანაირი განსაკუთრებული წამლები არ არსებობს და, რასაკვირველია, განსაკუთრებულსაც არაფერს ვუნიშნავ.

როგორც მკურნალი ექიმი, პრაქტიკულად არც ვშორდები. მაგრამ [illegible] ექიმი, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს მის ჯანმრთელობას.

პერიოდულად, რასაკვირველია, ვამოწმებთ ჯანმრთელობის მდგომარეობას. წელიწადში სამჯერ, ზოგჯერ ოთხჯერაც, რისი გაკეთებაც შეიძლება მისი მოუცლელობის გამო, ვაკეთებთ ანალიზებს. საზღვარგარეთ ყოფნისას, 2-3 წელიწადში ერთხელ, ყოველთვის მიცდია, რომ რომელიმე კარგ კლინიკაში ერთი-ორი საათით მივსული[illegible]

– ქალბატონო გულიკო, აქაური მძიმე რეჟიმის მეტნაკლებად მოწესრიგება კიდევ შესაძლებელია. საზღვარგარეთ ვიზიტებისას კი ეს, ალბათ, პრაქტიკულად შეუძლებელია. ადამიანის ჯანმრთელობაზე მოქმედებს მგზავრობაც.

– უცხოეთში ვიზიტების პროგრამა ძალიან დატვირთულია. როცა დიდი ხანი გეიწევს ფრენა, მაგალითად, იაპონიაში, ამერიკაში, ეს 12-14-საათიანი მგზავრობაა. ამ დროს დელეგაციის ყველა წევრი, ბევრი ძალიან ახალგაზრდაც კი, ფეხზე ძლივს დგას ხოლმე. ჯერ ერთი, თვითმფრინავში ყოფნისას პრაქტიკულად სულ მუშაობს. ჩასვლის შემდეგ 40 წუთი, მაქსიმუმ, ერთი საათი შეისვენებს და იწყება წარმოუდგენლად დატვირთული გრაფიკი – შეხვედრები, მიღებები და ასე დაუსრულებლივ. უცხოეთში კიდევ უფრო გვიან მთავრდება მისი სამუშაო დღე, ზოგჯერ ღამის პირველ საათზეც კი. დილას 8 საათზე, როგორც წესი, სამუშაო საუზმე და ისევ მიღებები და შეხვედრები...

საოცრება ის არის, რომ მიუხედავად დაძაბული სამუშაო რეჟიმისა, მის სახეზე მუდამ ღიმილია და ისე გამოიყურება, თითქოს ის დღე სულაც არ იყო დატვირთული.

– დაწყობილი ქვეყნის მეთაურობა, სადაც ყველამ თავისი საქმე იცის და აკეთებს, ბუნებრივია, შედარებით ადვილია. ჩვენთან ახლა შენდება სახელმწიფო და გასაკვირი არც უნდა იყოს მძიმე რეჟიმით პრეზიდენტის მუშაობა. არ შეიძლება ასეთმა დაძაბულმა სამუშაომ, ფსიქოლოგიურმა შემოტევებმა პარლამენტიდან, პრესიდან და ტელევიზიიდან, გავლენა არ მოახდინოს. თქვენ, როგორც მისი მკურნალი ექიმი, როგორ ფიქრობთ, რა აძლებინებს პრეზიდენტს სულიერად?

– ალბათ, თავისი ქვეყნის ძალიან დიდი სიყვარული და თავდადება. მე ბევრჯერ მიფიქრია ამაზე. ყოფილა საშინელი ტელეგადაცემები ან გაზეთში გამოქვეყნებული საშინელი წერილი[illegible] ტელევიზიით რომ გადმოიცემა, მაგალითად „დარდუბალა“, – ეს არ არის მხოლოდ ჩემი დამოკიდებულება, როგორც მისი ექიმის, – როგორც მოქალაქე აღშფოთებული ვარ. ასეთივე რეაქცია აქვს პრაქტიკულად ყველას, ვისაც ყოველდღიურად ვხვდები. ისინი კი ყველა ფენის წარმომადგენლები არიან – მუშებიც, უმუშევრებიც, დალხინებულიც და გაჭირვებულიც, ყველა აღშფოთებულია.

ბატონი ედუარდი ქვეყნის პრეზიდენტია, ქვეყნის სიმბოლოა და პატივისცემა აუცილებელია. მე არ ვლაპარაკობ სიყვარულზე, მაგრამ როგორ შეიძლება პიროვნებას ამხელა შეურაცხყოფა მიაყენო, რასაც ისინი აკეთებენ?!

მე არასოდეს ვყოფილვარ პოლიტიკოსი, ჩვეულებრივი ექიმი ვარ, არაფერში არ ვერევი, არც პოლიტიკაზე ვლაპარაკობ, მაგრამ რაც ხდება, ეს გადაცემები, ეს საგაზეთო წერილები აღმაშფოთებელია. ძალიან მიკვირს, „საქართველოს რესპუბლიკის“ და ზოგიერთი სხვა გაზეთის გარდა, რატომ არავინ არ გამოდის და ხმამაღლა არ გამოხატავს თავის აღშფოთებას.

მე ვუყურე გადაცემას ბატონ ვალერი ასათიანზე. რასაკვირველია, აღშფოთებული ვიყავი, როდესაც მას ასეთი ბრალდება წაუყენეს და ძალიან მართებული იყო, რომ ხალხმა მხარი დაუჭირა და გვერდში დაუდგა ბატონ ვალერის. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს ხალხი რატომ არ არის აღშფოთებული, როდესაც ქვეყნის პრეზიდენტს შეურაცხყოფას აყენებენ?! ეს ხომ მათი შეურაცხყოფაა, ჩვენი შეურაცხყოფაა, ხალხის შეურაცხყოფაა!

– ქალბატონო გულიკო, შეუძლებელია პრეზიდენტის სულიერ სიმშვიდეზე გავლენას არ ახდენდეს ოჯახი. უფრო მეტიც, ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი არ იყოს ის გარემო, სადაც მას დაძაბული სამუშაო დღის შემდეგ უწევს მისვლა.

– რასაკვირველია, ოჯახს ძალიან დიდი მნიშვნელო[illegible] თავს, რაღაცის თქმა, ალბათ, შეუძლია მეუღლესთან. რამდენიმე დღის წინათ შვილიშვილი ჩამოვიდა და იმ მომენტს შევესწარი, როცა ბაბუა და შვილიშვილი ერთმანეთს შეხვდნენ, როგორ ჰყავდა ჩახუტებული.

ეს, რა თქმა უნდა, ძალიან დადებითი ფაქტორია. მას ჰყავს არაჩვეულებრივი შვილები, შვილიშვილები და, აქვე მინდა ვთქვა, რომ პრეზიდენტს ძალიან უყვარს ბავშვები. ვიცი ეს და ზოგჯერ ჩემი შვილიშვილები მიმყავს. როცა რაღაც პერიოდი ვერ მივიყვან, მსაყვედურობს ხოლმე, ბავშვებსაც საყვედურობს.

ძალიან დიდი როლი აკისრია მეუღლეს, რომელსაც მისი ძალიან კარგად ესმის, რომელიც სულ მის გვერდშია და ყოველმხრივ ცდილობს ბატონი ედუარდის ცხოვრება შეამსუბუქოს. ქალბატონ ნანულის ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის იმაში, რომ ბატონ ედუარდს ამდენი შეუძლია.

– პირად მკურნალ ექიმს?

– პირად მკურნალ ექიმს პრაქტიკულად არანაირი წვლილი არ მიუძღვის (იცინის). როგორც ექიმი, პრაქტიკულად არაფერს არ ვაკეთებ. მართალია, ხან გაცივდება, შეიძლება სიცხეც მისცეს, მაგრამ ამას ისე ვმკურნალობთ, რომ ფეხზე გადაიტანს, არ ჩაუწვება.

ერთიც მინდა ვთქვა: არის აბსოლუტურად უპრეტენზიო ადამიანი. ექიმის დანიშნულებას ასრულებს ყოველგვარი ჩარევის გარეშე.

– საყოველთაოდ არის გავრცელებული ლეგენდა მწვანე ჩაის შესახებ.

– მართალია, ჯერ კიდევ ადრე ლაპარაკობდნენ, რომ რაღაც განსაკუთრებულ ჩაის სვამს. ჩვეულებრივი მწვანე ჩაია, და როგორც წყალს, ისე სვამს. იმასაც მეკითხებიან, კერძებიდან რომელი უყვარს, რას მიირთმევს, რომელი კბილის პასტით იხეხავს კბილებს. ჩვეულებრივით, როგორც ყველა ადამიანი.

ის კი უნდა აღინიშნოს, რომ კვების მხრივ ძალიან ფაქიზი მჭამელია. ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჯანმრთელობისათვის. ჯერ ერთი, ძალიან ცოტას და შერჩევით მიირთმევს. დიდი მნიშვნელობა აქვს კვების კულტურას და მინდა გითხრათ, რომ ეს კულტურა ქალბატონმა ნანულიმ დანერგა თავის ოჯახში.

სასმელი, როგორც ყველა ქართველს, მასაც უყვარს. ასე რომ არ იყოს, რაღაც პერიოდში ბევრს დალევდა, და მერე საერთოდ არ გაეკარებოდა. როგორც წესი, ვახშამზე ერთ ჭიქა ღვინოს სვამს. და ეს სრულიად ნორმალური და მისაღებია.

– ვერც კი წარმომიდგენია, ნასვამი პრეზიდენტი.

– ოცდახუთი წელიწადია მათი ექიმი ვარ და საკმაოდ ახლოს ვიცნობ ამ ოჯახს, თითქმის ყოველ სალამოს [illegible]

ბონდო მძინარაშვილი.

სიახლე

სიგარეტის ბიზნესი თეთრდება

ამიერიდან ქართველი მომხმარებელი თბილისში წარმოებულ „ვაისროის“ შეიძენს

რამდენიმე დღეა ბაზარზე გამოჩნდა ვარდისფერ საქციზომარკიანი „ვაისროი“, რაც ნიშნავს, რომ იგი საქართველოშია დამზადებული. საქართველოს თამბაქოს (GTM) ფაბრიკაში „ბრიტიშ ამერიკან თობაქომ“ პოპულარული საერთაშორისო მარკის სიგარეტის „ვაისროის“ წარმოება დაიწყო. იგი ამიერიდან საქართველოში აშშ-დან იმპორტირებული მაღალი ხარისხის თამბაქოს ნაზავისგან მზადდება. თბილისში სიგარეტი იგივე დანადგარებით იწარმოება, რომელსაც „ბრიტიშ ამერიკან თობაქო“ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში განთავსებულ წარმოებაში იყენებს.

BRITISH AMERICAN
TOBACCO
GEORGIA

კომპანიამ ფაბრიკაში დაამონტაჟა მსოფლიო სტანდარტების შესატყვისი ხარისხის კონტროლის ლაბორატორია. მასში გამოცდილი სპეციალისტები მუშაობენ, რომლებიც „ვაისროის“ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას უზრუნველყოფენ. ფაბრიკა მალე დაგეგმილ სიმძლავრეს მიაღწევს და მთლიანად დააკმაყოფილებს ადგილობრივ ბაზარს.

გუშინ „ბრიტიშ ამერიკან თობაქოს“ ქართული „ვაისროის“ პრეზენტაციაზე, რომელიც „საქართველოს თამბაქოს წარმოების“ ფაბრიკაში გაიმართა, კავკასიის რეგიონში კომპანიის გენერალურმა მენეჯერმა რობერტ უოლისმა მოკლედ ისაუბრა საქართველოს სიგარეტის წარმოების გაფართოებაზე და „ბრიტიშ ამერიკან თობაქოს“ გეგმებზე. იგი მსოფლიოში უმსხვილესი სიგარეტის მწარმოებელი კომპანიაა, რომელიც 180 ქვეყანაში მუშაობს. მას ამ ქვეყნების ბიუჯეტში ყოველწლიურად 13 მილიარდი დოლარი შეაქვს. წლეულს ორ თვეში, როგორც პრეზენტაციაზე საქართველოს საგადასახადო შემოსავლების მინისტრმა მიხეილ მაჭავარიანმა განაცხადა, „ბრიტიშ ამერიკან თობაქომ“ ბიუჯეტში უკვე შეიტანა 3 მილიონამდე ლარი. მისივე განმარტებით, ეს მარტო სამ მილიონს არ ნიშნავს, რადგან სიგარეტის უცხოეთიდან შემოსატანად [illegible]

შოთა მაჭარაშვილი.

პრეზიდენტი

„მესამე ათასწლეული ჰარმონიის, შემწყნარებლობისა და ტოლერანტობის საუკუნე უნდა იყოს“



[illegible]

საქინფორმი.

კურსდამთავრებულთა გაცილება


როინ მეტრეველი: „ქვეყნის სახელით და [illegible]“

დღე – მარად სახსოვარი

[illegible]

[illegible]

სურათებზე: [illegible]

ელდარ [illegible] ფოტო.

სიმართლე კი ასეთია

რატომ ლობირებს საქართველოს პრეზიდენტი „იტერას"?

მოსაზრება, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა „იტერასთან" დაკავშირებით გამოთქვა, უკვე რამდენიმე დღეა თითქმის ყველა ტელეარხის გამუდმებული დისკუსიის საგანია. მისი საქართველოში ყოფნა-არყოფნის საკითხი ლამის პოლიტიკურ ჭრილში განიხილება. რუსეთ-საქართველოს შორის არსებული დაძაბულობის ფონზე სიტუაციის კიდევ უფრო გამწვავება, მეტადრე ყოველგვარი საბაბის გარეშე, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულად მიგვაჩნია. მით უფრო, რომ იმ უამრავი უცხოური კომპანიისგან განსხვავებით, რომლებიც „შერატონ მეტეხი პალასში" დიდი, ხმაურიანი პრეზენტაციების შემდეგ საპნის ბუშტივით უკვალოდ გაქრნენ და უკან ნახევრადგაძარცული, გაჩერებული საწარმოები მოიტოვეს, „იტერა" ის პარტნიორია, რომლის წყალობითაც საქართველოში უკვე მერამდენე წელია, ბუნებრივი აირის მიწოდების პრობლემა გადაწყვეტილია. უშუქობით გაწამებულ მოსახლეობას ეს ურთულესი საკითხი მოგვარებული აქვს, და ვფიქრობთ, საქართველოს პრეზიდენტისთვის, როცა იგი „იტერას" სასარგებლოდ საუბრობს, ამ ფაქტს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

„იტერა" 150 000 კმ სიგრძის გაზსადენის მფლობელია, რომელსაც 350 000 თანამშრომელი ემსახურება. ეს ის საკვანძო კომპანიაა, რომელიც გავლენას ახდენს მთელ ევროპაზე. იგი ამჟამად ფლობს 130 საწარმოს. დსთ ქვეყნებში 1999 წელს „იტერამ" გაყიდა 40 მლრდ. მ³, ხოლო 2000 წელს – 55 მლრდ. მ³ ბუნებრივი აირი. მას საქართველოსგან რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი ეკუთვნის. მისივე იმედზეა საქართველოს ენერგეტიკა მომავალი ზამთრის პერიოდში. საინტერესოა, რამდენად რეალურია ეს პანიკური შიში საქართველოში რუსული კაპიტალის შემოჭრის შესახებ? ან იქნებ ეს შიში იმ ხალხს აქვს, ვისი კერძო ინტერესიც ზარალდება?

მხოლოდ საქმეში ჩაუხედავ პიროვნებას შეუძლია განაცხადოს, რომ დღეს არსებობს სხვა, ალტერნატიული გზა თურქმენეთიდან, ირანიდან, აზერბაიჯანიდან ბუნებრივი აირის შემოტანისა, რადგან თავად აზერბაიჯანი რუსეთიდან ყოველწლიურად იღებს 5 მლნ. მ³-მდე ბუნებრივ აირს. სხვათა შორის, სწორედ „იტერასგან".

ჩვენი ვარაუდით, „იტერას" საწინააღმდეგო კამპანია კარგა ხნის დაწყებულია და იგი „ალსო ტრანს ინტერნეიშენელთანაა" დაკავშირებული. ამ უკანასკნელს კი, როგორც ჩანს, ზურგს ხელისუფლების მაღალი ეშელონებიდან უმაგრებენ.

საქართველოს მოსახლეობა რამდენიმე თვის განმავლობაში ინტერესით ადევნებდა თვალს ქონების მართვის სამინისტროში მიმდინარე ტენდერს. პრივატიზაციის საკონკურსო ტენდერში მონაწილეობდა „ალსო ტრანს ინტერნეიშენელი", რომელიც მიმდინარე წლის 28 თებერვლამდე ს/ს „აზოტის" პარტნიორი იყო. ამ პროცესებს მუდმივად აშუქებდა მედია, თუმცა, ზოგიერთ „მიუკერძოებელ" კოლეგას ბევრი საყურადღებო დოკუმენტი გამორჩა მხედველობიდან. ჩვენი მხრივ, მზად ვართ, კოლეგიალური დახმარება აღმოვუჩინოთ „60 წუთს" და მოვამარაგოთ იგი ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტებით. მანამდე კი მკითხველს საქმის კურსში წინასწარ ჩავაყენებთ.

ამა წლის 18 აპრილს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ორი წერილი მიიღო. ორივე მინისტრის სახელზეა გამოგზავნილი.

წერილი № 12/91

საქართველოს იურიდიულ და ადმინისტრაციულ სისტემაში საერთაშორისო დახმარების და ინვესტიციების დაუცველობა.

„ჩვენ ვართ ვესტმინსტერ ეროვნული ბანკის, პარიზის ეროვნული ბანკის, კონტონელა ბანკის და საფინანსო ბანკების დამცველი აგენტები, რომლებმაც ჩვენს ჯგუფთან ერთად მიაპყრო თქვენი ყურადღება სასამართლო პროცესების შემდგომ დარღვევას, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს საგარეო ვაჭრობაზე და საქართველოს დახმარების პაკეტზე.

1. ჯგუფის წევრ ფირმებს სავაჭრო ურთიერთობა აქვთ საქართველოს სხვადასხვა, საქართველო-რუსეთის და ქართულ-ევროპული კომპანიების სხვადასხვა სექტორთან და ბიზნესთან საქართველოში, ე. ი. წარმოებასთან, ტრანსპორტთან, ელ.ენერგიასთან და სხვა.

2. 2000 წლის ივლისში ბანკის პირველადი კრედიტის გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ორივე, ევროპულ-რუსული, მხარის მონაწილეობა საწარმოებში იყო ფალსიფიცირებული. გაერთიანებულმა ბანკებმა და წევრმა ფირმებმა საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაციებს მოსთხოვეს უსაფრთხოების უზრუნველყოფა და შედეგად მიიღეს უზრუნველყოფა, რომელიც საშუალებას იძლევა დაწყებულ იქნას ბანკის დაფინანსება.

3. ამის შემდგომ აღმოჩნდა, რომ ზემოთ თქმული ტერიტორიები მოსკოვში იმართება ან ეკუთვნის იმ მოქალაქეებს, რომელთაც გააჩნიათ ორნაირი – საქართველო-რუსეთის პასპორტები, ან მათი კერძო ფირმების ბანკები კრძალავენ ურთიერთობას ასეთ არარსებულ დაწესებულებებთან.

4. კონტრაქტები მომზადებული იყო იმ არარსებული სავაჭრო დაწესებულებების მისამართების გამოყენებით. ამის სანაცვლოდ ბანკებმა შეთავაზებული გარანტიებისთვის მოითხოვეს სახელმწიფოს კუთვნილი ორგანიზაცია თავდებად და ამ თხოვნით ისინი დააკმაყოფილეს.

5. ზემოთ გამოყენებულ ღონისძიებათა მიუხედავად, ადგილი ჰქონდა თაღლითობას. ნოემბერში საქართველოს სამმა დამოუკიდებელმა ორგანიზაციამ ევროკავშირის ბანკს Banque Nationale de Paris – დაუდასტურა არასწორი ინფორმაცია. ამის საფუძველზე ბანკმა ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაციის (კომპანიის) ოფშორულ ანგარიშზე გადარიცხა თანხა, რომელიც დაიკარგა. საქმე ეხება რამდენიმე მილიონ აშშ დოლარს.

6. სიტყვიერ დაპირებებთან ერთად 2000 წ. დეკემბერში ბანკი კიდევ ერთხელ შეეცადა მოეთხოვა სამართლიანი განხილვა, მაგრამ ეს უშედეგოდ დასრულდა.

7. ა. წ. მარტში ჩვენმა ჯგუფმა და Banque Cantonale შეაჩერა (დღეისათვის) მაქინაციები, შეიტანა რა სარჩელი საქართველოს სასამართლოში. ვხედავთ, თუ რა ძალაუფლება გააჩნია მოსამართლეს, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ კორუფციამ საქართველოში შეაღწია ძალაუფლების ყველა ფენაში და ჩვენ სხვა არაფერი დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ მივიღოთ აღმკვეთი ღონისძიებანი.

ვიცით, რომ ყველა ზემოთ ხსენებული მაქინაციის უკან დგანან ბატონი **იოსებ მამუკაშვილი** და ბატონი **დიმიტრი ზისკინდი**, რომელთაც შეუძლიათ იმოქმედონ სხვადასხვა კომპანიის სახელით საქართველოსა და რუსეთში და წარმოადგინონ არსებული ევროპული კომპანიები, რომელშიც, როგორც ჩანს, მედის „ალსო ტრანსი" (საქართველო, რუსეთი – U.K.BVI ყველა ოფისი, საქართველოს გარდა, არის ფიქციური). ECSI საქართველო და სხვა რეალური ან ფიქციური კომპანიის სახელებია.

საქართველოს ლეგალურ საკითხებს განიხილავს საქართველოს სასამართლო, ჩვენ კი, აშკარად ვხედავთ სასამართლოში არსებულ კორუფციას.

დარწმუნებული ვართ ხსენებული განცხადების სისწორეში, და, თუ იქნება ზეწოლა, დაუყოვნებლივ, გაფრთხილების გარეშე, შევიტანთ სარჩელს საერთაშორისო სასამართლოში, მოვითხოვთ საქართველოს დახმარებისა და ინვესტიციების პროგრამებზე სანქციების დადებას, ვიდრე არ აღდგება იურიდიული წესრიგი ქვეყანაში.

ჩვენ ვითხოვთ საქართველოს ხელისუფლებისაგან მხარდაჭერას, რათა შევძლოთ სასამართლოებში კორუფციის აღმოფხვრა".

პატივისცემით:

რონალდ ფეინთერი – ლეგალური საკითხების ჯგუფის თავმჯდომარე.

ბარი ბრაუნი SHB – ლონდონის ჯგუფი.

ჰარვი ჰამონი SHB – პარიზის ჯგუფი.

დენის მაბერნი SHB – ინგლისის ჯგუფი.

იან სტოუნსი SHB – სამხრეთ დასავლეთის ჯგუფი.

კიდევ უფრო შემაშფოთებელია მეორე წერილი, რომლითაც, როგორც ხედავთ, საკმაოდ გულუბრყვილო უცხოელები, რომლებსაც ჰგონიათ, რომ კრიმინალებთან ბრძოლაში საგარეო საქმეთა სამინისტრო დაეხმარება, კვლავ ბატონ ი. მენაღარიშვილს მიმართავენ. (აქვე დავძენთ, რომ ამ ისტორიაში საგარეო საქმეთა სამინისტრო არავითარ როლს არ თამაშობს, იგი უბრალოდ ამ ორი წერილის შემთხვევითი ადრესატია, როგორც საქართველოს საგარეო უწყება).

წერილი № 12/90, 18.04.2001 წ.

საქართველოს იურიდიულ და ადმინისტრაციულ სისტემაში საერთაშორისო დახმარების და ინვესტიციების დაუცველობა.

„მადლობას მოგახსენებთ პარასკევს ჩვენთან ტელეფონით საუბრისთვის, თუმცა, თქვენ აღნიშნეთ, რომ არ ძალგიძთ ჩვენი მდგომარეობის დაუყოვნებლივ გაუმჯობესება, მაგრამ ამის მიუხედავად, ვეყრდნობით თქვენს სამინისტროს სტატუსს და ვიმედოვნებთ, რომ მივაღწევთ შესაფერის ხელმძღვანელობას.

ა. წ. 16 მარტის წერილის შემდეგ მოხდა უარყოფითი მოვლენა, ამასთან დაკავშირებით, ვითხოვთ თქვენს მხარდაჭერას და დაცვას, როგორც ჩვენი ბანკებისათვის, ასევე ჩვენი სავაჭრო ინვესტიციებისათვის საქართველოში.

პარასკევს ქართველი იურისტი, რომელიც წარმოგვიდგა როგორც ბატონი **ვახტანგ კობიაშვილი** (ამტკიცებდა, რომ იგი წარმოადგენდა „ალსო ტრანსის" ჯგუფს) მოგვეახლოვდა და გვაუწყა:

1. მაქინაციების გარიგებების მოტივაცია: ფინანსური დეფიციტის გამო „ალსო ტრანსს" არაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ ჩაედინა ეს მაქინაცია და ერთი და იგივე პროდუქცია ორჯერ გაეყიდა. მეორე უცხოელმა მყიდველმაც შეიტანა სარჩელი სასამართლოში.

2. პირობა 1. სარჩელის წინააღმდეგ მათ არ შეუძლიათ წარმოადგინონ დაცვითი დოკუმენტები, ისინი დაადანაშაულებენ სასამართლო სისტემას და პროცესს იმით, რომ გადადებენ სასამართლო პროცესებს და ამით ჩვენ ზარალს მოგვაყენებენ მანამ, სანამ არ მოვეშვებით ამ შემთხვევას. მან აგრეთვე, გვითხრა, რომ იგი შეიტანდა მაქინაციურ სარჩელს ჩვენს წინააღმდეგ. მოსამართლე, მისი თქმით, ვერ გაბედავდა „ალსო ტრანსის" წინააღმდეგ ზომების მიღებას.

3. პირობა 2. თუ ყველაფრის მიუხედავად, სასამართლო ჩვენს სასარგებლოდ გამოიტანს გადაწყვეტილებას, მისი კლიენტები ხელს შეუშლიან პროდუქციის მოწოდებას (რომლისთვისაც ჩვენმა ბანკმა უკვე გადაიხადა) იმით, რომ გამოიყენებენ თავიანთ კავშირებს საქართველოს რკინიგზის მმართველებთან.

4. პირობა 3. თუ ისინი ვერ მოახდენენ ზეწოლას რკინიგზის ხელმძღვანელობაზე, მაშინ ისინი ნებისმიერი ფიზიკური საშუალებით გაანადგურებენ პროდუქციას (რომლისთვისაც, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენმა ბანკებმა გადაიხადეს). ბატონმა ვახტანგ კობიაშვილმა, აგრეთვე, განაცხადა, თუმცა, მან კარგად იცის, რომ მსგავსი მუქარა სერიოზული კრიმინალური დანაშაულია, მაინც, იძულებულია მოიქცეს ასე, რადგან ამის გაკეთება მისმა კლიენტებმა მოსთხოვეს.

ჩვენი აზრით, არ არის საიდუმლო ბიზნეს-მოლაპარაკებების გზით წარმოება, მაგრამ მაინც ვაპირებთ სარჩელი შევიტანოთ საერთაშორისო სასამართლოში, თუ ჩვენსა და ბანკების მიმართ სასწრაფოდ არ იქნება მიღებული დაცვის ზომები ბოლოდროინდელ ზომებთან დაკავშირებით.

სასამართლო მოსმენა დღეს არის. აქედან გამომდინარე, ეს საკითხები სასწრაფოდ განსახილველია".

რონალდ პეინტერი,
იურიდიული საქმეების უფროსი.

მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა ჩვეული იუმორით იკითხა, ვინ იცის, ვინ ეშმაკია ეს „ალსო", ან რას წარმოადგენს, გამარჯვეთო, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. თუმცა, „ალსოს" ლობისტები დარბაზში იმყოფებოდნენ, ყველამ დუმილი არჩია.

ამ წერილებიდან შესაფერისი დასკვნების გამოტანა ვისაც გაუჭირდება, მათ კიდევ ერთ წერილს შევთავაზებთ, რომელშიც „ალსოს" ეშმაკობა, ან, გნებავთ, ცულლუტობაა მხილებული.



ქვემო ქართლის ოლქის პროკურორს ბ-ნ ს. მაჭავარიანს

„ელექტრობაზართან გაფორმებული სამმხრივი ხელშეკრულების თანახმად „აზოტი" წარმოადგენდა ელ.ენერგიის მომხმარებელს, ხოლო „ალსო ტრანსი" – მისი ღირებულების გადამხდელს.

ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე „ალსო ტრანსმა" წარმოადგინა დოკუმენტი №03-75, 29.06.2000 წ., რომლითაც ს/ს „აზოტს" და ელექტრობაზრის დირექტორს ი. შალამბერიძეს ატყობინებდა, რომ მან გადაიხადა 663270 დოლარი, რომელიც იმ პერიოდში შეადგენდა 1,3 მლნ. ლარს (1 დოლარი – 1,96 ლარს.). ასევე დადასტურება მოგვიტანა საწარმოო კომერციული ფირმა „ოგა"-დან, რომელმაც დაგვიდასტურა აღნიშნული თანხის – 1,3 მლნ. ლარის მიღება „ალსო ტრანსიდან". ელ. ენერგიის საბითუმო ბაზრის №1/707, 17.06.00 წ. და ს/ს „თბილსრესის" №342/02-321, 16.05.00 წ. წერილით უნდა მიეღო „ალსო ტრანსიდან" აღნიშნული თანხა.

ამ დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ ეს თანხა ბუღალტრულად გატარდა „ალსო ტრანსის" სასარგებლოდ და შევიდა შედარების აქტში, როგორც გადახდილი-გადამუშავების ღირებულება და შესაბამისად გაიტანა ამონიუმის გვარჯილა (1 ტონა გადამუშავების ღირებულება შეადგენდა 24,4 დოლარს). ამრიგად, 663,27 ათასი დოლარის ფარგლებში გატანილი აქვს 27172 ტონა ამონიუმის გვარჯილა, რომლის გადამუშავების ღირებულება „აზოტისთვის" არ გადაუხდია, რადგან გაგვიქვეთა, როგორც მის მიერ გადახდილი ელ.ენერგიის ღირებულება.

შემდგომში, ელ. საბითუმო ბაზრის ხელმძღვანელობის შეცვლის მერე, ახალმა ხელმძღვანელობამ ელ. ენერგიის დავალიანების საერთო მოცულობაში 1,3 მლნ. ლარი არ ჩაგვითვალა. ვინაიდან ს/ს „აზოტს" არ შეეძლო სათანადო გამოკვლევა, მივმართეთ მსხვილ გადამხდელთა ინსპექციას, რომელიც ს/ს „აზოტში" აწარმოებდა შემოწმებას და შემოსავალ-გასავლების ანალიზს.

მსხვილ გადამხდელთა ინსპექციამ წარმოგვიდგინა საბითუმო ელექტრობაზრის 06.04.01 წ. №1472 წერილი, რომლითაც გვამცნობს, რომ ზემოთ აღნიშნულ ორგანიზაციებს არ წარმოუდგენიათ სათანადო დოკუმენტაცია. მხოლოდ 29.12.00 წ. შპს „ექიმა" „ალსო ტრანსის" დავალებით ჩარიცხა 80 ათ. ლარი, რომლითაც დროებით აღდგა ელ. ენერგიის მიწოდება „აზოტში".

აღნიშნული ფაქტი განეკუთვნება კრიმინალურ სფეროს, რადგან არსად ჩანს „ალსო ტრანსის" მიერ თითქოსდა გადახდილი თანხა, რომელიც ან ელ.ბაზრის მიერაა მითვისებული, ან არ გადაუხდია „ალსო ტრანსს", რომელმაც ს/ს „აზოტიდან" გაიტანა 27 ათ. ტონამდე ამონიუმის გვარჯილა, ანგარიშსწორების აქტში რომ შეტანილი გვაქვს გადახდილად."

დანართი 7 ფურცლად.

„აზოტის" გენერალური დირექტორი
გ. გოგოლაძე.

ვიდრე პატივცემული პროკურორი აღნიშნულ წერილში მოყვანილ ფაქტებს გადაამოწმებს, მკითხველს ვაცნობებთ, რომ „ალსო ტრანსის" ფინანსური მდგომარეობა ძალზე არასახარბიელოა. გარანტიები, რომლებიც მან ქონების მართვის სამინისტროს წარუდგინა, სხვადასხვა სახის პირობითი შეთანხმებებია და არა – საბანკო გარანტიები. საკონკურსო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ე.წ. „საფინანსო-საგარანტიო" დოკუმენტების უსაფუძვლობის გამო „ალსო ტრანსისთვის" მართვის უფლების გადაცემაზე უარის თქმის შესახებ. არადა, მართვის უფლების გადაუცემლობის შემთხვევაში „ალსო ტრანსის" საქმიანობის შეწყვეტა ს/ს „აზოტში" მისი სრული ფინანსური კრახით დასრულდება.

„ალსო ტრანსის" ყოფილმა პარტნიორმა „იტერამ" აღძრა სარჩელები სტრასბურგის სასამართლოსა და რუსეთის ფედერაციის საარბიტრაჟო სასამართლოში არსებული დავალიანებების (28 მლნ. დოლარი) იძულებითი წესით ამოღებისათვის.

ამრიგად, ტენდერში მონაწილეობამდე „ალსო ტრანსს" ჯერ, ალბათ, „იტერასთან" ფინანსური ურთიერთობის გარკვევაზე უნდა ეზრუნა.

რუსთავის მერიას, მაჟორიტარ დეპუტატს და, ალბათ, ქვემო ქართლის სამხარეო ხელმძღვანელობასაც იმაზე უნდა ეზრუნა, რომ მეტალურგიული კომბინატის 10 ათასამდე, „ქიმბოჭკოს" 3500-მდე, ცენტროლიტის, ამწემშენებელი ქარხნების, სამშენებლო ორგანიზაციების უმუშევართა არმიას ახლა „აზოტის" 4000-მდე უმუშევარი არ დამატებოდა, მაგრამ ამის მაგიერად აღნიშნული პირები და, მათ შორის, რუსთავის ყოფილი მერიც, საქართველოს პრეზიდენტს წერილობით მიმართავენ და „აზოტში" ერთხელ და სამუდამოდ სიტუაციის გარკვევას თხოვენ.

რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც, როგორც ყოველთვის, ყველაზე უკეთ ფლობს სიტუაციას და, აქედან გამომდინარე, ზედმიწევნით კარგადაა ინფორმირებული, თუ რა ხდება ს/ს „აზოტში", როგორც ჩვეულებრივი მოქალაქისა და დეპუტატის" მგზნებარე წერილებს ძალზე მოკლე რეზოლუციას ადებს:

„გირჩევთ ყველამ თავისი საქმე აკეთოს".
ე. შევარდნაძე.

თუ ამ რჩევას სხვებიც გაითვალისწინებენ, მაგალითად, ძალოვანი სტრუქტურები, და „ალსო ტრანსის" საქმიანობით დაინტერესდებიან, ს/ს „აზოტი", სადაც ერთმანეთს შეეჯახა სხვადასხვა კლანების ინტერესები, საჯიჯგნი ობიექტი აღარ იქნება.

სხვათა შორის, პრეზიდენტის სიტყვაც მთავრობის სხდომაზე, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას ეხებოდა, მაშინვე ქილიკის საგნად იქცა და მედიამ ეიფორიადაც კი მონათლა. ამის საპირისპიროდ შევეცდებით მხოლოდ ერთი საწარმოს მაგალითით დავადასტუროთ პრეზიდენტის მოსაზრების სისწორე.

1999 წლის თებერვალში 105 მლნ. ლარის ვალით ჩაიბარა ს/ს „აზოტი" ქარხანა ამჟამინდელმა დირექტორმა გოგი გოგოლაძემ. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ვალებიდან 22 მლნ. დებიტორული, ანუ დაკარგული თანხებია. 26 მლნ. ლარი კი – ზარალი.

როგორც ხედავთ, ყოფილმა დირექტორმა ზ. ლობჟანიძემ „მშვენიერად" გაართვა თავი სამუშაოს, მაგრამ მაშინ არც პროკურატურა და არც ქვემო ქართლის ადმინისტრაცია „მიღწეული შედეგებით" არ დაინტერესებულა.

ორი წლის განმავლობაში ქარხანამ გაისტუმრა 20 მლნ. ლარი.

2000 წლის 22 მარტიდან, ენერგეტიკისა და მრეწველობის სამინისტროს თანადგომით, „აზოტის" დირექტორმა პირადი ინიციატივით გააფორმა ხელშეკრულება იტერასთან და აამოქმედა ქარხანა, რომელიც დღევანდლამდე გაუჩერებლივ მუშაობს.

ქარხნის პოტენციისადმი და საქართველოს პრეზიდენტისადმი ნდობის ფაქტორი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ „იტერასაგან" მიღებული სოლიდური თანხებით მიმდინარეობს ქარხნისათვის აუცილებელი სარემონტო სამუშაოები, რის შედეგადაც დღევანდელთან შედარებით 50 პროცენტით გაიზრდება ქარხნის წარმადობა. ერთი წლის განმავლობაში გამოუშვეს 13 მლნ. ლარის პროდუქცია და 1,5 მლნ. ლარი შეიტანეს ბიუჯეტში.

„ალსოს" გარშემო თავმოყრილი ლობისტები ამას არ ელოდნენ, პირიქით სვავები ქარხნის გაჩერებას უთვალთვალებდნენ, რადგან ქარხანა მუშაობას განაგრძობდა, დაიწყეს გაკოტრების მმართველების ძებნა და სასამართლოებს მიმართეს. საოცარია, მაგრამ რუსთავის სასამართლომ (იქნებ სწორედ ლობისტთა ზეწოლის შედეგად) განიხილა რამდენიმე ყოფილი სადავო კრედიტორის საჩივარი (შპს „ინტერპაკი", აღმასრულებელი დირექტორი რ. ქართველიშვილი, რომელსაც მართვის უფლებით 1997 წლიდან გადაეცა ს/ს „რუსთავცემენტი", **„Chimexim int LTD"**, რომელსაც „აზოტში" ლობჟანიძის მუშაობის პერიოდში უშუალოდ ხელმძღვანელობდა დ. ბეჟუაშვილი; გერმანული ფირმა „ვეკერლე", რომლის გაკოტრების მმართველის კანდიდატურაც წამოყენებული იყო „ჭიათურმანგანუმის" საყოველთაოდ ცნობილი პროცესების დროს და რომლის ვალებიც „აზოტში" წარმოიქმნა ლობჟანიძის მუშაობის პერიოდში და ვის მიერ წარმოებული უხარისხო პროდუქციაც დღემდე ინახება „აზოტის" საწყობებში) და კანონის დარღვევით, „აზოტისა" და ქვეყნის ინტერესების სრული იგნორირების ფონზე, გამოიტანა უკანონო გადაწყვეტილება, რომელიც განუხილველად დატოვა ძალაში საოლქო სასამართლომ.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით მოსამართლეების გ. ჯაბანიშვილის და ქ. ბახტაძის მიმართ აღძრულია დისციპლინარული დევნა.

ნახევრად ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ს/ს „აზოტი", მუშაობას განაგრძობს. ამჟამად ნახევარ მლნ. მ³ ბუნებრივ აირს მოიხმარს, რადგან ერთი აგრეგატი კაპიტალურ შეკეთებაშია. „ალსოს" მიზეზით იგი ნოემბრიდან გაჩერებულია. აგვისტოს ბოლოს სარემონტო სამუშაოები დამთავრდება და აგრეგატს აამოქმედებენ. მაშინ ბუნებრივი აირის მოხმარება 1,2 მლნ. მ³ იქნება. ოქტომბერში დაგეგმილია კაპროლაქტამის წარმოების ამოქმედება, რასაც, შესაბამისად, ბუნებრივი აირის მოხმარების გაზრდა მოჰყვება (1,5 მლნ. მ³). მკითხველისთვის გასაგები რომ იყოს, რა სიმძლავრეებზეა ლაპარაკი, გაცნობებთ, რომ ეს არის „თბილსრესის" ერთ ბლოკზე მოხმარებულ გაზზე 1,5-ჯერ მეტი.

„აზოტი" არ არის გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი საწარმო. მას აქვს ტექნიკური პოტენციალი, შენარჩუნებულია კვალიფიციური კადრები, აქვს საექსპორტო პროდუქცია. თუ მას ხელოვნურად არ შეუქმნიან კრიტიკულ სიტუაციას კერძო ინტერესებით მოქმედი კომერციული ფირმები და ე.წ. პარტნიორები, იგი ძველ ვალებსაც გაისტუმრებს (რომელიც ახალგაზრდა და გამოუცდელი დირექტორის წყალობით დაედო) და სახელმწიფო ბიუჯეტში მნიშვნელოვან მოგებას შეიტანს.

ამასთანავე ბატონებო, დროა მუშებზეც ვიფიქროთ. ს/ს „აზოტი" სრული დატვირთვის შემთხვევაში სახელმწიფო ბიუჯეტში 10-12 მლნ. ლარს შეიტანს, გამოშვებული პროდუქციის 70 პროცენტი იქნება საექსპორტო. მაშ ასე, დასკვნები „იტერას" დამღუპველობის შესახებ, რბილად რომ ვთქვათ, ნაადრევი და გადაჭარბებული აღმოჩნდა. ჩვენი მხრივ, კი დავძენთ, რომ ამ პუბლიკაციის ავტორებს აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე პრეტენზია ნამდვილად არ გვაქვს, რამეთუ, შესაძლოა, ყველა ფაქტი ჩვენთვის ცნობილი არ იყოს, თუმცა კი გამოვთქვამთ რწმენას, რომ მასალაში მოხმობილი დოკუმენტური მასალები დაეხმარება საზოგადოებასა და სამართალდამცავებს, ნათელი მოჰფინონ ამ საკითხის ავ-კარგიანობას როგორც ქვეყნისათვის, ასევე მოსახლეობისათვის.

საქინფორმი.

მხარე

საპარტნიორო საბჭო მუშაობს

ამ წერილში იმ ცხინვალელ ბიჭებზე მინდა მოგითხროთ, ქალაქი სიჭაბუკეში რომ დატოვეს, ცხოვრების გზაზე ახლად ფეხადგმულებმა ნავსაყუდელი საქართველოს დედაქალაქში დაიმკვიდრეს, და, მიუხედავად იმისა, რომ მეჩვეულ გარემოს მოსწყდნენ, მაინც არ დაკარგულან მილიონიან ქალაქში, თავიანთი მოწოდება იპოვეს და არა მარტო ყოველდღიური არსებობისთვის იღვწიან, არამედ მშობლიურ კუთხესა და იმ ხალხზეც ზრუნავენ, ვინც დღეს იქ არის და უამრავი სიძნელის მიუხედავად, ქართულ სულს ინარჩუნებს.

ამ ზრუნვის გამოხატულებაა სწორედ ახლახან შექმნილი „ცხინვალის საპარტნიორო საბჭო", რომლის თავმჯდომარეა თბილისში ერთ-ერთი სამშენებლო ფირმის დირექტორი კოტე კევლიშვილი, აღმასრულებელი დირექტორი – საინფორმაციო სააგენტო „პრაიმ-ნიუსის" რედაქტორი ზურაბ ბენდიანიშვილი, დამფუძნებელი დირექტორი – ეროვნული ბანკის საზოგადოებრივი ურთიერთობის სამმართველოს უფროსის მოადგილე მამუკა კუსიანი. მათ გვერდით დგანან საქართველოს პარლამენტის ცხინვალის საკითხთა შემსწავლელი დროებითი კომისიის აპარატის უფროსი ავთანდილ გოგიძე, ცხინვალელი ლტოლვილი, თეატრის დირექტორი ზაზა თედიაშვილი. სულ საბჭო ჯერჯერობით ოცდაათამდე აქტივისტს აერთიანებს. ჯერ ძირითადი ბირთვის ფორმირება ხდება და მერე გაწევრიანება დაიწყება.

აქტივის წევრები ის ადამიანები არიან, წლების მანძილზე რომ პროფესიულად ყალიბდებოდნენ სხვადასხვა სფეროში და უკვე გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს.

– ერთმანეთთან შეხვედრისას ცხინვალელები ხშირად აღვნიშნავდით ხოლმე, რომ დღეს ვისაც არ ეზარება, ყველა ლაპარაკობს ცხინვალისა და ცხინვალელების პრობლემებზე, გაკეთებით კი არაფერი კეთდება, – მითხრა ავთანდილ გოგიძემ. – ერთ-ერთ ასეთ შეხვედრაზე გამოითქვა სწორედ მოსაზრება იმის შესახებ, რომ ჩვენ ბევრად კომპეტენტური ვართ საიმისოდ, რომ უსაგნოდ კი არ ვილაპარაკოთ, არამედ კონკრეტული საქმენი ვაკეთოთ ჩვენი კუთხისა და მის მცხოვრებთა სასარგებლოდ.

და დაისახა იდეა, შეექმნათ ცხინვალის პარტნიორთა საბჭო.– იდეის განსახორციელებლად მეორე დღესვე დავიწყეთ გეგმის შედგენა, – საუბარს განაგრძობს ზურაბ ბენდიანიშვილი, – გვინდა განვახორციელოთ ფართო სოციალური პროგრამა, რომელიც მოიცავს ჯანდაცვის, განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროში კონკრეტულ ღონისძიებებს, რომელთა რეალიზებაც მოხდება საერთაშორის ორგანიზაციების დახმარებით, ინვესტიციების მოზიდვით, ქართველი მეცენატების მხარდაჭერით და საკუთარი ძალებით.

– ყოველივე ეს რომ შევძლოთ, საზოგადოების თვალში იმიჯის დამკვიდრებაა საჭირო, – გვიზიარებს თავის მოსაზრებას მამუკა კუსიანი, – ამას კი საქმით უნდა მივაღწიოთ. საერთაშორისო ორგანიზაციების საფინანსო ინსტიტუტებმა ნდობა უნდა გამოიჩინონ ჩვენს მიმართ. პარტნიორთა კავშირი მოიძიებს თანხებს კონფლიქტის ზონაში კულტურული ღონისძიებების მოსაწყობად, მიიზიდავს ინვესტიციებს მცირე ბიზნესის განვითარებისათვის, სახალხო დიპლომატიის განსახორციელებლად ქართველებსა და ოსებს შორის, იმ კულტურული მემკვიდრეობის ასაღორძინებლად და შესანარჩუნებლად, რაც ორ ხალხს შორის არსებობდა ახლო წარსულში. უნდა მოვაწყოთ ისეთი ღონისძიებები, ოსებიც რომ გამოგვეხმაურებიან. თავდაპირველად ეს შეიძლება იყოს თუნდაც ორივე მხრიდან ხალხური ანსამბლების მიერ ჩატარებული კონცერტები ცხინვალშიც და მის მიმდებარე ქართულ სოფლებშიც.

პარტნიორთა კავშირი უკვე დგამს პირველ ნაბიჯებს იმით, რომ იწყებს კონსულტაციებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან. სურთ მიაღწიონ ცხინვალიდან დევნილთა საკრებულოს არჩევნებს. ამ ნაბიჯის მიზანია ვაკუუმის აღმოფხვრა ადგილობრივი თვითმმართველობის, საკრებულოების დონეზე, რომელიც წარმოქმნილია იმით, რომ არანაირი სახელისუფლო სტრუქტურა ცხინვალიდან ლტოლვილთა ინტერესების დასაცავად (აფხაზეთიდან ლტოლვილთაგან განსხვავებით) არ არსებობს არც აღმასრულებელ და არც არჩევითს დონეზე.

საკრებულოს დარგობრივ კომისიებში იმუშავებენ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები ლტოლვილთაგან. ამით მათ შეექმნებათ დასაქმების საშუალება, ამასთან, აიმაღლებენ პროფესიული ცოდნის დონესაც.

დასახული მიზნების განსახორციელებლად პირველი ნაბიჯი უკვე გადადგეს. ამას წინათ სოფელ თამარაშენში ხალხური სიმღერების ვოკალურ ანსამბლ „ლისკის" 20 წლისთავის იუბილეს მოწყობაში თავისი წვლილი შეიტანეს. ახლო მომავალში კი ცხინვალის ლტოლვილი თეატრის წამყვანი მსახიობის, საქართველოს დამსახურებული არტისტის ჯემალ გოჩაშვილის დაბადებიდან 60 და სასცენო მოღვაწეობის 45 წლისთავს აღნიშნავენ, მოაწყობენ სპორტულ ტურნეებს და ა. შ.

ასეთი გზით სურთ ახალგაზრდებს, მიაღწიონ ძირითად მიზანს: საქართველოს ხელისუფლებამ გაიგოს, საზოგადოებამ გაითავისოს თითქოსდა ყურადღების მიღმა დატოვებული პრობლემები. ამ რეგიონის ხალხი ცხოვრობს, ქმნის და თავის ადგილს იმკვიდრებს მზის ქვეშ.

ციალა კახნიაშვილი,
„სრ" საკ. კორ.

ინფორმაცია

6 თვეში – 144 ათასი ლარი ჯარიმის სახით

მიმდინარე წლის ექვს თვეში საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგანგებო ლეგიონმა საგადასახადო კოდექსის 223-ე მუხლით (გადასახადებისაგან თავის არიდება და მკაცრი აღრიცხვის სასაქონლო ზედნადების გარეშე საქონლის გადაზიდვა) გათვალისწინებული 361 სამართალდარღვევა გამოავლინა. ჯარიმის სახით ბიუჯეტში მობილიზებულია 144 ათას ლარზე მეტი.

ნახევარ-მილიონიანი გრანტის მოლოდინში

გუშინ ქონების მართვის სამინისტროში გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომლის თანახმად, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო საქართველოს მთავრობას საინვესტიციო საბანკო მომსახურებისათვის გამოუყოფს 500 ათასი აშშ დოლარის ოდენობის გრანტს.

საქართველოს ენერგეტიკის საბითუმო ბაზრის, „ელექტროგადაცემისა" და „ელექტროდისპეტჩერიზაციის" პრივატიზების მიზნით, გრანტი გადაეცემა საერთაშორისო საფინანსო კომპანია IFC-ის ტენდერის ჩასატარებლად. ტენდერი აგვისტოში დასრულდება, ხოლო სექტემბერში დაიწყება დისტრიბუციისა და გენერაციის ობიექტების განსახელმწიფოებრიობის პროცესი.

ატესტაცია ყველას შეეხება

ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროში „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად 3 ივლისს დაწყებული თანამშრომელთა ატესტაცია დღეისათვის 39-მა მოხელემ გაიარა. პირველ ეტაპზე ატესტაციას 170 მოხელე ექვემდებარება, ხოლო შემდგომში იგი სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებებსაც შეეხებათ. ამასთან, სამინისტროს აპარატის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულია კონკურსი.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, იპრინდამ.

იმერეთის მხარე

1984 წლის 24 ივნისი. ბაგრატის ტაძრის აღდგენის დასაწყისი. მარცხნიდან: დავით კვიცარიძე, ოთარ ქინქლაძე, ირაკლი აბაშიძე, რონ მეტრეველი, ლევან სანიკიძე.

(პირველი გვერდიდან)

თეიმურაზ შაშიაშვილი დარწმუნებულია, რომ დღეს საქართველოს სულიერი ერთიანობაა დარღვეული. ჯერჯერობით, ამიტომაც ვართო ასე სუსტები, მწამს და მჯერა, რომ მალე საქართველოში დიდი მოძრაობა დაიწყება სწორედ სულიერი ერთიანობისათვის, ბაგრატის ტაძარი ქართველთა ერთიანობის დიდი სიმბოლოა, მისი დაფუძნების ათასწლოვანი იუბილე უდიდესი ეროვნული მნიშვნელობის მოვლენა არისო...

თეიმურაზ შაშიაშვილი რწმენით სავსე კაცია, მებრძოლი, პირდაპირი, სიმართლის ერთგული... ახლახან (20 ივნისს) მისი წილი მზეც დადგა „შუბის ტარზე“, დაბადებიდან 50 წელიწადი შეუსრულდა და საქართველოს პრეზიდენტმა ის ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენასა და განმტკიცებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და უკანონო შეიარაღებული ფორმირებების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი შეუპოვრობისა და თავდადებისათვის ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვა.

ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ თეიმურაზ შაშიაშვილი (როგორც [illegible] ჰგონია) ქარის წისქვილებს კი არა, საქართველოს აღორძინების მტრებს ებრძვის, გათითოკაცებას და ღალატს ებრძვის, ქვეყნის ორგულებს, ფულზე დახარბებულ ბიუჯეტის მღრღნელებს ებრძვის...

თეიმურაზ შაშიაშვილი პირველი იყო, რომელმაც, 1993 წელს, თავისი ნებით უარი თქვა პარლამენტარობაზე და ქუთაისში დაბრუნდა არა მხოლოდ როგორც ქალაქის მერი, არამედ, როგორც განათლების რეფორმის დამწყები. განათლება გადაარჩენს საქართველოს! – სჯერა მას და შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებს მასწავლებელთა შრომის, ავტორიტეტის, პროფესიონალიზმის ასამაღლებლად... აგვისტოს ჩათვლით, მიმდინარე ზაფხულის ხელფასი მხარეში ყველა პედაგოგს უკვე მიღებული აქვს, ფეხქვეშ ეგება (ეს მისი ტერმინია) მოსწავლეს, სტუდენტს, თითოეულ ახალგაზრდას... აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსპერიმენტმა გაამართლა და მისაღები გამოცდების გაუქმებამ საფუძველი გამოაცალა ჩვენში ასე გავრცელებულ კორუფციას.

თეიმურაზ შაშიაშვილი, როგორც მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე (ერთდროულად ქუთაისის მერი და პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული) 1997 წლის 13 ივნისს მოხსენებით გამოვიდა საქართველოს პარლამენტში და ერთობ პრინციპული, ყველასათვის გასათვალისწინებელი დებულებები წარმოადგინა. მაგალითად, ასეთი: „ქვეყანაში კორუფციის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის უპირველესი საფუძველი კონკურენტული გარემოს შექმნაა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს, ხელისუფლების უპირველეს საქმედ, უმთავრეს ფუნქციად სწორედ კონკურენტული გარემოს შექმნა, საშუალო ბიზნესის განვითარება, აღრიცხვიანობის მოწესრიგება მიმაჩნია“.

სამწუხაროდ, მის მართალ და გულწრფელ შენიშვნებს იშვიათად (ან ძალიან გვიან!) ითვალისწინებენ. ამიტომაც გახდა თითოეული ჩვენგანისთვის ეგრეთ წოდებული გარდამავალი პერიოდი ასე მტკივნეული და დროშიც – გაწელილი.

დრო კი, სწრაფად გარბის და პატარა, მრავალტანჯულ ქვეყანაში ისევ ისე ჭირს ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვება, გამთლიანება და ხალხის ნდობის აღდგენა, სულიერი განწმენდა და ამაღლება.

თეიმურაზ შაშიაშვილი ახლა, თანამოაზრე ქუთათურებთან ერთად, ბაგრატის ტაძრის ბოლომდე აღსადგენად იბრძვის.

> **ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი...**

მისმა საახალწლო ოცნებამ ფრთები შეისხა და 14 იანვარს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ (გიორგი) შევარდნაძემ და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას ქუთაისის სიონის (ბაგრატის) ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის 1000 წლისთავის იუბილეს აღნიშვნასთან დაკავშირებით.

მკითხველს შევახსენებ, რომ განცხადებაში არის ასეთი სტრიქონები: **„ბაგრატის ტაძარი, როგორც კაცობრიობის სულიერი და ისტორიული კულტურის ღირსშესანიშნავი ძეგლი, გელათის და სვეტიცხოვლის ტაძრებთან ერთად, 1994 წლის 17 დეკემბრიდან იუნესკოს მიერ მსოფლიო კულტურის საგანძურშია შეტანილი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღინიშნოს ბაგრატის ტაძრის 1000 წლის იუბილე, როგორც სრულიად საქართველოს, ისე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ ქართველთა უდიდესი დღესასწაული. საიუბილეო დღეებად მიჩნეულ იქნეს 2003 წლის 21-27 სექტემბერი – ღვთისმშობლობიდან ჯვართამაღლებამდე“.**

პრეზიდენტისავე განკარგულებით დამტკიცდა საიუბილეო კომისიის შემადგენლობა და საიუბილეო პროგრამა, რომლის უმთავრესი მიზანია: სახელმწიფოს, ეკლესიის, საქართველოს მოსახლეობის, ქართველი მეწარმეების, საქართველოს მეგობრების მხარდაჭერით, 2003 წლის სადღესასწაულო დღეებისათვის ბაგრატის ტაძრის აღდგენა და ამ დღეების საქართველოს სულიერი ერთიანობის დიდ ზეიმად გადაქცევა.

* * *

17 წლის წინათ, ქუთაისის მაშინდელმა თავკაცმა მამუკა ასლანიკაშვილმა არნახული ენთუზიაზმით დაიწყო ბაგრატის ტაძრის აღდგენა. მაშინ მას მთელი ქუთაისი და ქუთაისზე უზომოდ შეყვარებული ამერ-იმერის ქართველობა ედგა მხარში. თუმცაღა, ჩანაფიქრი დიდი იყო, რამდენიმე თვეში მხოლოდ ტაძრის ტერიტორიის გაწმენდა და არქეოლოგიური გათხრების დაწყება მოხერხდა... 1986 წლის ზაფხულში მამუკამ თავი მოიკლა და ეს უდიდესი ეროვნული საქმე თანდათან მინავლდა...

„მამუკა ასლანიკაშვილს მე სამომავლო მოღვაწედ ვთვლიდი. როგორ შეიძლებოდა ასეთი ხალასი, ნიჭიერი და დიდი მომავლის მქონე ახალგაზრდა კაცი მიეყვანათ იმ მდგომარეობამდე, რომ ის იძულებული გამხდარიყო თავის თავს გასწორებოდა“, – იტყვის შემდეგ ბატონი ედუარდ შევარდნაძე.

ბაგრატის ტაძრის მოძღვარი მამა ზინობი, ქუთაისის მერის პირველი მოადგილე ონისე უგრეხელიძე და თემურ შაშიაშვილი.

თეიმურაზ შაშიაშვილი კი ხაზგასმით ამბობს: მამუკა ასლანიკაშვილი სწორედ თავისი აზროვნების სიმაღლის გამო დაიღუპა...

ახლა, როცა ბაგრატის ტაძრის და მისი აღმშენებლის, გაერთიანებული საქართველოს პირველი დიდი მეფის ბაგრატ III (975-1014 წ.წ.) ღვაწლის წარმოჩენამ სხვა სიმაღლე და შინაარსი შეიძინა, ქუთათურებს მამუკა ასლანიკაშვილის სახელის ხსენებით გამოწვეული სევდა არ შორდებათ სახეზე. წლეულს, სექტემბერში მას 55 წელიწადი შეუსრულდებოდა, მხოლოდ 55...

– ტაძრის ეზოში აღებული მიწის ნაწილი ქვემოთ, მამუკა ასლანიკაშვილის სახელობის სკვერში უნდა ჩავიტანოთ, ადგილი უკვე შერჩეული გვაქვს, საგანგებოდ კეთილმოვაწყობთ და მისი დაბადების დღეს, 26 სექტემბერს გავხსნით – მეუბნება თემურ შაშიაშვილი.

* * *

7 ივლისია, 2001 წელი. ჩვეულებრივი შაბათი, გამოსასვლელი დღე, ქუთაისის თეატრალური საზოგადოების, მხატვართა კავშირის სამხარეო ორგანიზაციის, სახელმწიფო უშიშროების საქალაქო და სამხარეო განყოფილების თანამშრომლები, ჯარისკაცები, დევნილები საკუთარი ნებით ამოსულან აქ და დიდი მამითადი გაუმართავთ.

– რაღაც დიდი მოლოდინის აღსრულების, ტანჯული საქართველოს გაბრწყინების იმედი მაქვს. ტაძრის ისტორია იგივე პრობლემების გადაწყვეტისაკენ მოგვიწოდებს, რაიც ქრონიკულად ქართულია, ჩვენეულია. ისტორიული პარალელები ვერა და ვერ გამოვიყენეთ ჭკუის სასწავლებლად, – მეუბნება მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და გენერალური დირექტორი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი ჯეირან ფაჩუაშვილი.

– თითქმის არავის სჭირდება შეხსენება, რომ ყოველ შაბათს ქუთაისელები ბაგრატზე უნდა ვიყოთ... მეზობელი რაიონებიდანაც სიამოვნებით მოდიან, უანგაროდ გვეხმარებიან – გულწრფელად უხარია ქუთაისის მერს რამაზ მხეიძეს.

– ბაგრატის ტაძრის ათასწლოვანი იუბილისათვის მზადების დღეებში, სამწუხაროდ, აფხაზი სეპარატისტებისა და საქართველოს ისტორიის გამყალბებლებისთვის იმის ხშირი შეხსენებაც დაგვჭირდება, რომ ბაგრატ მეფე იქ, ბედიის მონასტერში, საქართველოს უძველეს მიწაზეა დაკრძალული და აფხაზეთი ძლიერი საქართველოს ისეთივე კუთხე იყო და არის, როგორც სამეგრელო, აჭარა, იმერეთი, ქართლი, კახეთი და ა. შ., – ემოციებს ვერ ფარავს ცნობილი ისტორიკოსი, აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი პეტრე ვაჭრიძე.

– ბაგრატის ტაძარი, უპირველეს ყოვლისა, გვჭირდება ჩვენ, თითოეულ ქართველს, და არა პირიქით... ქვეყნის პრეზიდენტისა და კათალიკოს-პატრიარქის ერთობლივი განცხადება ამ იავარქმნილი, მაგრამ მარად ცოცხალი ტაძრის მხოლოდ აღდგენას როდი გულისხმობს, აქ მთავარია საქართველოს გამთლიანებისკენ, სულიერი განწმენდისკენ სწრაფვა – ამბობს ქუთაისის მერის პირველი მოადგილე ონისე უგრეხელიძე.

– მამაო, ზინობი, – მივმართავ ბაგრატის ტაძრის მოძღვარს, დეკანოზ ზვიად ქვანიას, – თქვენ, უკვე, ორწელიწადნახევარია ყველა ქრისტიანულ რელიგიურ რიტუალს უძღვებით ღია ცის ქვეშ... როგორ გგონიათ, გვეღირსება ტაძრის აღდგენა და გადახურვა?

– თქვენს შეკითხვას ამას წინათ შესანიშნავად უპასუხა საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ: **„არის ზოგიერთი მეცნიერის აზრი, რომ კონსერვაცია გაუკეთდეს ბაგრატის ტაძარს, მაგრამ ასე რომ ეფიქრათ ჩვენს წინაპრებს, დღეს აღარ გვექნებოდა არც სვეტიცხოველი, არც თბილისის სიონი, არც მრავალი სხვა ტაძარი. თითქმის ყველა ქართული ტაძარი დანგრეული იყო და... მერე, ხელახლა აღდგენილი. ამიტომ არ შეიძლება ვიცხოვროთ მხოლოდ წინაპრების ხარჯზე... ბაგრატის ტაძრის აღდგენა არის სიმბოლო არა მარტო ერის მთლიანობისა, არამედ სახელმწიფოს მთლიანობისა...“**



ბაგრატის ქვებს ეფერება ქუთაისის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე ლევან როხვაძე.

ცამდე მართალია სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი. ბაგრატის ტაძარი უნდა აღდგეს. მსოფლიო ბანკმა ამისათვის უკვე გამოყო 130.000 ლარი. ეს, რა თქმა უნდა, მცირე თანხაა, მაგრამ შეგულიანებისთვის, მოწადინებისთვის ფრიად მნიშვნელოვანია.

ამიტომაც უხმობს თეიმურაზ შაშიაშვილი ქუდზე კაცს, ამიტომაც ეფერებიან ქუთაისელები ტაძრის თითოეულ ქვას, ამიტომაც ათენ-აღამებენ მის აღდგენაზე ფიქრით.

და განა ოდენ ქუთაისელები?

– ჩვენ, საქართველოს ენერგეტიკოსები, კედლის ერთი სოლიდური მონაკვეთის აღდგენას მთლიანად დავაფინანსებთ, – დაპირდა ქუთათურებს საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა.

გურიის მხარე სოლიდური თანხით, სამშენებლო მასალებით, მოხალისე მუშა-ბრიგადებით შეეშველება ბაგრატს, – გვარწმუნებს საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში კარლო გუჯაბიძე.

ქუთათურებს დახმარება აღუთქვეს ბატონებმა ბონდო ჯიქიამ, ბიძინა სონღულაშვილმა, ლევან მამალაძემ, ირაკლი ფრუიძემ...

* * *

7 ივლისს ტაძრის აღმოსავლეთ კედელზე პირველი, 30-მეტრიანი ხარაჩო აშენდა... უკვე შეიძლება გუმბათზე ასვლა და კედლის მონაკვეთის გასუფთავება-გამაგრება. თემურ შაშიაშვილი პირველი ადის გუმბათზე, თუმცაღა, წინ უსწრობს [illegible] მთამსვლელთა ფედერაციის თავმჯდომარე, სპორტის დამსახურებული ოსტატი მერაბ ნემსიწვერიძე, რომელმაც ხელი დაავლო ქუთაისის დღევანდელი ცხოვრების მემატიანე ტელეკომპანია „რიონის“ მძიმე აპარატურას და... წუთში „მწვერვალზე“ აიტანა.

– ასეთი დაუვიწყარი განცდა ევერესტის დაპყრობისასაც კი არ მქონდა, – მეტყვის მერე მერაბ ნემსიწვერიძე...

– მშენებლები გვპირდებიან, რომ ორიოდე კვირაში მთელ ტაძარს ხარაჩოებში ჩასვამენ, – ბავშვივით უხარია თეიმურაზ შაშიაშვილს...

მამა ზინობი ამ დღეს (იოანე ნათლისმცემლის შობის დღეს) ისტორიულად თელის და თავის მრევლს, ტაძრის თითოეულ თაყვანისმცემელს გაბრწყინებული თვალებით ლოცავს.

ტაძრის ეზოში ფუსფუსი არ წყდება. მწვანე ბალახზე სკვინჩა-ბიჭები კოტრიალობენ, ჩეროს შეფარებული მესხიშვილის თეატრის მსახიობები მრავალჟამიერს აგუგუნებენ. უხარიათ ბავშვებს და დევნილებს უფასო კონცერტი...

ქვემოთ, რიონს გაღმა, ივლისის მზით გათანგული, დალოცვილი ქუთაისი მოჩანს. ქალაქი ჩვეულებრივი ჭირვარამით ცხოვრობს და მალე გამარჯვების იმედი აქვს...

* * *

თემურ შაშიაშვილს ხშირად უყვარს ერთი ქართული (სვანური) ხალხური სიბრძნის მოხმობა:

– ომი გიქნიათო, გივარგილ, ომი...

– წაგიგიათო ომი, გივარგილ.

– წავაგეთო ომი, დეოფალ.

– მაშ, რაღა აზრი აქვსო ბრძოლას, გივარგილ...

– ბრძოლას ყოველთვის აქვსო აზრი, დეოფალ...

თემურ შაშიაშვილი ბაგრატის აღდგენისთვის იბრძვის. თანამოაზრეებიც მრავლად ჰყავს. შესაძლოა, დამარცხდეს კიდეც, მაგრამ უკან დახევას არ აპირებს, რადგანაც ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი...

სპარტაკ ძოზულია,

ქუთაისი – თბილისი.

(გაგრძელება იქნება).

ოთარ ბერეჩიკიძის და ია ჩარკვიანის ფოტო.

---

145 კაცი პილოტს შეუწირავს?

სამთავრობო კომისია, რომელსაც ვლადიმერ პუტინის დავალებით სათავეში ჩაუდგა ვიცეპრემიერი ილია კლებანოვი, თვითმფრინავის ჩამოვარდნის ადგილზე გასულ ოთხშაბათს ჩავიდა. როგორც კლებანოვმა განაცხადა, კომისიამ ჯერ კიდევ შაბათს იცოდა, თუ რატომ ჩამოვარდა დაჯდომისას ტუ-154 თვითმფრინავი, რის შედეგადაც 145 კაცი დაიღუპა. მაგრამ გამოტანილი დასკვნების გამოქვეყნებისაგან კლებანოვმა თავი შეიკავა, სანამ მიხეილ კასიანოვსა და ვლადიმერ პუტინს შეხვდებოდა.

პრემიერ-მინისტრს გაწეული მუშაობის ანგარიში კლებანოვმა ორშაბათ დილას ჩააბარა, მერე კი კომისიის დასკვენები გააცნო პრეზიდენტს, და ამის შემდეგ, ერთხელ კიდევ შეკრიბა სამთავრობო კომისია. მოელოდნენ, რომ დასასრულ ვიცეპრემიერი პრესას შეხვდებოდა. მაგრამ, გადაწყდა, ტუ-154-ის დალუპვის შედეგები სამშაბათს გამოექვეყნებინათ. ხოლო ორშაბათს, როგორც ვიცეპრემიერმა თქვა „ინტერფაქს“ სააგენტოსადმი ინტერვიუში, კომისიის სხდომაზე შეაჯამეს მისი მუშაობის პირველი ეტაპის შედეგები, ჩამოაყალიბეს წინასწარი დასკვნის საბოლოო პროექტი, რის შემდეგაც კომისია გადავიდა გამოძიების ტექნიკურ ელემენტებზე.

როგორც გაზეთი „კომერსანტი“ წერს, თვითმფრინავის დაღუპვის მიზეზად არის მიჩნეული ეკიპაჟის არასწორი მოქმედება, ვინაიდან სხვა ვერსიებისათვის არ არსებობს არავითარი საფუძველი: მთელი ფრენის მანძილზე ყველა სისტემა გამართულად მუშაობდა. პილოტები თავს კარგად გრძნობდნენ, არც ამინდის პირობები იყო ექსტრემალური.

როგორც „კომერსანტი“ წერს, დაუდასტურებელი მონაცემებით, დაჯდომისას თვითმფრინავს მართავდა მეორე პილოტი, და სწორედ ის შეცდა. როდესაც ეკიპაჟის მეთაურმა გადაწყვიტა, მიშველებოდა, უკვე გვიანი იყო: თვითმფრინავის გასწორება ვერ მოესწრო.

ამ ინფორმაციას ადასტურებს „ინტერფაქს“ სააგენტოც, რომელსაც მოჰყავს „სახელმწიფო კომისიასთან დაახლოებული წყაროების“ სიტყვები, რომ საქმე ეხება თვითმფრინავის ეკიპაჟის მცდარ მოქმედებას, და „სპეციალისტებს ამაში ეჭვი არ ეპარებათ“. ეკიპაჟის ცხრა წევრის ნეშტი უკვე გადაასვენეს ვლადივოსტოკში, და 10 ივლისს ზღვისპირა ქალაქ არტემში, სადაც განლაგებულია აეროპორტი და სადაც ცხოვრობენ „ვლადივოსტოკ-ავია“ კომპანიის თანამშრომლები, ქალაქის სასაფლაოს საერთო სამარეში დაკრძალეს.

პინოჩეტის სასამართლო გადაიდო

სამი ჩილელი მოსამართლის საბჭომ დროებით შეაჩერა პროცესი ქვეყნის ყოფილი სამხედრო მმართველის გენერალ აუგუსტო პინოჩეტის საქმის გამო.

საბჭოს წევრებმა ორი ხმით ერთის წინააღმდეგ გამოიტანეს გადაწყვეტილება, რომ პინოჩეტი ვერ წარსდგება სამსჯავროს წინაშე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. 85 წლის გენერალს ბრალად ედება თანამონაწილეობა 75 მკვლელობისა და მოტაცების შემთხვევაში, რომლებიც პოლიტიკური მოტივებით იქნა ჩადენილი მისი მმართველობის დროს.

თვით პინოჩეტი ყველა ბრალდებას უარყოფს. მაგრამ, თუ სასამართლო ცნობს მის ბრალეულობას, ყოფილ დიქტატორს შეიძლება, მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა ხუთ წლამდე ვადით.

თუმცა, როგორც სამართლის დარგის ექსპერტები ამბობენ, პინოჩეტის სასამართლო შეიძლება საერთოდ აღარ შედგეს.

კვირას – კლინიკიდან გენერალ პინოჩეტის გამოწერის შემდეგ – მისმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ განსასჯელის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. ხოლო ყოფილი დიქტატორის უფროსმა ვაჟმა ხირიარტმა ხაზი გაუსვა, რომ მამამისის სიცოცხლეს ამჟამად საფრთხე არ ემუქრება.

სასამართლოსთვის წარდგენილ სამედიცინო დასკვნაში ნათქვამია, რომ გენერალს სჭირს სიბერის მარაზმი, როგორც ბრალმდებლები აცხადებენ, მას აქვს საიმისო ჯანმრთელობა, რომ თემიდას წინაშე წარსდგეს. პროკურორებმა უკვე განაცხადეს, რომ ეცდებიან, მიაღწიონ სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვას.

„ამ გადაწყვეტილებამ გვარიანად გაგვიცრუა იმედები, სამაგიეროდ, პინოჩეტი ისტორიაში შევა, როგორც კაცი, რომელიც სასამართლოს გადაურჩა იმის წყალობით, რომ ჭკუაზე არ იყო“, – განაცხადა ბრალდების წარმომადგენელმა კარენ ხერტცმა.

აფრიკელები ცდილობენ, გაერთიანდნენ

აფრიკის სახელმწიფოთა ლიდერები შეხვედრას მართავენ ზამბიის დედაქალაქ ლუსაკაში. მათ უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, რომ აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაცია გადააქციონ აფრიკის კავშირად, რომელიც ევროკავშირის ერთგვარი ანალოგი იქნება.

აფროკავშირი უნდა გახდეს ისეთ ერთიან სახელისუფლებო ინსტიტუტებთან მსხვილი სავაჭრო ბლოკი, როგორიც არის ცენტრალური ბანკი და პარლამენტი. კავშირის შექმნის იდეა წამოაყენა ლიბიის ლიდერმა მოამარ კადაფიმ. მანვე უკვე გამოჰყო მილიონი დოლარი ამ ორგანიზაციის შექმნისათვის. სამიტის მონაწილეებისადმი გაეროს გენერალური მდივნის მიმართვაში ნათქვამია, რომ მათ „უნდა დაძლიონ უდიდესი დაბრკოლებები, თუ სურთ იცხოვრონ კონტინენტზე, სადაც ყველაფერს მართავს კანონი, სადაც სუფევს მშვიდობა და სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობა“.

ამ გზის ერთ-ერთი ეტაპი, ანანის აზრით, გახდება „წარსული შეცდომების აღიარება და მათი გამოსწორების მზადყოფნა“. გაეროს გენერალურ მდივანს მიაჩნია, რომ აფრიკის გადაქცევა მშვიდ და ეკონომიკურად განვითარებულ კონტინენტად არანაკლებ რთული ამოცანაა, ვიდრე ევროპის აღდგენა ორი მსოფლიო ომის შემდეგ.

სამიტის გახსნის ცერემონიაზე გამოვიდა, აგრეთვე, პალესტინელთა ლიდერი იასირ არაფატი.

აფრიკის სახელმწიფოების განვითარების გეგმა ითვალისწინებს, რომ კონტინენტის ქვეყნების ლიდერებმა უნდა გააერთიანონ ძალისხმევა რეგიონში მშვიდობისა და თანხმობისათვის ბრძოლაში. განვითარებული სახელმწიფოების ხელმძღვანელებს მიმართავენ წინადადებით, გაუწიონ აფრიკას უფრო ქმედითი ეკონომიკური და პოლიტიკური დახმარება.

ეს გეგმა აერთიანებს იდეებს, რომლებიც წამოაყენეს **საშრა**-ს პრეზიდენტმა გაბო მბეკიმ და სენეგალის ლიდერმა აბდულაი უადმა.

გაეროს ლტოლვილების საქმეთა სააგენტოში იმედოვნებენ, რომ სამიტზე განიხილავენ საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნის საკითხს, რომელიც იმსჯელებდა სამშვიდობო მორიგებათა დარღვევის შემთხვევებზე.

ეს განაცხადა სააგენტოს მეთაურმა რუუდ ლუბერსმა. „დაუშვებელია, რომ ლტოლვილ აფრიკელთა რაოდენობა კვლავაც ახლანდელი ტემპით იზრდებოდეს“, – თქვა მან.

მაგრამ გაისმის იმათი ხმებიც, ვინც თვლის, რომ აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის აფროკავშირად გადაქცევის გეგმები ჩაიშლება. კრიტიკოსები თვლიან, რომ ერთობის ორგანიზაციამ ვერ შეძლო, მიელო რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება და მხოლოდ ფუჭად ფლანგავდა ფულს.

მეშახტეები პროტესტს აცხადებენ

ასიათასამდე ჩინელმა მეშახტემ და მათი ოჯახის წევრებმა გადაკეტეს რკინიგზა ქალაქ ხარბინის მახლობლად.

სახელმწიფო საწარმოებში დასაქმებულ მეშახტეებს უკვე ორ წელიწადნახევარია არ მიუღიათ ხელფასი, და ახლა მთავრობისაგან მოითხოვენ დავალიანების დაფარვას.

პოლიციის ციფრების მიხედვით, ეს არის ყველაზე მასობრივი პროტესტი ტიანანმენის შემდეგ. მაგრამ ასეთი პროტესტები უკვე ჩვეული ამბავი გახდა ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთში, ჩინეთის ქვანახშირის მრეწველობის ცენტრში.

მთავრობის მოხელეების თქმით, მეშახტეები არ იღებენ ხელფასს, ვინაიდან სახელმწიფო შახტებს უბრალოდ არ გააჩნიათ სახსრები. მეტწილ შახტებში დადგმულია დიდი ხნის მოძველებული მოწყობილობა, და ქვანახშირის მოპოვების რენტაბელობას წინა წლებში უზრუნველყოფდნენ, ძირითადად, ხელფასების დაბალი დონის წყალობით.

ქვანახშირის მარაგის მქონე ქვეყნების უმრავლესობა სხვადასხვა დროს წასწყდომია რენტაბელობის პრობლემას. ყველას ახსოვს მეშახტეთა პროტესტები ტეტჩერისდროინდელ ბრიტანეთში 80-იანი წლების დამდეგს, შახტების დახურვა პოსტკომუნისტურ პოლონეთში, მაღაროელთა დემონსტრაციები რუმინეთში, უკრაინაში, რუსეთში.

ბევრი ევროპული ქვეყნისათვის გაცილებით უფრო ხელსაყრელი იყო იაფი ჩინური ქვანახშირის ყიდვა, ვიდრე საკუთარი მეშახტეების დოტაციაზე ყოლა. ახლა, როგორც ჩანს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქვანახშირის დარგი ასეთივე პრობლემებს წააწყდა.

ეკონომიკური რეფორმების წლებში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჩრდილო-აღმოსავლეთით რამდენიმე მილიონმა მეშახტემ დაკარგა ადგილი. ვარაუდობენ, რომ დაახლოებით ასი ათასი ჩინელი მაღაროელი ყოველწლიურად მონაწილეობს საპროტესტო აქციებში. მაგრამ, ზუსტი ციფრები უცნობია.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით გვერდს უძღვება

არჩილ მანჯგალაძე.

ადამიანი დროში

უშურველი

ბევრნი როდი არიან ადამიანები, რომლებიც ისე უშურველად და დაუნანებლად ზრუნავენ თავის თანამემამულეთათვის, როგორც ამას აკეთებს საზოგადოებაში ცნობილი ადამიანი, კეთილშობილი და დახვეწილი პიროვნება, შს ორგანოების პროფესიონალი, შსს აკადემიის რექტორი, პოლიციის გენერალ-მაიორი გურამ ქარქაშაძე. ვინც ბატონ გურამს ახლოს იცნობს, აუცილებლად იტყვის, რომ ადამიანებთან ურთიერთობისას იგი, უპირველესად, ცხოვრების მაღალზნეობრივი კოდექსით ხელმძღვანელობს.

გურამ ქარქაშაძე ლეანკითელია. არის თერჯოლის რაიონში ბევრი ცნობილი პიროვნების აღმზრდელი ერთი ასეთი გამორჩეული სოფელი, რომლის შვიდწლიანი სკოლა წარჩინებით დაამთავრა ბატონმა გურამმა. რადგან მამას შვილის ინჟინრობა სურდა, სწავლა თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის სამშენებლო განყოფილებაზე გააგრძელა, მაგრამ... შვილში სულიერი მოთხოვნილებები ჭარბობდა და ჟურნალისტობისაკენ მიუწევდა გული. ბედიც სცადა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში... ქულა დააკლდა. მომდევნო წელს კი იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

ახლა კი ლეანკითს დაუბრუნდეთ. სოფელს, რომელიც იმდენად ძვირფასია ბატონი გურამისთვის, ყველანაირი სიკეთე მისთვის ემეტება. ალბათ, ამიტომაც, იგი მშობლიურ სოფელს, რითაც შეუძლია, იმით აშველებს ხელს. განსაკუთრებით ეხმარება საყვარელ სკოლას, წვლილი შეაქვს როგორც სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში, ასევე სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში. მისი ინიციატივით სკოლის შენობას რეკონსტრუქცია გაუკეთდა და კაპიტალურადაც შეკეთდა. უფასებენ კიდეც. შინაგან საქმეთა ორგანოების დამსახურებული მუშაკი, პოლიციის გენერალ-მაიორი, II ხარისხის ვახტანგ გორგასლის და ღირსების ორდენის კავალერი გურამ ქარქაშაძე თერჯოლის რაიონის საპატიო მოქალაქეა.

შარშან კი ლეანკითის საშუალო სკოლას გურამ ქარქაშაძის სახელი მიენიჭა. ამავე დროს სკოლის ხელმძღვანელობისა და პედკოლექტივის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით სკოლის საპატიო დირექტორად აირჩიეს. სწორედ ეს იყო მიზეზი იმ ღონისძიებისა, რომელიც ამას წინათ გურამ ქარქაშაძის მშობლიურ სოფელში გაიმართა. შეხვედრა, რომელზეც ბატონი გურამი მადლიერმა თანასოფლელებმა მიიწვიეს, იმდენად საზეიმო და უზეველო იყო, რომ იგი აშკარად შემცბარი გამოიყურებოდა და, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, უხერხულადაც კი გრძნობდა თავს.

ლეანკითელთა სიხარულის თანამოზიარე კი სრულიად უცხო ადამიანებიც გახდნენ, რომლებიც შენობის დათვალიერების შემდეგ აღტაცებას ვერ ფარავდნენ. მაღალ დონეზე შესრულებული სამუშაოები, ახალი სასწავლო ინვენტარით აღჭურვილი კეთილმოწყობილი ნათელი საკლასო ოთახები, სპორტდარბაზი და პატარა საკონცერტო სცენა, გემოვნებით გაფორმებული დერეფნები. და ასეთ გარემოში მოცქრიალე პატარები... ყველაფერი ეს ბატონ გურამ ქარქაშაძის ძალისხმევის შედეგი იყო.

შეხვედრას, ადგილობრივი მოსახლეობის გარდა, ბევრი სახელოვანი ადამიანი და ცნობილი პიროვნება ესწრებოდა. მათ შორის იყვნენ პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი, განათლების, სპორტისა და კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები. ბატონი გურამის პირველმა მასწავლებელმა, ღვაწლმოსილმა პედაგოგმა მარიამ კობახიძემ საოცარი სიზუსტით გაიხსენა ბატონი გურამის მოსწავლეობის ხანა.

ილაპარაკეს შეხვედრაზე მოწვეულმა სტუმრებმა, გენერალ-ლეიტენანტმა თამაზ დუმბაძემ, შსს საგამოძიებო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ზურაბ ხაჟალიამ. შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ ლეანკითის საშუალო სკოლის დირექტორი ეთერ ტურაევა, მასწავლებლები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი რომან შენგელია, საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილე გია მათიაშვილი. თერჯოლის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ზურაბ ბუცხრიკიძე, შსს აკადემიის პრორექტორი, გენერალ-მაიორი გივი ლობჟანიძე, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

და მაინც, იგი, უწინარეს ყოვლისა, იურისტია. გავლილი აქვს სწავლების სპეციალური კურსები ამერიკის შეერთებულ შტატებში, არის ფლორიდის შტატის საპატიო შერიფი, იყო საგამოძიებო სამმართველოს გამომძიებელი, უფროსი გამომძიებელი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსის მოადგილე, სამმართველოს უფროსი, საგამოძიებო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, დეპარტამენტის თავმჯდომარე, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, საპარლამენტო მდივანი.

ამასობაში კი მის ხელში მრავალ მნიშვნელოვან სამეურნეო და მძიმე სისხლის სამართლის საქმეს გაუვლია.

უდავოა, უსაზღვროდ გიყვარს ის, რაზეც ამაგი გაქვს. აქედან გამომდინარე, მოდი და ჰკითხე ახლა სულით ხორცამდე გამომძიებელს, წყდება თუ არა გული, საყვარელი საქმე რომ დატოვა.

ბუნებრივია, რომ განიცდის, თითქოს რაღაც მშობლიურს დასცილდა, მაგრამ ის, რომ შსს აკადემია იმავე სისტემაშია და გარემო არ შეცვლილა, ის, რომ იგი მეტად პასუხსაგებ, მეცნიერულ და სოლიდურ დაწესებულებაში მუშაობს, ეამაყება კიდეც.

პედაგოგიური სარბიელი ჩემთვის არცთუ ისე მორეულიაო, ამბობს და, მართლაც, გურამ ქარქაშაძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს გამოძიებისა და მოკვლევის ორგანიზაციებში, წლების განმავლობაში თავმჯდომარეობდა სახელმწიფო საგამოცდო კომისიას შსს აკადემიასა და მშობლიურ უნივერსიტეტში. მაგრამ ეს მაინც არ არის ის, რაშიც მან თავისი თავი იპოვა...

ბორის ძნელაძე.

სამართალი

უნაყოფო სიარულში დაკარგული ორი წელი

ანუ ამბავი კაცისა, რომელმაც საკუთარ თავზე იწვნია უპატივცემულობის შედეგი

ამ წერილში მოყვანილმა ფაქტმა, რომლის მესახებაც ჩვენ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, ჩემი ყურადღება მიიქცია, უწინარესად, იმ უდიერი და ამავე დროს, ცინიზმით აღსავსე დამოკიდებულების გამო, რომელიც ახალგაზრდა კაცმა, თანაც თანამდებობის პირმა (ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, იგი დიდია თუ პატარა) გამოიჩინა ხანდაზმული, თავისი ცენზით ფრიად პატივსაცემი ადამიანის მიმართ.

დღევანდელი ჩვენი საზოგადოებრივი ყოფის მოუწესრიგებლობის და ამ ნიადაგზე გამეფებული ნიჰილიზმის გამო, მართალია, ანალოგიური ფაქტებით დღეს ვერავის გააკვირებთ, მაგრამ მასზე ყურადღების გაუმახვილებლობა მიზანშეწონილად არ ჩავთვალე.

არადა, აქ მოთხრობილი ამბავი ნათლად მეტყველებს ჩვენს საზოგადოებაში განსაკუთრებით ამ ბოლო წლებში თავნაჩენ სენზე, რამაც ადამიანები ურთიერთგაუცხოებამდე და აქედან გამომდინარე, ურთიერთუპატივცემულობამდე მიიყვანა.

სწორედ ამგვარ სიტუაციაში აღმოჩნდა მოქალაქე დავით ქებურია, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა ყოველივე ეს, რასაც სხვათა შორის, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო თავისი ასაკის გამო არ იმსახურებდა.

ბატონი დავითი ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი და ფილოსოფიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსია.

მისი, ეს თამამად შეიძლება ითქვას, ჯვარცმა 1999 წლის აპრილში დაიწყო, როცა ნაძალადევის რაიონის სასამართლომ თავისი გადაწყვეტილების საფუძველზე მოქალაქე ილია ალექსის ძე შაყულაშვილს დავით ქებურიას სასარგებლოდ 800 დოლარის გადახდა დააკისრა. საქმის აღსრულება კი დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის აღმასრულებელ პ. კაპანაძეს დაევალა.

დავალებით კი დაევალა, მაგრამ მას და მის კოლეგებს მთელი ორი წლის მანძილზე ი. შაყულაშვილის მოსაძებნად და მისგან დაზარალებულის სასარგებლოდ ფულის ამოსაღებად თითი თითზე არ დაუკარებიათ.

მოვალის ძებნით ვითომდა „დაოსებულმა" აღმასრულებელმა ბატონ დავითს ექვსი თვის შემდეგ თავზე ცივი წყალი გადაასხა და უტიფრად განუცხადა, რა ქნა, ი. შაყულაშვილის მისამართი ვერ დავადგინე და საქმეს უკან გიბრუნებთო...

მისი პროტესტის შემდეგ საქმისადმი ხელქვეითის ვითომდა უსუსურობით „აღშფოთებული" ბიუროს უფროსი „იძულებული" ხდება პ. კაპანაძე ამ საქმეს ჩამოაშოროს და იგი მეორე აღმასრულებელ დ. ლამხიას გადასცეს. დ. ლამხია კოლეგასთან შედარებით უფრო ყოჩაღი გამოდგა და ის, რისი „დადგენაც" პ. კაპანაძემ ექვს თვეში ვერ შეძლო, მან ორ დღეში დაადგინა.

როგორც გაირკვა, მოპასუხე ი. შაყულაშვილს მთელი ამ ხნის მანძილზე ყოველგვარი კონსპირაციის გარეშე, თურმე იქვე, მათსავე ყურისძირში, ჩიტაიას ქუჩის № 38-ში უცხოვრია, ამ დროს კი მიამიტი პ. კაპანაძე მას უნაყოფოდ, ცხრა მთას იქით ეძებდა.

დ. ლამხიამ, მართალია, ი. შაყულაშვილის მისამართი კი დაადგინა, მაგრამ აქ უკვე სრულიად ახალი ფარსი გათამაშდა, რომლის მთავარ მოქმედ პირებად ამჯერად მისი მშობლები მოგვევლინნენ, რომელთა განმარტებითაც ილია, თურმე, თბილისის კი არა, ბორჯომის რაიონის სოფელ ტაძრისის მკვიდრი ყოფილა.

ამ „აღმოჩენით" გახარებულმა დ. ლამხიამ და ბიუროს უფროსმა ზ. ტოგონიძემ ახლა ამ გზით სცადეს ი. შაყულაშვილის გულის მოსაგებად (აბა, სხვანაირად როგორ ავხსნათ მის მიმართ მათი ასეთი თავგადადება) დავით ქებურიას თავიდან მოშორება, მაგრამ...

ბატონი დავითი თავის მხრივ არცთუ ისეთი მიამიტი აღმოჩნდა, მათი ეს მორიგი ტყუილი რომ დაეჯერებინა და სამართლის დადგენის მიზნით თავად ეწვია ბორჯომს, საიდანაც მან სოფლის საკრებულოს თავკაცის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული ოფიციალური დოკუმენტი ჩამოიტანა, რომელიც შავით თეთრზე იუწყებოდა, ი. შაყულაშვილს სოფელ ტაძრისში წლების მანძილზე რომ არ უცხოვრია. (ამას, სხვათა შორის, მისი იქაური ახლობლებიც ადასტურებდნენ).

ყოველივე ამის შემდეგ კი, აღსრულებითი ბიუროს მუშაკები, რომლებსაც ახლა უკვე სხვა გამოსავალი აღარ ჰქონდათ, იძულებული გახდნენ დიდი დაგვიანებით, მაგრამ მაინც მოპასუხის ძებნის მიზნით სასამართლოსთვის მიემართათ. სასამართლო გადაწყვეტილებით, ი. შაყულაშვილის საერთო ძალებით მოძებნა კი რაიონის პოლიციის განყოფილებას და გამგეობას დაევალა.

განჩინება მათ გასული წლის 3 ივლისს გადაეგზავნა. სამი თვე ისე გავიდა, რომ ბატონი დავითი პასუხის ღირსადაც კი არ ჩათვალეს. სააღსრულებო ბიუროში მისულს კი განუმარტეს, ჩვენ უფლება არ გვაქვს პოლიციის განყოფილებას განჩინების შესრულება მოვთხოვოთო. თან ისიც დააყოლეს, თქვენ თვითონ მიაკითხეთ, იქვე გაარკვიეთ საქმის ვითარება და მისი შესრულებაც მოსთხოვეთო. ისიც, რასაკვირველია, მივიდა, საქმეში გარკვევაც მოითხოვა, მაგრამ...

ახლა უკვე პოლიციაში უნაყოფო სიარულით გადაიღალა ბატონი დავითი, სადაც მან, ბოლოს და ბოლოს, გაარკვია, მისი საქმე ა. ლაბუჩიძეს რომ ეწერა, რომელიც იმ დროს ადგილზე არ აღმოჩნდა. მრავალგზის ვიზიტის შემდეგ, მან, როგორც იქნა, ა. ლაბუჩიძეც მოიხელთა, რომელმაც მას განუცხადა, თქვენი საქმე მე არ მაწერიაო (სინამდვილეში, როგორც შემდეგ საკანცელარიო ჟურნალის ჩანაწერითაც გაირკვა, აღნიშნული საქმე სწორედ მას ჰქონდა გადაცემული).

ყოველივე ამის შემდეგ, ამდენი ტყუილებით შეურაცხყოფილმა და განაწყენებულმა მოქალაქემ, იმავე წლის 11 სექტემბერს ახლა უკვე პოლიციის უფროსს მიმართა არზით, სადაც ის სწერდა: „გთხოვთ, მომცეთ წერილობითი განმარტება, თუ რატომ ირღვევა თქვენთან კანონი და რატომ არ სრულდება სასამართლოს განჩინება?" მაგრამ მათგან პასუხს იგი ვერც ამჯერად ეღირსა.

პოლიციაში ხანგრძლივი სიარულის შემდეგ, ერთ-ერთი რიგითი ვიზიტის დროს მასთან გამინაურებულმა პოლიციელმა ბატონ დავითს ახალი სასიხარულო ამბავი დაახვედრა, აკაკი ლაბუჩიძე პოლიციიდან დაითხოვეს და თქვენი საქმე აღსასრულებლად მის მოგვარეს ლერი ლაბუჩიძეს გადაეცაო.

ამჯერად პოლიციასა და ლაბუჩიძეების მოჯადოებულ წრეში ჩავარდნილი ხანდაზმული, მამასტოლა კაცი კი ახლა ახალი სიურპრიზით თავად ლერიმ „გაახარა" – „ჩვენ არა გვაქვს დამნაშავე პირის ძებნის უფლება და ამიტომ განჩინების საქმეს კვლავ სასამართლოს უკან ვუბრუნებთო".

ასე დასრულდა პასუხისმგებელ პირთა უსულგულო დამოკიდებულების და დაუდევრობის გამო ამჯერად ეს საქმე.

ამასობაში ბატონმა დავითმა ორი წელი აქეთ-იქით უნაყოფო სიარულში გალია. სასამართლოს სამართლიანი გადაწყვეტილების აღსრულებას კი ვერა და ვერ მიაღწია, რის გამოც, კაცი იძულებული გახდა, დახმარება ჩვენთვის ეთხოვა.

ისე ჩვენში დარჩეს და, მართლაც საინტერესოა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვის უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა, ან სასამართლოს გადაწყვეტილება ვინ უნდა აღასრულოს?

პასუხს ამ არცთუ ისე რთულ კითხვებზე, იმედია, ალბათ, შესაბამისი ინსტანციები გაგვცემენ.

თეიმურაზ კინწურაშვილი.

P. S. მიუხედავად ჩემი მცდელობისა, ამ ფაქტს პირადად მე ადამიანური თვალსაზრისით ვერავითარი გამართლება ვერ მოვუძებნე. ჩემი აზრით, სამართალდამცავთა „პასიურობის" მიზეზი უფრო პირადი დაინტერესება (ანუ სარგებელი) უნდა იყოს, რასაც, სამწუხაროდ, კლიენტის „მიუხვედრელობით" ვერა და ვერ მიაღწიეს.

თუ ამ შემთხვევაში ანგარების ფაქტორს გამოვრიცხავთ და ვიფიქრებთ, რომ მათ ნამდვილად ვერ შეძლეს საქმისთვის თავის მობმა, საინტერესოა, დახმარებისათვის სააღმსრულებლო პოლიციას რატომ არ მიმართეს, რომელიც ანალოგიურ სიტუაციებში საგანგებოდ მათ დასახმარებლად შეიქმნა?

მით უფრო, რომ იუსტიციის სამინისტროსთან ჩამოყალიბებულმა ამ სამსახურმა, რომელსაც სათავეში ჩვენი ცნობილი მოჭადრაკე, საერთაშორისო დიდოსტატი გია გიორგაძე უდგას, ამ მხრივ, დროის მცირე მონაკვეთში უკვე ბევრი კარგი საქმის გაკეთება მოასწრო.

თ. კ.

მოგზაურის ჩანაწერები

ოთარ მიმინოშვილი

ახლოა ფერეიდნამდე

გამოველით ქუჩაში, სოფლის შარაზე კვლავ უამრავი ხალხი შეკრებილა – ჩვენებურები, სიამაყით მოგვაცილებენ ჟივილ-ხივილით, თანაც მედიდურად უყურებენ სოფლის გზაზე მიმავალ ქურთებსა და ბახტიარებს, რომლებიც სოფლის განაპირას, ან ველმინდვრებზე მომთაბარე ცხოვრებას ეწევიან. ჩვენ კი წამოსვლამდე, სოფლის გორაზე წინაპართა სასაფლაო-სამარხებთან მივდივართ, ძველ და, საუბედუროდ, ახალ გმირთა სამარეებს ვათვალიერებთ, ბავშვმაც და დიდმაც იცის, თუ სად და როგორ დაიღუპნენ მათი გვარის ხალხი, მათი წინაპარნი... ერთად ლექსებსაც ვამბობთ, ვწვალობთ, ვდარდობთ... დამშვიდობებისას ცრემლსაც ვერ ვიკავებთ ვერც ჩვენ და ვერც მასპინძლები...

სასტუმრო სახლში დაბრუნებულები, შთაბეჭდილებით დატვირთულნი, ვერ ვისვენებთ – ვღელავთ, დაღლა-მოსვენება რა შუაშია, ცოტა დრო გვაქვს ფერეიდანში და, საერთოდ ირანში სტუმრობისთვის... მასპინძლები ისეთი გვყავს, ცნობილი სიმღერის ცნობილ ტექსტში რომ ჟღერს: „მასპინძელი მასპინძლობს, თითქოს მეცხრე ცაზეა..." ჩვენზე უშუალოდ „საშინაო-საოჯახო საქმეებში" მომაგრებული-დამაგრებული ინტელიგენტური და ყველანაირად ჩვენი გამგები და მომვლელი, რეზოყოლი ხუციშვილი (სხვათა შორის, თანამდებობით რაიონის გამგებელია), გვაწყნარებს – ისადილეთ, დაისვენეთ, საღამოს სოფელ ხუნგაში წაგიყვანთ. ნუ ნერვიულობთ – იღიმება, დინჯი და თბილი ლაპარაკი აქვს, ისე როგორც ყველა იქაურ ქართველს – ნაღდი ძველებური – ჩვენებური კახური... აუჩქარებელი, გაგრძელებული გაწელილი კილოკავით-მეტყველებით... ვერ ვითმენთ საღამომდე, ხუნგაში გამგზავრებას ვჩქარობთ, რეზოყოლი თავის მანქანაში გვსვამს, ფერედუნ შაჰრიდან – ცენტრიდან ათიოდე კილომეტრის გავლით ხუნგაში ვართ – დაბლობზე, ქვაბულში მდებარე ქართულ სოფელში, ორსართულიან, მყარად ნაგებ, ნახევრად აგურით და ქვით ნაშენ სახლს ვუახლოვდებით, ეზოში, ე. ი. ეზოში ხეხილის ხეების ჯარია – ვაშლის, ტყემლის, ჭერმის (სახელებიც ასე ჰქვია), ოზოში, ბოსტანიცაა (ასე ჰქვია) და შიგ მწვანილიც არის დათესილი-დარგული – პიტნა, ნიორი, ხახვი, ასევე კიტრი, პომიდორი. აქ ნესვიც ხარობს და საზამთროს – ვგონებ უფრო ლამაზ სახელს ზამთრულას ეძახიან. რაც მთავარია, ვენახიც აქვთ – ვაზი, ყურძენი, სახელიც შემოუნახავთ და ისიც კარგად იციან – ახსოვთ, მათ უძველეს სამშობლოში საქართველოში, მათი დიდი წინაპრები მევენახეები რომ იყვნენ... და იქაც რომ თავისებურად უვლიან. მართალია, ეზოში მცირე ოდენობით, მაგრამ მაინც ძველებურ-ჩვენებურად ხის მაღალ ჭოკებზე – სარებზეა აყვანილი და ზოგ შემთხვევაში კი, ხის სარებიდან, ზემოდან ერთმანეთზე გადაჯაჭვულ-გადახლართულ-შეერთებული და ჩვენებური ტალავერის მსგავსად დამშვენებული, რომელსაც თირს ეძახიან. და, რაც მთავარია, მათ იციან და ახსოვთ ვაზის – ყურძნის ძირითადი დანიშნულება ჩვენთან, მათი წინაპრების სამშობლოში, მათ დიდ და ძველ საქართველოში... მართალია, მათი რელიგიური მრწამსი-სარწმუნოება იმის საშუალებას არ აძლევს და ჩვენის მხრიდან არცაა ხაზგასმა საჭირო-აუცილებელი და იმის თქმაც, არღვევს თუ არა ზოგი ამ რელიგიურ კოდექს-კანონს, მაგრამ... ნახევრად ხუმრობით, მაინც დავძენ, თუ სად გავიგონე და ვისგან, ამას ვერ გეტყვით, ისიც კარგად იციან – სუფრაზე თამადა რომ უნდა აირჩიონ და შემდეგ სადღეგრძელოებიც რომ უნდა ითქვას, უფრო მეტიც, ჩვენი „მრავალსართულიანი" და აურაცხელ-უამრავი სადღეგრძელოებისაგან განსხვავებით, სულ სამ სადღეგრძელოს ამბობენ – მაგრამ... აზრით-არსით-შინაარსით ჩვენთან ნათქვამ მრავალრიცხოვან სადღეგრძელოებს ზუსტად აერთიანებს... თვითონ განსაჯეთ: – პირველი სადღეგრძელო სუფრაზე მსხდომი მეგობრებისაა (ჩვენთან ცალცალკე რომ სვამენ), მეორე საქართველოს სადღეგრძელოა და მესამე – დიდი წინაპრების! კიდევ ერთხელ ვიმეორებ – ეს ყურმოკრული ამბებია, ისე მხატვრული სიტყვისათვის მოვიტანე და გნებავთ – სერიოზულად არ ჩათვალოთ... ისე, ჩვენში დარჩეს და, ალბათ, სადღეგრძელოთა რაოდენობა და ხასიათი სიმართლეს უნდა ჰგავდეს. ვინაიდან მე-16 საუკუნის დასასრულსა და მე-17 საუკუნის დასაწყისში, მათ დიდ წინაპრებს კახეთში, იმ ძნელბედობისა და ომიანობის დროს, იმის დრო და საშუალება სად ექნებოდათ, მრავალსართულიანი და მრავალრიცხოვანი სადღეგრძელოები ეთქვათ, მით უმეტეს იმდროინდელ არც ერთ ისტორიულ წყაროში სუფრა და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები აღწერილი არ არის... ხოლო დღევანდელმა ფერეიდნელმა ქართველებმა, რა თქმა უნდა, ზემოთ თქმული გადმოცემით იციან, ისტორიულ მეხსიერებაში შემოინახეს... ამით შეიძლება ეს ფაქტი პირველწყაროს მნიშვნელობასაც იძენდეს კიდეც.... ფაქტობრივად, მხოლოდ მე-18 საუკუნიდან გვხვდება სხვადასხვა წყაროებში, ისიც ფრაგმენტულად ქართული სუფრის აღწერა... ისე რომ, მათ და ჩვენ საერთო წინაპრებს მაშინ ცალ ხელში მახვილი და მეორეში თოხი ეჭირათ... ამ ჩემს მონაგონ-გაგონილ კონცეფციებსა და თეორიებში გზას აუცდით, სულ დაგვავიწყდა, რომ სოფელ ხუნგის, ლამაზი და მშვენიერი სოფლის, ეზოში-ოზოში ვართ და ხუნგაში ყველაზე გავლენიანი კაცი – ჰაჯი იუსუფ ასლანი – ონიკაშვილი გვიღებს სახლის კარს. სამოც წელს გადაცილებული, საშუალო ტანის, ძარღვიან-ჯანიანი კაცი, ოჯახის და სოფლის თავი, როგორც ძველ ახლობლებს, ისე გვეგებება, გულში გვიკრავს, თვალები უელავს-უბრწყინავს, ხმა შემართებული-მჭექარე აქვს, ორივე ხელით ღონივრად გვბლუჯავს ხელებს, სახლში გვეპატიჟება, ოჯახის წევრებს გვაცნობს, დიდ სასტუმრო ოთახში შევყავართ, ლამაზად მორთულ ხალიჩებზე და მუთაქა-ბალიშებზე თავისუფლად წამოგვაჯენს და ერთი წუთიც არაა გასული, იმდენი მეზობელ-ნათესავი-ახლობელი შემოლაგდება-შემობრუნდება ახოვანნიც, საშუალონიც, მოხუცნიც, და ახალგაზრდა მამაკაცები, მორიდებით-დინჯად, ლღუნა-თბილი ხავერდოვანი ხმებით, თვალებში ცქერით, მიხვრა-მოხვრით. ტიპიური ქართველი მამაკაცები... გვერდში ჩამოგვისხდებიან მოწიწებით (ვითომ დიდი ვინმენი ვართ...), მოგვიკითხავენ და მოიკითხავენ საქართველოს... ქალები-ქალბატონები-დედაკაცები, ჩაისა და ნამცხვარს კოხტად ჩამოალაგებენ, რადგან იციან, რომ უკვე ნასადილევი ვართ... თორემ დაღამებისას იქ, ისეთი ამბავი ატყდა, ჩვენი გამინაურება-საუბრების შემდეგ, რომ ჩვენმა მეგზურმა რეზოყოლიმ ძლივს გამოგვიყვანა იქიდან, თანაც თავისი თანამდებობა გამოიყენა „ბოროტად", თავი დაანებეთ, უნდა მოვასვენო-წავიყვანოო, მკაცრად აუხსნა და თანაც დაყვავებით, არ გეწყინოთო... ხოლო ისინი, რასაც მე მეუბნებოდნენ, ჩვენში დარჩეს, აქ მოისვენეთ, დარჩით, ვახშმის დროა, თქვენთვის ყველა სახლის კარი ღიაა, გველოდებიან, ისეთ პურ-მარილს გაგიშლით, თქვენც და ჩვენც დიდ საქართველოში გვეგონება თავიო... მოკლედ, არა ისე, როგორც ზოგჯერ ჩვენში იციან, არამედ ნაღდად, კახურად – ძველ-კახურად... თუმცა, სასაუბრო ბევრი გვაქვს, რამდენი სასიხარულო და ამაღელვებელი ამბავი გავიგეთ, რამდენი მოვლენა-ფაქტი გავიზიარეთ და რამდენიმეც თქვენ უნდა გაგიზიაროთ...



თეირანის უნივერსიტეტის ფერეიდანშაჰრის ფილიალის სტუდენტებთან.

ქართველი ხელოსნის მიერ გაკეთებული გუთანი სოფ. ვაშლოვანიდან.

ოჯახის უფროსი – ჩვენი უშუალო მასპინძელი ჰაჯი უსუფი იწყებს ჩვენს კითხვებზე პასუხის გაცემას, კითხვას მორიდებით, ძალიან-ძალიან ფაქიზად – შინაურულად ვაძლევთ, და ყველა პასუხიც მზადა აქვს, ამაღლებული, სხარტი, სხვებისგან განსხვავებით მჭექარე, ტემპერამენტიანი ხმით და თხრობით. ლეგენდა-თქმულება-გადმოცემები გვაინტერესებს მათ დიდ წინაპრებზე, მათი ხასიათის და მათი საქმიანობის ამსახველი, აგერ უკვე ოთხი საუკუნე რომ ასულდგმულებს მათ და არც დავიწყნიათ და მათი შთამომავლობაც არ დაივიწყებს... უნდა გენახათ ახალგაზრდები, როგორ სულგანაბულნი უსმენდნენ, ხოლო მისი ტოლები, ჯერ სდუმდნენ, ხოლო ზოგჯერ მორიდებით, რაიმე ეპიზოდს ან გაახსენებდნენ ან ჩაამატებდნენ... ასე იქმნებოდა ჩვენთვის, იქმნებოდა რაა, იხატებოდა მრავალფეროვანი, თვალის ერთი გადავლებით, ყველაფერს ვერ შევიცნობდით, მაგრამ – რაც გავიგე – გულზე ამოვიქარგე, გონებაში ჩავიბეჭდე, სულიერად გავმდიდრდი... რომელი ერთი გადმოგცეთ, მათი ნაამბობიდან? აუდიო და ვიდეო მასალა ბლომად ჩამოვიტანეთ და უახლოეს მომავალში მოგართმევთ – მოგასმენინებთ – გაყურებინებთ, დეტალურად და ზუსტად შესასწავლი და დასამუშავებელ-გასააზრებელია.

იმ საღამოს ხუნგაში მოსმენილ-გაგონილის მხოლოდ ჩამოთვლაც საკმარისია, ნათელი წარმოდგენა რომ შეგვექმნას დღემდე შემორჩენილ მამაპაპურ ადათ-წესებზე, სულიერი და მატერიალური კულტურის ელემენტებზე, ტრადიციულ ყოფით საქმიანობაზე... აი, ისინიც: თითოეული აქ მცხოვრები გვარის წარმომავლობა, ოჯახის ისტორია და გენეზისი, გვარში გამორჩეული წინაპრების საგმირო საქმეები და მათზე, მათ გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობებზე შექმნილი ლეგენდა-თქმულებები. აქედან, რა თქმა უნდა, უპირველესად მაინც ის ლეგენდა-თქმულება რჩება, ჯერ კიდევ ადრე ბატონ გურამ პატარაიას ფილმში რომ ჟღერს და უფრო ადრეც ბატონ ლადო აღნიაშვილს და ამბაკო ჭელიძესაც ყურმოკვრით გაეგონა. სწორედ იმ ფილმში გამომჟღავნებული ლეგენდა გვიამბო, აქ დიდი მორიდებით – შეხსენებით ცისარტყელას ფუნქციაზე, უფრო სწორად ცისხიდს ცისკიდეს რომ ეძახიან და მათი წინაპრების გადმოცემით, ცისხიდის-ცისარტყელას მეორე ბოლოში საქართველო – მათი ძველი სამშობლო რომ არის, სადაც მუდამ კარგი ამინდია... ან იმ ჩიტზეც მოგვითხრობენ, ვითომ ნახევრად ხუმრობით, იქიდან ჩამოფრენილი რომ არის, რომ უკან გაფრინდება და მათ ამბავს გააგებინებს... გადმოცემებში – ბრძოლის, შრომის, გართობა-თამაშობების სპეციფიკურობა და თავისებურებანიც უამრავი აქვთ შემორჩენილი. „კალოობას" – ყველა მისი ელემენტით – ატრიბუტებითაც უცებ მოგვიყვნენ და ისიც არ დაივიწყეს, „ჭიაკოკონობაც" რომ იმართება მათთან.

ძველ და ახალ სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებით მონაცემები, წესჩვეულებანი და რიტუალები ფაქტობრივად ცალკე თემაა და, როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, ღრმად და საფუძვლიანად შესასწავლია და დიდ დროსა და მუშაობას მოითხოვს, ისე რომ, ჯერჯერობით ჩვენ თავს შევიკავებთ და ჩვენი გეგმის მიხედვით და იქაური ჩვენებური ახალგაზრდების მეშვეობით, როგორც ერთმანეთს დავპირდით, უამრავი ეთნოგრაფიული სინამდვილის ფაქტებსა და მოვლენებს აღვნუსხავთ და შემდგომში აუცილებლად გამოვაქვეყნებთ...

საოჯახო ყოფა, სოციალური ურთიერთობები და ქალის როლი ოჯახის, შთამომავლობის, ქართული ცნობიერების შენარჩუნების საქმეში ხომ ცალკე განსაკუთრებული კვლევის საგანია, მით უმეტეს აქ, მორეული საქართველოს-ახლობელი ქართველების ოჯახში, ქართული სითბო რომ შეანარჩუნებინა და ქართული კერა რომ გაალვივებინა-გაასხურებინა და ქართველი დედაკაცის – ქართველი ქალის როლი უფრო მეტად რომ წამოსწია-წარმოაჩინა, იქ მცხოვრებ სხვა ეროვნების ქალთა ყოფა-ცხოვრებისაგან განსხვავებით... ჩვენი შემდგომი მუშაობის დროს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩამოთვლილი ურთულესი და უნიკალური საკითხების შესწავლას დიდ ყურადღებას მივაქცევთ და ერთობლივი ძალისხმევით იქაურ ახალგაზრდა კოლეგებთან ერთად გამოვაქვეყნებთ კიდეც... აქ, ხუნგაში, ბატონი ამბაკო ჭელიძის სტუმრობაც ახსოვთ, მისი დაპირებებიც, მის წიგნსაც იცნობენ და გაყვითლებული ფოტოსურათებიც შემოინახეს, მის მიერ დამოძღვრილ-დაკვალიანებული პიროვნებების შემდგომი ცხოვრების ბედიც იციან... აქვე, ძველი ქართული ცხოვრების – ქართველი კაცის დამახასიათებელი ნიუანსი-ელემენტიც იციან და მასზე შეხუმრებული ლეგენდაც აქვთ შემონახული – ერთი ქართველი ვაჟკაცი იყო, რომელიც ორ ჩაფ ღვინოს სვამდაო სულმოუთქმელად... (რატომღაც, მათი კახელი წინაპარი გულბაათ ჭავჭავაძე გაგვახსენდა).

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" №165-168.

გამოიცა

სახსოვარი და გზამკვლევი

ჩვენი საგაზეთო ბაზარი ისეთი ჭრელი და უხვია, გამოუცდელ კაცს შეიძლება თავგზა აებნეს და ღირებულის მიგნება-არჩევა გაუჭირდეს.

ამიტომ გადავფურცლე უნდობლად და უწადინოდ ახალი გაზეთი-ჟურნალი „მეფეთუბანი სამეგრელოში", რომელიც ტრადიციათა აღორძინების საზოგადოების თანადგომით გამოუცია ფაზისის მეცნიერებათა აკადემიას, მაგრამ მალე გამიტაცა კითხვამ...

შემოწირულობათა ხარჯით დაბეჭდილი ეს გაზეთი-ჟურნალი 28-გვერდიანია, უხვად ილუსტრირებული, უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე დასტამბული. გარეკანულ პეწთან ერთად შინაარსიც წარმტაცი აქვს, მდიდარი, მრავალფეროვანი. იგი მკითხველს აცნობს სამეგრელოს აწმყოს (ბონდო ჟიქია, აკაკი დარჯანია, ანზორ მიქავა, ნუგზარ ნადარაია), ისტორიულ ძეგლებს, სახალხო დღესასწაულებს, მხარის გამორჩეულ ადამიანებს, ეკა ეგრისელის, ჯემალ ჩახავას, ნოდარ კაჭარავას ლექსებს, ეთნოგრაფიულ და არქეოლოგიურ მასალებს, ქალაქ ფოთისა და ხობის რაიონის დღევანდელობას, ფაზისის აკადემიასა და მის პრეზიდენტს, აკადემიკოს ცოტნე მირცხულავას, მეგრელი მეურატების ისტორიას, მეგრულ სამზარეულოს... მთავარ ძარღვად კი ცოტნე დადიანის თავდადება და „ცოტნეობის" უკვე დამკვიდრებული დღესასწაული გასდევს.

გაზეთი-ჟურნალის პირველ გვერდზე დაბეჭდილია წმიდა ცოტნეს ხატი (მხატვარი დავით მორგოშია), რომელიც 2000 წლის 13 ივლისს აკურთხა სვეტიცხოველში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II და რომელმაც იქვე ჰპოვა სავანე. ვკითხულობთ პირველ საეკლესიო-სახალხო დღესასწაულ „ცოტნეობაზე" უწმინდესისა და უნეტარესის მიერ წარმოთქმულ სიტყვას, საქართველოს პრეზიდენტის წერილს ამ მოვლენასთან დაკავშირებით, მასალებს წმინდა ცოტნე აღმსარებლის სახელობის ეკლესიის მშენებლობის შესახებ ფოთში (პროექტის ავტორი — არქიტექტორი მამუკა ჩხაიძე).

დაბეჭდილია ილია ჭავჭავაძის ცნობილი ნათქვამი: „სამეგრელოში მოველ და საქართველო ვნახე — დიდი საქართველო!.." და აკაკი წერეთლის ასევე ცნობილი წერილი „ვისაც ყური აქვს სმენად, ისმინეთ: „...თავისს პაწაწინა თავმოყვარეობას, წვრილმან კერძოობას უფრო მაღლა აყენებენ საქვეყნოზე და თითქმის ღალატს ჩადიან. მაგალითად: მეთაურობის ხელში ჩასაგდებად გამოდიან მეტოქეები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან: ერთი მეგრელია, მეორე გურული, მესამე რაჭველი, მეოთხე ზემოური, მეხუთე ქვემოური და ამგვარად სხვა რომ არა მიუძღვისთ-რა, ხრიკებს მიმართავენ ხოლმე და ბრბოს აბრიყვებენ: მეგრელებო! მე მეგრელი ვარ და ჩემი დამარცხება თქვენი შეურაცხყოფა იქნება!.. გურულებო! მეგრელებმა რომ გვაჯობონ და მე გურული გავშავდე, თქვენი შერცხვენა იქნება!.. იმერლებო! — გაიძახის იმერელი მეტოქე. — მოგვაჯდნენ მეგრელ-გურულები და აგერ გვჭამენ... ჰკა მაგათ! შაგი მაგათო! და სხვანი. ამ გვარის ტყუილებითა და უკადრისობით ლამის სხვა-და-სხვა კუთხის ქართველობა ერთმანეთს გადაჰკიდონ და საშინელ-შინაური მტრობა ჩამოაგდონ!.."

დიდი წინაპრის გაფრთხილება დღესაც აქტუალურია.

ერთი გვერდი ეთმობა მხატვარ გიორგი გაბაშვილის ფუნჯით გაცოცხლებული ერის დიდი შვილების ფარნავაზის, ვახტანგ გორგასლის, ბაგრატ III, გიორგი ჭყონდიდელის, გიორგი III, ცოტნე დადიანის, დემეტრე II თავდადებულის, გიორგი ბრწყინვალის და სხვათა პორტრეტებს. კიდევ ერთი გვერდი — ქართულ ჰერალდიკას და ქართველ ტომთა ტიპაჟსა და ჩაცმულობას.

მეფეთუბანი სამეგრელოში

გაზეთი-ჟურნალი „მეფეთუბანი სამეგრელოში" ის „პერიოდიკა" არ არის, წაიკითხო და მიაგდო; იგი დიდხანს გაჰყვება მეგობრად. დარწმუნებული ვარ, ყველა, ვისაც იგი ხელში ჩაუვარდა, სათუთად შეინახავს სახსოვრად და გზამკვლევად.

დიდად გარჯილან ამ მშვენიერი გაზეთი-ჟურნალის შემდგენელნი და ავტორნი. კეთილი ჩანაფიქრი კეთილად აღუსრულებიათ.

მათგან კიდევაც ველით ასეთ საჩუქარს: 12 აგვისტოს რიგით მეორე „ცოტნეობას" იზეიმებს სრულიად საქართველო და, უპირველეს ყოვლისა, მოწამე გმირის მშობლიური კუთხე — სამეგრელო.

ალექსანდრე ალექსიძე.

დაზუსტება

ჩვენი გაზეთის პარასკევის ნომერში დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობის" მორიგი ნომრის მიმოხილვა, სადაც ტექნიკური მიზეზით ამოვარდნილია აბზაცი, რომელიც ასე იკითხებოდა: **„ჟურნალი აქვეყნებს ნაზი ხელაიას ვრცელ წერილს „აველუმი", ანუ ქართველთა მარადიული გოდების ექო". წერილში განხილულია გამოჩენილი ქართველი მწერლის ოთარ ჭილაძის ერთ-ერთი ბოლო რომანი, რომელიც ჩვენი პროზის ბოლო დროის უდიდეს მიღწევად არის აღიარებული".**

ყურადღება!

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქონების აუდიტორულ შეფასებაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ აუდიტორსა და აუდიტორულ ფირმას.

დაფინანსების წყაროა თავდაცვის სამინისტროს მიერ რეალიზებული და ხანგრძლივი იჯარით გაცემული ქონებიდან ამოღებული არასაბიუჯეტო შემოსავლები, მათი მიღების შემდეგ თანხებით.

2. აუდიტი უნდა ჩაუტარდეს თავდაცვის სამინისტროს ფლობა-სარგებლობაში არსებულ, მის დაქვემდებარებაში და მასთან კავშირში მყოფი ყველა იურიდიული პირის უძრავ ქონებას. დაზუსტდეს ნარჩენი საბალანსო ღირებულება.

3. აუდიტორული შეფასებები უნდა ჩატარდეს რეგიონების მიხედვით საქართველოს ყველა რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქსა და რაიონში, სადაც განლაგებულია თავდაცვის სამინისტროს ქონება.

დასაშვებია წინადადების წარმოდგენა ერთი ან რამდენიმე რაიონში არსებული ქონების აუდიტისათვის, ტენდერის საფუძველზე დასაშვებია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

4. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შევსებული საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ გამოქვეყნებიდან 10 დღის განმავლობაში მისამართზე: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2, თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის მთავარი სამმართველო, ოთახი №509. ტელ: 25-31-04. ვ/პოლკოვნიკი ა. ჭეიშვილი.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციას.

5.1. იურიდიული პირისთვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე.

გ) ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

5.2. ფიზიკური პირისთვის:

ა) ცნობა, რომ ის ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე.

5.3. როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირისათვის:

ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრებისა და სანაციის საქმე;

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზევით დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა ქართულ ენაზე გამოქვეყნებიდან 10 დღის განმავლობაში 50 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, ქვემოთ მითითებულ მისამართზე: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2, თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის მთავარი სამმართველო, ოთახი №514. ტელ: 25-31-04. თ. ლობჯანიძე.

სატენდერო მოსაკრებლის გადახდა ხდება ნაღდ ანგარიშზე, თავდაცვის სამინისტროს სპეც ანგარიშზე: *საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი №220101107, ანგ. № 115141209.*

მიმღები: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი. თავდაცვის სამინისტროს მთავარი საფინანსო სამმართველო.

წყალბურთი

ასპარეზობენ ჭაბუკები

„ლაგუნა-ვერეს" საცურაო კომპლექსში გამართულ დედაქალაქის ჭაბუკ წყალბურთელთა პირველობაში 12 გუნდი გამოდიოდა. „ნეპტუნების" სპორტსმენებმა ჯერ 1983-1984 წლებში დაბადებულთა, შემდეგ კი 1984-1985-წლიანთა შორის გაიმარჯვეს.

სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში წარმატებას მიაღწიეს თბილისის მერიის ოლიმპიური რეზერვის სპორტული სკოლის „ნეპტუნის" და „ლაგუნა-ვერეს" წყალბურთელებმა. ტურნირის საუკეთესო მოთამაშისთვის დაწესებული პრიზი ხვდა ზურაბ რურუას („ლაგუნა-ვერე"), მის თანაგუნდელებს გაგა ჩხეიძეს და ზურაბ ჭუმბურიძეს გადაეცათ საუკეთესო ტექნიკოსისთვის და საუკეთესო მეკარისთვის დაწესებული პრიზები.

გარი ამირხანოვი.

სურათზე: ასპარეზობის მომენტი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

მხატვრული ტანვარჯიში

იზმირული ნადავლი

თურქეთის ქალაქ იზმირში მეათედ გაიმართა მხატვრულ ტანვარჯიშეთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც სენიორების და იუნიორების პროგრამით 10 ქვეყნის რჩეული ტანმოვარჯიშეები მონაწილეობდნენ. პირველობისთვის თბილისის მერიის სპორტის, სკოლის გარეშე ფიზიკური აღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ტანვარჯიშულ სახეობათა ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სპორტული სკოლის მოსწავლე ქეთი ბაკურაძე და ბათუმელი ვანდა კერესელიძე იბრძოდნენ. უნდა აღინიშნოს ნიჭიერი ტანმოვარჯიშის ქეთი ბაკურაძის წარმატება. მან მრავალჭიდში IV ადგილი დაიკავა, ხოლო ბურთით, გურზებით და რგოლით ვარჯიშში ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. რაც შეეხება ვანდა კერესელიძეს, იგი მრავალჭიდში V ადგილზე გავიდა. ქეთი და ვანდა ემზადებიან მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელიც სექტემბერში გაიმართება.

უმცროს ასაკში იასპარეზეს თბილისელებმა — ქეთი ხატიაშვილმა და ანა კაკაბაძემ, რომლებმაც მრავალჭიდში, შესაბამისად, მე-6 და მე-19 ადგილები დაიკავეს. ხატიაშვილი გურზებით ვარჯიშში II ადგილზე გავიდა.

თამუნა ორბელიანი.

კარტინგი

დაბადების დღეს — ვერცხლის მედალი

„რუსთავირინგზე" დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატის მეხუთე ეტაპი კარტინგში. ასპარეზობაში მონაწილეობდა თბილისის, რუსთავის და თელავის 11 სპორტსმენი. „მინი" კლასში ყველას აჯობა დიმიტრი უმიკაშვილმა (რუსთავი). მეორე ადგილზეა თბილისელი გიორგი გამყრელიძე, რომელიც შეჯიბრების დღეს 10 წლის გახდა. მას ვერცხლის მედალთან ერთად გადაეცა სამახსოვრო პრიზი. ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვდა ერთადერთი მოასპარეზე გოგონა, 10 წლის თბილისელი ანი იაშვილი. „სუპერ-ა" კლასში ყველა საპრიზო ადგილი თბილისელებს — ნუკრი პაპლიშვილს, სანდრო იაშვილს და გიორგი არჯევანიძეს ხვდათ.

საქართველოს ჩემპიონატის მეექვსე ეტაპი აქვე 30 სექტემბერს გაიმართება.

გარი ამირხანოვი.

ცინცხალი ამბები



„ლაციოს" პრეზიდენტი სერჯიო კრანოტი აპირებს გუნდში გაიზკა მენდიეტას გადმოყვანას, რისთვისაც იგი მზადაა გადაიხადოს 40 მილიონი დოლარი. ხოლო ნაცვლად გაყიდის ალესანდრო ნესტა. ამან გულშემატკივართა აღშფოთება გამოიწვია. ზედა ფოტოზე გამოსახულია კრანოტის გადაწყვეტილების საწინააღმდეგო საპროტესტო წარწერები.



„პარი სენჟერმენის" მწვრთნელმა ლუის ფერნანდესმა, რომელიც „კანში" ზიდანთან ერთად გამოდიოდა, განაცხადა, რომ ამ ფეხბურთელის გადასვლა „რეალში" გუნდს ევროპის უძლიერეს კლუბად აქცევს. საინტერესოა ის, თუ რომელი წყვილი იქნება უფრო ძლიერი ზიდანი-ფიგუ თუ ზიდანი-რაული.

მკითხველი - გაზეთი

ვინ და რამდენი?

გიორგი ნემსაძე

თემურ ქეცბაია

გულშემატკივარს ყველაფერი აინტერესებს, ყველა გამტყუნებს. გაზეთის უპირველესი დანიშნულება ხომ მკითხველის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებაა, მით უმეტეს, სპორტის ისეთი სტრატეგიული სახეობის შესახებ, როგორიც ფეხბურთია. საკითხს განსაკუთრებულ აქტუალობას ეროვნულ ნაკრებთან დაკავშირებული ინფორმაციები ანიჭებს. მოდა, ვითვალისწინებთ რა „მინდისფერთა" ერთგული ქომაგების, ჩვენი გაზეთის ძველი მეგობრების ერთი ჯგუფის თხოვნას, დღეს გთავაზობთ ქვეყნის მთავარი გუნდის ერთგვარ სტატისტიკურ ნუსხას, რომელიც, ვიმედოვნებთ, გარკვეულ წარმოდგენას შეგიქმნით განვლილი ათწლეულის სანაკრებო ნამოღვაწარის თაობაზე.

სურათებზე: საქართველოს ეროვნული ნაკრების რეკორდსმენ-კაპიტანი გიორგი ნემსაძე და ბომბარდირი თემურ ქეცბაია.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

შენიშვნა — ციფრები, იცოცხლეთ, მრავლისმეტყველია, მაგრამ ნურც იმას დაივიწყებთ, რომ მათ, უმეტესწილად, პირობითი დატვირთვა აქვთ.

	თამაში	მათ შორის სრული	გოლი				
გიორგი ნემსაძე	56	26	0	კახი ცხადაძე	25	12	1
თემურ ქეცბაია	49	26	17	გიორგი ჩიხრაძე	24	14	0
გოჩა ჯამარაული	47	23	5	ლევან სილაგაძე	21	5	0
გიორგი ქინქლაძე	42	24	8	დიმიტრი კუდინოვი	20	8	1
მიხეილ ყაველაშვილი	41	21	9	გელა შეყილაძე	19	9	0
შოთა არველაძე	40	24	14	ირაკლი ზოიძე	19	10	0
ლევან კობიაშვილი	33	19	1	დავით გვარამაძე	19	9	0
არჩილ არველაძე	32	18	6	ლევან ცქიტიშვილი	17	7	1
მურთაზ შელია	29	16	0	გიორგი გახოკიძე	15	7	2
კახი კალაძე	28	17	0	გიორგი დემეტრაძე	15	7	0
კახა გოგიჩაიშვილი	27	15	1	აკაკი დევაძე	15	7	0

რეგიონი

სპორტული აჭარა

რეკორდები — ანგისის სასროლეთზე

რამდენიმე დღის მასპინძლობდა ხელვაჩაურის რაიონის ანგისის მშვილდოსნობის სასროლეთი აჭარის ღია ჩემპიონატს მშვილდოსნობაში. საასპარეზოდ გამოვიდნენ ბათუმის, ხელვაჩაურის და სომხეთის საუკეთესო ჩემპიონები. ქალთა შორის მ-1 ვარჯიშში 1317 ქულით საუკეთესო იყო სიდნეის ოლიმპიადის მონაწილე ხათუნა ფუტკარაძე. მეორე ადგილზე, ასევე, ოლიმპიელი ასმათ დიასამიძე (1270 ქულა) გავიდა. მას 12 ქულით ჩამორჩა ოლგა ლადიგინა. ვაჟებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. სერგო ბერიძე (1262 ქულა, ბათუმი), 2. არტურ ბაშიკიანი (1241 ქულა), 3. არმენ დავთიანი (1156 ქულა, ორივე — სომხეთი).

საგულისხმოა, რომ 50 მეტრ დისტანციაზე მ-1 ვარჯიშში ხათუნა ფუტკარაძემ და სერგო ბერიძემ საქართველოს ახალი რეკორდებით (შესაბამისად, 332 და 340 ქულა) გაიმარჯვეს. ხათუნამ საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის ნატო ნასარიძის მიერ 1991 წელს დამყარებული რეკორდი (330 ქულა) გააუმჯობესა, ხოლო სერგომ თბილისელი ვადიმ რემიგოვის 16 წლის წინანდელ მიღწევას (329 ქულა) გადააჭარბა.

აჭარის ჩემპიონობა ქალთა შორის მ-70 ვარჯიშში ასმათ დიასამიძემ მოიპოვა. მან ფინალში ხათუნა ფუტკარაძეს სძლია. მესამე იყო ოლგა ლადიგინა.

ვაჟთა ფინალში ახალგაზრდა ბათუმელი მშვილდოსანი დავით შამილიშვილი ერევნელ არტურ ბაშიკიანთან დამარცხდა. ბრინჯაოს მედალი არმენ დავთიანს ხვდა.

მეზობლების მონაწილეობით

საქართველოს სპორტსმენთა უპირატესობით წარიმართა ბათუმში „აღორძინების" თასის გათამაშება კარატე-დოში. ცენტრალურ სტადიონზე ღია ცის ქვეშ გამართულ შეჯიბრებას მრავალი მაყურებელი დაესწრო. პირველობისთვის მასპინძლებთან ერთად თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებიც იბრძოდნენ ექვს ასაკობრივ ჯგუფში. წლოვანების მიხედვით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: ფოთელი ჰენრი ეკუა (რვა-ცხრაწლიანები), ქუთაისელი გიორგი კობრეიძე (ათ-თერთმეტწლიანები), თბილისელი ლევან გორელაშვილი (თორმეტ-ცამეტწლიანები), ქუთაისელი დათო შარვაშიძე (თოთხმეტ-თხუთმეტწლიანები), თბილისელი დათო აბრამიშვილი და ბათუმელი ინგა მამალაძე (ორივე — 18 წლამდე), გორელი გიორგი გოლაშვილი და ქუთაისელი ლელა სვანიძე (ორივე — 18 წლის ზემოთ).

მუშკეტერების დუელი

სამოცამდე მოფარიკავე გამოვიდა ბილიკებზე აჭარის პირველობაში, რომელიც ორ ასაკობრივ ჯგუფად (1982-1985, 1986 წელს და უფრო გვიან დაბადებულნი) გაიმართა. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ ჩემპიონები გახდნენ:

უფროსი ასაკი. დაშნა. ნინო მშვიდობაძე და ანდრეი აკეევი. **რაპირა.** ზვიად ჭელიძე და ალექსანდრე ნეფერტენოვი. **ხმალი.** ლაშა მიქელაძე.

უმცროსი ასაკი. დაშნა, თამუნა სიხარულიძე და ანდრეი აკეევი. **რაპირა.** ბელა ბალაძე და ანდრეი ბრაკალოვი. **ხმალი.** ლაშა მიქელაძე.

ახალი სისტემით

ორი წლისაგან განსხვავებით, აჭარის პირველობა ფეხბურთში წლეულს ახალი სისტემით მიმდინარეობს. 13 გუნდი სამ ზონაშია გაერთიანებული. კერძოდ: ბათუმ-ხელვაჩაურის ზონაში 5 გუნდი ასპარეზობს, ამდენივე კოლექტივი იბრძვის ფინალში გასასვლელად ქობულეთის ზონაში, ხოლო მაღალმთიანი რაიონების ზონაში სამი გუნდი გამოდის. ფინალურ ეტაპზე 3 კოლექტივი იასპარეზებს.

გადამწყვეტ პაექრობებში მონაწილეობის უფლება ქობულეთი-ხელვაჩაურის ზონიდან უკვე მოიპოვეს ხელვაჩაურის შპს „ქედების" ფეხბურთელებმა, რომლებმაც 10 ქულა მოაგროვეს. ქობულეთის ზონაში 6-6 ქულით საჭინოელები, აჭყველები და ჩაისუბნელები ლიდერობენ. მაღალმთიანი რაიონების გუნდები ამ დღეებში ჩაებმებიან ბრძოლაში.

ვაჟა დანელია,
„სრ" სპეც. კორ.
ბათუმი — თბილისი.

ყოველი მხრიდან

უიმბლდონის ყველაზე დიდი სენსაცია

უკვე არაერთხელ ვთქვით, რომ უიმბლდონის წლევანდელ ტურნირზე მრავალი სენსაცია მოხდა — დაწყებული ქალთა შორის, პირველი ჩოგანოსანის მარტინა ჰინგისის პირველსავე ტურში მარცხით, ამ დიდი პაექრობის მრავალგზის ჩემპიონის პიტ სამპრასის ფიასკოთი და ბოლოს, ტურნირზე ნამდვილად ბედნიერი შემთხვევით მოხვედრილი ხორვატის გორან ივანიშევიჩის დაუჯერებელი გამარჯვებით.

ბედი მწყალობსო, თუ ვინმე შეუძლია თქვას, პირველ რიგში, 29 წლის, თითქმის ვეტერან ჩოგბურთელს. მთელი ტურნირის მანძილზე, ხშირად დამარცხების პირას მდგარმა შეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა და გამარჯვება. ამაზე მეტყველებს ფინალური მატჩის ანგარიშიც — 6:3, 3:6, 6:3, 2:6, 9:7.



ივანიშევიჩისათვის ეს უიმბლდონზე მეოთხე ფინალური ორთაბრძოლა იყო. 1992 წელს იგი აგასისთან დამარცხდა, 1994 და 1998 წლებში — სამპრასთან.

ახლანდელი ფინალისტების პირადი შეხვედრების ანგარიში 2:1 იყო ავსტრალიელი რაფტერის სასარგებლოდ. ის გორანთან 1996 წელს აქვე, უიმბლდონზე მერვედფინალში დამარცხდა. სამაგიეროდ, რევანში აიღო 1998 წელს ამერიკის ღია ჩემპიონატზე მერვედფინალში და 1999 წლის იტალიის ღია ჩემპიონატის პირველ ტურში.

ძალზე მოულოდნელი და ხანგრძლივობით რეკორდული გამოდგა ფინალის მეხუთე პარტია, როცა ანგარიში იყო 7:6 რაფტერის სასარგებლოდ, მორიგ გეიმსაც ის იგებდა — 30:0, მაგრამ ავსტრალიელმა ვერ შეძლო თავისი უპირატესობის გამოყენება და დამარცხდა.

უსაზღვრო იყო ივანიშევიჩის სიხარული. ეს ბუნებრივია!

სურათზე: გამარჯვებული გორან ივანიშევიჩი.

ზიდანი — 64 მილიონად!

2000 წლის საუკეთესო ფეხბურთელი, ფრანგი ზინედინ ზიდანი გუშინწინ იტალიის „იუვენტუსიდან" მადრიდის „რეალში" გადავიდა. ასეთი გარიგება ორ კლუბს შორის 64 მილიონ დოლარად შეფასდა, რითაც მოიხსნა „რეალის" კაპიტნის ლუიშ ფიგუს რეკორდი.

ახალი კონტრაქტი ოთხი წლის ვადით გაფორმდა. თუ ამ ხნის განმავლობაში 29 წლის ფრანგი ფეხბურთელი „სამეფო კლუბიდან" სხვა გუნდში გადავა, გამოსასყიდი ფასი 151,5 მილიონი დოლარი იქნება.

სურათზე: ზინედინ ზიდანი ახალი კლუბის — მადრიდის „რეალის" თავკაცების გარემოცვაში.

CANAL+
CANAL+
CAN
ZIDANE
5

სოკის საპატიო თავმჯდომარე

მოსკოვში გაიმართა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის სხდომა, რომელმაც გადაწყვიტა, შესთავაზოს სოკ-ის სესიას, რომელიც ამ დღეებში უნდა შეუდგეს მუშაობას, რათა ხუან ანტონიო სამარანჩი აირჩიოს თავის მუდმივ საპატიო პრეზიდენტად და მისი სახელი ეწოდოს ოლიმპიურ მუზეუმს ლოზანაში.

სპორტის რედაქცია.

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

ფინეთის საომარი კამპანიის მონაწილე კონსტანტინე მიქავა.

ქ. პოლოცკი, 1939 წელი.

სურათი მოგვაწოდა მისმა შვილიშვილმა ირაკლი მიქავამ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

რედაქცია გთხოვთ, მობრძანდეთ დაბეჭდილი სურათების ორიგინალებისათვის. დაკარგვის შემთხვევაში ჩვენ პასუხს აღარ ვაგებთ.

ღიმილის დოზა



– თქვენი ძაღლი მოჰყვა ასფალტმტკეპნის ქვეშ.

– როგორი იყო?

– როგორც პატარა ოქროსფერი ნოხი.

* * *

– მარჯვენა ფეხი განუწყვეტლივ მტკივა და მტკივა.

– წლების ბრალია.

– მაგრამ მარცხენა ფეხიც ხომ იმავე ხნის არის და არ მტკივა?!

* * *

განცხადება: „ახალგაზრდა, სამსულიანი ოჯახი ბავშვების გარეშე იქირავებს ბინას. წესრიგი და სისუფთავე გარანტირებულია“.

* * *

ბილ კლინტონი ექსპერტების დიდი ჯგუფით პირადად ჩავიდა ჩეჩნეთში, რათა საკუთარი თვალით ენახა რუსი სამხედროების ბოროტმოქმედებანი, რომელთაც ისინი, როგორც დასავლეთის პრესა წერდა, ჩეჩნების წინააღმდეგ ჩადიან.

შეუდგნენ ტყიანი ფერდობის გზას და შემოესმათ კაცის განწირული ყვირილი. გაიქცნენ ხმის მიმართულებით. ხედავენ, ხეზე მიბმულ ჩეჩენს დათვი დასძგერებია. უცებ საიდანღაც გამოვარდნენ რუსი ოფიცრები, ესროლეს დათვს და მოკლეს.

აღფრთოვანდა კლინტონი:

– მე მოვუყვები ყველას, რაც ჩემი თვალით ვნახე და გავფანტავ ჭორებს, რომლებსაც თქვენზე ავრცელებენ!

კლინტონი რომ წავიდა, ერთი სამხედრო მეორეს ეკითხება, ვინ იყოო.

– ვინ და – ბილ კლინტონი!

– იყოს კლინტონი, მაგრამ მაგას დათვზე ნადირობის არაფერი გაეგება!

* * *

XX საუკუნის უგენიალურესი გამოგონებაა ფარანი მზის ბატარეებზე.

* * *

რეკლამა:

„გსურთ დაუვიწყარი სექსი?

მიიღეთ ტაბლეტები მეხსიერებისათვის!“



ჯოჯა, რევოლუციაც კი, სუფთა ხელებით უნდა მოახდინო

საამაყო ოჯახები

„კარგებშიც არიან გამორჩეულები“

მაჭავარიანი კარგი გვარია, მაგრამ მასშიც არიან გამორჩეულნი.

ერთ ოჯახზე მინდა მოგითხროთ: მინდა ამ ოჯახს ბევრი მიმბაძველი გამოუჩნდეს, გამრავლდნენ და გვასახელონ.

1948 წელი. დიდი ქრისტიანული დღესასწაული – აღდგომა. 24 აპრილი...

იმ დღეს საქართველოში სულ გოგონები დაბადებულან... ერთ-ერთ სამშობიაროში კი 35 წლის მშვენიერი ქეთევან ნერგაძე-მაჭავარიანისა მეხუთე შვილზე მშობიარობდა... ბებია ქალმა შეჰყვირა, იოსები დაიბადაო, ვერ გეტყვით, ღრმად მორწმუნე იყო თუ პირიქით, შეეშალა და იესო უნდა ეთქვა... ასეა თუ ისე, მიუხედავად იმისა, რომ ნერგაძეებისა და მაჭავარიანების გვარში მათ იოსები არავინ ჰყოლიათ, პირველმა შეძახილმა გაჭრა და ნანატრ ვაჟიშვილს იოსები დაარქვეს.

ახალშობილ იოსებ მაჭავარიანს უფროსი დები ვიოლა, თამილა და იამზე მოფერებით ბიჭის ეძახდნენ და დღესაც ბიჭი მაჭავარიანადაა ცნობილი...

ბიჭი მაჭავარიანი ჩვენს საზოგადოებრიობაში ცნობილი პიროვნებაა. ჯერ მიკროპედიატრი იყო – (ნეონატოლოგი), შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ ატლანტაში მუშაობისას ბავშვთა ქირურგიაში დახელოვნდა. ამერიკელ კოლეგებთან ურთიერთობას დღესაც განაგრძობს. სწორედ ამ მეგობრობისა და თანამშრომლობის შედეგია ის, რომ თბილისის ბავშვთა მეორე საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილება შესანიშნავი სამედიცინო აპარატურით აღიჭურვა. სწორედ მან, ბიჭი მაჭავარიანმა, ზოგადი ანესთეზიის გამოყენებით საქართველოში პირველად დაიწყო ისეთი ფაქიზი ოპერაციის გაკეთება, როგორც ბავშვებში ნუშისებური ჯლანდების ოპერაციაა, ანუ ტონზილექტომია. ამ მეთოდის დანერგვით მან ბავშვებსაც და მათ მშობლებსაც დიდი შვება მოუტანა. მაგრამ ამ საქმეში უპირველესი ფაქტორია თვით ქირურგის – ბიჭი მაჭავარიანის, როგორც დასტაქრის მაღალპროფესიულობა, რაც მისი პაციენტების ესოდენ სიმრავლეს განაპირობებს.

ბიჭი მაჭავარიანი.

როგორ ახერხებს იგი ყველა პაციენტისადმი სათანადო ყურადღებისა და სითბოს გამოჩენას? ბევრი ფიქრობს, რომ მისი, როგორც მოწოდებით ექიმისა და მოქალაქის გამორჩეულად არისტოკრატიული თავმდაბლობა და ქრისტიანული სიკეთით თანადგომა ოჯახური ტრადიციიდან მოდის. ეს ასეცაა, თუმცა, მისი მშობლები პროფესიით ექიმები არ ყოფილან, ინტელიგენტური, ტრადიციული ქართული ოჯახი კი ჰქონდათ, რომლის მთავარი საზრუნავი შვილების ზნეობრივი აღზრდა და სამაგალითო მოქალაქეებად ჩამოყალიბება იყო.

დეიდას დედის სუნი უდისო, და სამ დასა და ერთ ძმას ჩინებული დეიდა ჰყოლიათ, ცნობილი მეან-გინეკოლოგი ნუნუ ნერგაძე, ისე კი ერთი ნათელზე ნათელია, მაჭავარიანების ოჯახის პროფესიული „პროფილი“ ბავშვებზეა ორიენტირებული.

უფროსი და, ვიოლა მაჭავარიანი თბილისის მე-11 ქალთა კონსულტაციის მთავარი ექიმის მოადგილეა და ერთ-ერთი წამყვანი გინეკოლოგი. ვიოლა ექიმი იმითაცაა ცნობილი, რომ მისი დარიგებით და რჩევით ბევრი ახალგაზრდა წყვილი ახლა მრავალშვილიანია. ამის გამო, ბევრი ჰყავს ნათელ-მირონით დანათესავებული. ვიოლას მეუღლე თენგიზ გაფრინდაშვილი, პროფესიით ინჟინერი, ხან რუსთავში იყო სამუშაოდ გამწესებული, ხანაც ჭიათურაში. ქალბატონ ვიოლასაც ამ რეგიონებში უწევდა ცხოვრება და საექიმო პრაქტიკა. მადლიერებით აღსავსე წერილებს დღესაც იღებს ამ კუთხეებიდან.

ვიოლა მაჭავარიანის, როგორც მაღალკვალიფიციური ექიმის კონსულტაციებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დღეს, ეკოლოგიურად დაბინძურებულ გარემოსა და სოციალური სიდუხჭირის ფონზე. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ორსულებში საგრძნობლად იმატა პათოლოგიებმა, ანემიამ, ვირუსებმაც, რის შედეგადაც ჩვილები ანომალიებით იბადებიან.

ყოველივე ამის გათვალისწინებით ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოდენ ღირებულია დღეს კვალიფიციური ექიმის დაკვირვება ორსულობის მიმდინარეობაზე, მისი რჩევა, მკურნალობის მიერ დანიშნული რეჟიმი და ა. შ.

ვიოლა ექიმთან მოსული ახალგაზრდა ფეხმძიმე ქალები ისეთ „საიდუმლოებასაც“ უმხელენ, რასაც საკუთარ დედასაც ვერ უბედავენ. ისე რომ, ვიოლა მაჭავარიანი მათთვის არა მარტო გინეკოლოგი, არამედ სასურველი მეგობარი და მრჩეველიც არის.

ვიოლა ექიმს ორი შვილი ჰყავს. მხოლოდ ქალიშვილი ქეთევან გაფრინდაშვილი გაჰყვა დედის კვალს. იგი მიკრონევროპათოლოგია და ჩვილ ბავშვთა სახლში მუშაობს. ვაჟი მალხაზ გაფრინდაშვილი – ეკონომისტია.

ბიჭი და ვიოლა მაჭავარიანების უმცროსი და იამზე მაჭავარიანიც ბავშვების სამსახურშია. აგერ უკვე მეორე ათეული წელიწადია, დღიდან დაარსებისა, აკაკი წერეთლის სახელობის საქართველოს საბავშვო ფონდის თავმჯდომარის მოადგილეა და არაერთი ინიციატივის ავტორი. საბავშვო ფონდის თანადგომით მრავალ ბავშვსა თუ მოზარდს უცხოეთში უმკურნალეს, და გამოჯანმრთელებულნი შინ დააბრუნეს. ერთი კია, იამზე მაჭავარიანთან მისვლას ყველა მსურველი თავისუფლად ბარიერის გადალახვის გარეშე ახერხებს, და, რაც ყველაზე მთავარია, მიმსვლელს დახმარებისა და თანადგომის იმედი აქვს. ქველმოქმედ ქალს დიდი ღვაწლი მიუძღვის „ბავშვთა სოფლის“ მშენებლობაში ნუცუბიძის პლატოზე. და კიდევ პატარა ნიუანსი, ქველმოქმედი ქალის პორტრეტისათვის: იგი შესანიშნავი კულინარია, თავადაც გულღია მასპინძელია – თავმდაბალი, უპოვართა თანამდგომი, ერთი სიტყვით, თანამედროვე ქალი – ლიდერი...

ბოლოს, იმასაც გაგიმხელთ, რომ მაჭავარიანების ოჯახის ყველა წევრს, სათითაოდ ცალ-ცალკე ვიცნობ და თითოეულის ნაცნობობითაც ვამაყობ, მაგრამ ისინი რომ და-ძმანი იყვნენ, ამის შესახებ გვიან შევიტყვე. მათ შორის, ჩემს თანატოლს, და-ძმებში გამორჩეულ თამილა მაჭავარიანს საინტერვიუდ სიტყვაც ვერ გამოვტყუე. ეგ კი არა, ამ წერილის დაბეჭდვაზეც სასტიკი უარი მივიღე. ვინც მას იცნობს, დამერწმუნება, რომ იგი ცხოვრებაში საოცრად თბილი და ხიბლიანია. ისე კი, ცნობისათვის, თამილა მაჭავარიანს ყოველთვის პასუხსაგები პოსტები ეკავა, დღეს კი სახელმწიფო კანცელარიის ერთ-ერთი დიდი სამსახურის უფროსია.

ღმერთო, გვიმრავლე მსგავსი ოჯახები ესოდენ საამაყო შვილებით.

დოდო იორდანიშვილი.



ოჯახური ფოტო.

ვიოლა, თამილა და იამზე მაჭავარიანები.



იამზე მაჭავარიანი დედასთან.

ცოდნის სკივრი

სანადირო თოფი შექმნეს არაბებმა XII საუკუნეში. საქართველოში კი გავრცელდა XV-XVI საუკუნეებში.

ჩახმახი გამოიგონეს XVI საუკუნეში, კაფსული და ნემსიანი ჩახმახი – XIX საუკუნის I ნახევარში.

ვარაუდობენ, რომ ფეთქებადი ნივთიერება – დენთი, პირველად ჩინეთში მიიღეს, საიდანაც დასავლეთში XIII საუკუნეში გავრცელდა.

* * *

საქართველოში უმაღლესი ფარმაცევტული განათლების, ქიმიურ-ფარმაცევტული მრეწველობისა და ფარმაკოლოგიური მეცნიერების ფუძემდებელია ფარმაკო-ქიმიკოსი, აკადემიკოსი იოველ ქუთათელაძე (1887-1963).

* * *

ქალაქი პეტერბურგი 1703 წლის 27 მაისს დაარსდა. 1914 წლის 31 აგვისტომდე მას ეწოდებოდა სანკტ-პეტერბურგი. 1914 წლიდან 1924 წლის 26 იანვრამდე კი – პეტროგრადი. 1924 წლიდან – 1990 წლამდე – ლენინგრადი. ამჟამად კი მას ძველი სახელი – პეტერბურგი დაუბრუნდა.

* * *

ამერიკის შეერთებული შტატები კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის პირველ ადგილზეა ნახშირის, ნავთობის, ბუნებრივი გაზის, ურანის კონცენტრატების, რკინის მადნის, ფერადი ლითონების მადნის, ფოსფორიტების, გოგირდის მოპოვებით, სიმინდის, ხორბლის, სოიის, ბამბის, თამბაქოს, ხორცისა და რძის წარმოებით.

ხსოვნა

ზურაბ გოგიჩაიშვილი

გარდაიცვალა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში ზურაბ გოგიჩაიშვილი.

დაიბადა ლანჩხუთის რაიონის ს. ლესაში 1943 წლის 23 ივლისს. 1969 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. უფრო ადრე, 1963 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, სადაც გაიარა მეტად საინტერესო, ნაყოფიერი შრომითი გზა რიგითი თანამშრომლიდან სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემდე. თითქმის ოთხი ათეული წელიწადი თავდადებულად, დიდი სიყვარულით ემსახურებოდა მისი სათაყვანებელი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას. გამოირჩეოდა ადამიანებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით. იყო უშწიკვლო, კეთილსინდისიერი ადამიანი, სანიმუშო მეგობარი, კოლეგა. სამწუხაროდ, უდროოდ მიატოვა ერთგული მეუღლე და ორი ვაჟიშვილი. ზურიკოს ოჯახს, ნათესაობას, მრავალრიცხოვან მკითხველებს დიდხანს ემახსოვრებათ მუდამ თანადგომისთვის მზადმყოფი, კეთილი ღიმილიანი ჩვენი ზურიკოს ნათელი სახე. ზურიკოს ამ ქვეყნიდან უდროოდ წასვლა დიდი დანაკლისია ჩვენი მრავალრიცხოვანი თანამშრომლებისათვის.

ნათელში ამყოფოს მისი სული.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომლები.

გახსენება

ივანე ყურუა



ხანი მოათიაო, იტყვიან ამ ხნის კაცზე – 87 წლისა გამოგვეთხოვა ჩვენი მამა და ბაბუა, რომელმაც წარუშლელი კვალი დააჩნია ჩვენს მეხსიერებას. ... ჯერ მხოლოდ 40 დღე გავიდა, სევდა-ნაღველის დღეები...

მან კაცურად იცხოვრა, შესანიშნავი ფარმაცევტი სიკეთის თესვაში გაილია, სამშობლოსა და ოჯახის სიყვარულში გათავდა.

... შენი სული უკვე ზეცაშია, ჩვენო ტკბილო ადამიანო, შენი ნათელი ყოველთვის გაგვყვება გზა-სავალზე და ცხოვრებას გაგვიადვილებს. ღმერთმა ნათელში გამყოფოს!

მეუღლე, შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები.

ნანა ტიგიშვილი



ორმოცი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენს შორის აღარ არის ამაგდარი და ღირსეული ქალბატონი, საოცარი ადამიანური თვისებებით შემკული, კეთილმოსურნე, დიდბუნოვანი და ფაქიზი პიროვნება, ჩვენი მეგობარი და ამხანაგი ნანა ტიგიშვილი.

ინსტიტუტის თანამშრომლებს კარგად გვახსოვს 1969 წელი, როდესაც ჩვენთან, ასპირანტურაში, მოვიდა მეტად მომხიბლავი, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა ქალი. ასპირანტობის პირველი დღეებიდან მან თავი გამოიჩინა შრომისმოყვარეობით, ცოდნისადმი სწრაფვით და ამან შეაძლებინა ასპირანტურაში სწავლებისათვის გამოყოფილ დროში დაემთავრებინა საკანდიდატო დისერტაცია და წარმატებით დაეცვა იგი.

ქალბატონმა ნანამ გაიარა სამეცნიერო თანამდებობების ყველა საფეხური წამყვანი მეცნიერი მუშაკის ჩათვლით. ღრმა ცოდნისა და შესასწავლი მოვლენების ანალიზისა და შეფასების შესაძლებლობების მეოხებით მან შეძლო, გადაეწყვიტა ენერგეტიკული მშენებლობის ბევრი, მეტად საჭირო და საინტერესო ამოცანა.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში უკურნებელი სენი შეეყარა, არ გატეხილა, არ დაცემულა, იმედით შესცქეროდა მომავალს. და არ გაუწყვეტია კავშირი ინსტიტუტთან და თავის საქმესთან.

გულითადობამ და ადამიანებისადმი სიყვარულმა, შერწყმულმა მაღალ პროფესიონალურ დონესთან, ქალბატონ ნანას ინსტიტუტის თანამშრომლების სიყვარული და პატივისცემა მოუტანა. ასეთი იყო და ასეთივე დარჩება იგი ჩვენს მეხსიერებაში.

მეგობრები

საქართველოს ენერგეტიკისა და ენერგეტიკულ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან.

ალექსანდრე (კუკური) ტაბიძე



გაუნელებელია სევდა ოჯახისა, რადგანაც თავის გვერდით ვერ ხედავს ოჯახის თავკაცს, ვინც ამქვეყნიური უხარვეზო ხნული ბოლომდე გაიტანა, ბევრი რამ სასახელო და სანაქებო დატოვა. დარჩა შენი სახელოვანი ოჯახი და მემკვიდრეობა. შვილები მამის ნაკვალევს მიჰყვებიან, რაც უმთავრესი პირობაა არდავიწყებისა. ღმერთმა სამუდამო სასუფეველი დაგიმკვიდროს და ნათელში გამყოფოს.

ოჯახი.

ალექსანდრე (კუკური) ტაბიძე

წელიწადი მესრულდა, რაც ჩვენს გვერდით აღარა ხარ, დააკლდი თქვენს ძვირფას ოჯახს, ნათესაობას და საძმეგობროს. ამ ქვეყნიდან წახვედი ყველა ღირსებით შემკული პიროვნება: ერთგული მეუღლე, მამა და ბაბუა. სიკეთით განელილი მიწიერი გზა საწინდარია თქვენი ნათელი სულის ზეციურ სასუფეველში დასამკვიდრებლად. ღმერთმა ნათელში გამყოფოს.

ნოდარ ჩიმაკაძე.

ტელევიზია

ოთხშაბათი, 11 ივლისი

08.00 ალიონი **09.30** სერიალი **"ძილის წინ" 09.50, 00.05** ვიდეოპატრული **10.00, 20.55** სერიალი **"წვრილვარსკვლავთა ღამე" 10.30** ნაცნობი სახეები **11.05, 18.20** სერიალი **"საზღვაო პოლიცია" 12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ალგეთი **12.35** მიზანი **13.00** ნაშუადღევს **14.05** დიდების ზღაპარი **14.25** ჩვენი მისამართია **15.15** მხ.ფ. **"უკანასკნელი ამოსუნთქვა" 17.00 50-50 18.00** ვესტნიკი **19.05** ენერგია **19.20** დრო და ადამიანები. პეტრე მელიქიშვილი **19.40** ბასტი-ბუბუ **21.45** საქმე **22.10** ჯეოსელის მეორე საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალი **22.35** სერიალი **"ძილის წინ" 00.15** ჯეოსელის მეორე საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალი **00.45** კომუნიკატორი **01.20** მხ.ფ. **"წითელი პლანეტა"**

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე **19.05** იყო და არა იყო რა **19.30** სერიალი **"ზაფხულის საიდუმლო" 20.20, 21.50** მუსიკა **20.25** მხ.ფ. **"იღბლიანი ჯენტლმენები" 21.50** მუსიკა **22.05** ოპერისა და ბალეტის ვარსკვლავები **22.35** მხ.ფ. **"თქვენთან წერილია"**

07.00 მუსიკა. **07.30** ტექს ავერი, რობინ ჰუდი **08.00, 12.00, 15.00** კურიერი **08.55** სერიალი **"გვადალუპე" 09.50** სერიალი **"ათასწლეული" 10.40** სერიალი **"მამაცი რაინდი" 11.10** სერიალი **"იოლი ფული" 12.15** მულტსერიალი **13.30** მხ. ფილმი **18.00, 21.00, 23.00, 02.40** კურიერი **18.30** სერიალი **"მამაცი რაინდი" 18.55** სერიალი **"სასწრაფო" 19.45** სერიალი **"იოლი ფული" 22.00** ტელევიქტორინა "ვის უნდა იყოს ათასი" **00.05** მხ.ფ. **"ორასი წლის კაცი"**. რეჟ. კრის კოლამბუსი. მთ. როლებში: რობინ უილიამსი, სემ ნილი **02.50** კლასიკა

ივერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია 08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი **08.15, 20.15** ალსავალი **08.20, 10.00, 11.40, 20.20, 22.05, 23.50** მუსიკა **08.25** მხ.ფ. **"მხიარული აღდგომა" 10.05** მხ.ფ. **"ჩვეულებრივი გმირი" 20.25** მხ.ფ. **"ბენი და ჯუნი" 22.10** მხ.ფ. **"ტკბილი ფილმი"**

ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი" **10.15** ზღაპრის ტელედარბაზი **10.45** სპორტული პროგრამა **11.45** მუსკოლაჟი **13.00** პროგრამა "სალონი" **13.45, 15.15** მხ.ფ. **"თვალთვალი" 18.30** დოკ. ფილმი "ფანჯარა ევროპაში" **19.00** "საუბრები მწვანე ბუხართან" **19.45** ზღაპრის ტელედარბაზი **20.30** მსოფლიო სპორტი **21.30** თინეიჯერი **22.30, 00.15** მხ.ფ. **"პან თადეუში"**

09.00, 15.00, 18.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები" **09.15** მულტფილმი "გულივერის მოგზაურობა" **09.45** მხ.ფ. **"ჯარისკაცის ქალიშვილი არასოდეს ტირის" 11.45, 23.50, 00.20** მუსიკა **12.00** მხ. ფილმი **"ატილა" 15.15** ევროპის სტადიონებზე **15.35, 18.40** შემეცნებითი პროგრამა "დისქავერი" **16.30** მხ.ფ. **"თავგადასავლების ძიებაში"** მთ. როლში ჟან კლოდ ვანდამი **18.15** მულტფილმი "თეთრი ეშვი" **20.00** "ევროპის სტადიონებზე" **20.25, 23.55** ხუთი წუთი ეკონომიკა **21.10** დოკ. ფილმი "და მართლის მთქმელი მოკვდება" **22.05** მხ. ფილმი **"ჯადოქარი საიმონი"** მთ. როლში რუტგერ ჰაუერი **00.40** მხ. ფილმი **"სუპერჯაშუში"** მთ. როლში სანდრა ბალოკი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანატი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს თემურ ინანეიშვილის

ძმის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი 10, 11 VII, 5 სთ. გამოსვენება 12 VII, 3 სთ. ქუთაისი, ნინოშვილის 106.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნ. კეცხოველის სახელობის ბოტანიკის ინსტიტუტი და საქართველოს ბოტანიკური საზოგადოება იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ბოტანიკოსი, ბოტანიკის ინსტიტუტის ჰერბარიუმის განყოფილების გამგე

მარინე ივანიშვილი.

ალეკო, ნინო, ეთერ კაკულიები თანაუგრძნობენ ბატონ მალვა ტურავას დისშვილის

ქეთინ ჩაურავას

გარდაცვალების გამო.

ნუგზარ მავგულიძე და დალი ჯღარკავა თანაუგრძნობენ ვიოლეტა სახვაძეს და თემურ ქლენცს დედისა და სიდედრის

ნინო დიდიშვილი-სახვაძის

გარდაცვალების გამო.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების გამოქვეყნებისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო ზუბიაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ბონდო მინდიაშვილი, ლუიზა რუსია, სარტაქ ჯეჩუაშვილი, ზაზა ჭეიძე, თამარ ხუციშვილი.

დამფუძნებელი - „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი რუსლან რუსია.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა -
PRESS-98@CAUCASUS.NET
იბეჭდება შპს „ნეა-ინტერმედიის“ სტამბაში. რ. ელაძის 39